სკანდალი

## ნეტავ, ეს ამბავი გაზეთებმა არ გაიგონო...

გვ. 8



## ზირაქას ლელომ გატეხა...



გვ. 13

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

7 სექტემბერი **სამშაბათი** 2010

№210 (13 198) ფასი 60 თეთრი

### საქართველო vs ისრაელი




გვ. 2

# გამარჯვებით განვაგრძოთ!

## მეტოქეები

ისრაელი



გვ. 5

*ლუის ფერნანდესი*

**ქართველებმა საბერძნეთთან დამანახვეს, რომ...**

სომხეთი



გვ. 4

*ფლემინგ სერიტსლევი*

**ნუ გგონიათ, რომ თავს არ მოვიკლავთ**



*ოთარ გაბელია*

გვ. 4

## სულელები ხომ არ ვართ, საჭირო მოთამაშეზე უარი გვეთქვა?!

## დავიჩაგრეთ

გვ. 11




**...ოღონდ უსუსურობით**

გვ. 12



*კოტე ტუღუში*

## უკეთესი ეროვნული ჩემპიონატი გვჭირდება!

ქართული ფეხბურთი

● საქართველო-ისრაელი. 21:00. მატჩის წინ




# ქეცბაიას სიურპრიზი

**საქართველოსა** და ისრაელის ნაკრებები ერთმანეთს მეხუთედ დაუპირისპირდებიან, ოღონდ, წინა ოთხისგან განსხვავებით, დღევანდელი მატჩი ოფიციალურია. ამ პრინციპულ შეხვედრას მეტოქეები ამაღლებული განწყობით ხვდებიან: საქართველოს ნაკრებმა საბერძნეთიდან ქულა წამოიღო, ხოლო ისრაელმა „დაგეგმილი“ სამი ქულა მალტასთან (3:1) მოიპოვა...

საქართველოს ეროვნული ნაკრების ვარჯიშმა ქართული მედიის დიდი ინტერესი გამოიწვია; თუმცა, ჟურნალისტების გარდა ტრიბუნებზე გულშემატკივართა გარკვეული ჯგუფიც იმყოფებოდა, რომელთა შორისაც საქართველოს ნაკრების ახლო წარსულის ფეხბურთელები სჭარბობდნენ.

ჩვენი ნაკრების ვარჯიში 18 საათსა და 15 წუთზე დაიწყო. ნაკრების მთავარი მწვრთნელი **თემურ ქეცბაია,** მისი ასისტენტი **სოსო ჭედია,** მეკარეების მწვრთნელი **მამუკა აბუსერიძე** და 21 ფეხბურთელი: მეკარეები - **ნუკრი რევიშვილი, გიორგი ლორია, გრიგოლ ბედიაშვილი;** მცველები - **კახა კალაძე, მალხაზ ასათიანი, ალექსანდრე ამისულაშვილი, უჩა ლობჟანიძე, ლაშა სალუქვაძე, მათე ღვინიანიძე;** ნახევარმცველები: **ლევან კობიაშვილი, ალექსანდრე იაშვილი, გოგიტა გოგუა, ზურაბ ხიზანიშვილი, დავით კვირკველია, ჯანო ანანიძე, თორნიკე აფციაური, ალექსანდრე კოშკაძე;** თავდამსხმელები: **ვლადიმერ დვალიშვილი, ნიკოლოზ გელაშვილი, გიორგი მერებაშვილი, დავით სირაძე,** - ვარჯიშის მთავარი მოქმედი პირები სწორედ ესენი გახლდათ. მოედნის ცენტრში მცირე „თათბირი“ და მერე ვარჯიშიც გახურდა: სამივე მეკარე მამუკა აბუსერიძის ხელმძღვანელობით „მთავარ ჯგუფს“ გამოეყო და ცალკე ვარჯიშობდნენ; დანარჩენი 18 ფეხბურთელი კი სამ ექვსგუნდიან „ჯგუფში“ გადანაწილდა. ტრიბუნებზე მსხდომთათვის, ყველაზე დიდი ინტერესი, რალა თქმა უნდა, „ორკარას“ მოლოდინი იყო. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ასეთ შემთხვევებში ხომ მეტ-ნაკლებად მოსალოდნელია... ძირითადი შემადგენლობის გამოცნობა. თუმცა ქეცბაიამ ამ შემთხვევაში ყველას გარკვეული სიურპრიზი მოგვიმზადა: ერთ გუნდში თუ მეკარისა და დაცვის ხაზი სავარაუდო შემადგენლობისგან დააკომპლექტდა, აი, ნახევარდაცვაში და თავდამსხმაში. კი ჩვენი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სხვადასხვა ვარიანტი მოსინჯა. ერთი მხრივ, ეს არც არის გასაკვირი; ჯერ ერთი, თემურ ქეცბაიას უკვე მოფიქრებულიც ექნება, ძირითად შემადგენლობაში ვინ დააყენოს; ეგაც რომ არ იყოს, ჩვენი ვარჯიში გახურებული იყო, ეროვნულ სტადიონზე ისრაელის ნაკრების დელეგაციის წევრები (მწვრთნელები, ოფიციალური პირები, ჟურნალისტები) რომ გამოჩნდნენ.

... ახლა კი ათ-ათკაციანი გუნდების შემადგენლობასაც გავეცნოთ და დასკვნების გამოტანა თქვენთვის მოგვინდია. პირველი გუნდი: **რევიშვილი - ლობჟანიძე, ასათიანი, ამისულაშვილი, კალაძე - მერებაშვილი, კოშკაძე, ანანიძე - დვალიშვილი, გელაშვილი;**

მეორე გუნდი: **ლორია - სალუქვაძე, ღვინიანიძე, ხიზანიშვილი, კვირკველია - აფციაური, კობიაშვილი, გოგუა - სირაძე, იაშვილი.**

...სახალისო ორკარა გაჩაღდა და გიორგი მერებაშვილმა ყოფილი თანაკლუბელის გიორგი ლორიას კარში შორეული დარტყმით ეფექტური გოლი რომ გაიტანა, სწორედ ამ დროს... საპრესკონფერენციო დარბაზისკენ გავეშურეთ, სადაც სტუმართა მთავარი მწვრთნელის ლუის ფერნანდესის პრესკონფერენცია გველოდა...

**გია ტუხაშვილი**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები



ლუის ფერნანდესის პრესკონფერენცია მე-5 გვერდზე

● საბერძნეთის შემდეგ და ისრაელამდე

# იმედიანი რეალობა

**საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა წაუგებლად უკვე მეოთხე მატჩი ჩაატარა, უკანასკნელად როდის გვქონდა მსგავსი შედეგი? როდის, და... 9 წლის წინათ! საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა სტუმრად ზედიზედ ორჯერ მოიგო და პლეიოფში გასვლის შანსსაც ინარჩუნებს; უკანასკნელად როდის ჰქონდა ჩვენს 21-წლამდელთა ნაკრებს მსგავსი შედეგი? როდის და... არც არასდროს!**

ზემოთქმულიდან გამომდინარე, იმას ნამდვილად არ ვამტკიცებთ, რომ, არიქა, ქართულ ფეხბურთში აყვავების ხანა იწყებაო; მაგრამ ბოლოდროინდელი ქრონიკული წარუმატებლობების ფონზე, „რაღაც“ კი არა, სერიოზული წინსვლა რომ გვაქვს, ფაქტია. თან ნუ დაგვავიწყდება ეს მივიწყებულ-გადაჩვეული წარმატებები რის „ფონზე“ ხდება: ეროვნული ჩემპიონატის დონე კვლავაც დაბალია, მატჩების უმრავლესობა, ფაქტობრივად, ცარიელი ტრიბუნების წინ ტარდება, ჩვენი მოედნების მდგომარეობა კატასტროფულია და ასე შემდეგ. აღარაფერს ვამბობთ იმ მართლაც უცნაურზეუცნაურ ფაქტზე, როცა საქართველოს ეროვნულ ნაკრებს საკუთარი ბაზა თუ სავარჯიშო მოედანი არ გააჩნია! უფრო სწორად, გვაქვს (თან - ორი) და, წესითა და რიგით, **თემურ ქეცბაიას** ასარჩევად უნდა ჰქონოდა საქმე: სანაკრებო მატჩების წინ შეკრება „ბასაზე“ გაევლო თუ საგურამოში...

თუმცა ამ ორივე ბაზას, უკვე წლებია... საზეიმოდ ვხსნით და ვხსნით (რალა თქმა უნდა, საპატიოზე საპატიო სტუმართა თანდასწრებით), მაგრამ, სინამდვილეში ჩვენს უპირველეს გუნდს წინასამატჩოდ ცხოვრება ხან რომელ სასტუმროში უწევს, ხან - რომელში; ანალოგიური სიტუაციაა სავარჯიშო პირობების შემთხვევაშიც: ხან - დილმის საწვრთნელი ბაზაო, ხან - „ოლიმპიკიო“, ხან - თენგიზ სულაქველიძის სახელობის აკადემიის“ მოედანიო და ასე შემდეგ. იმედი დავიტოვოთ, რომ ქართული ფეხბურთის ხელმძღვანელობა ამ პრობლემას რაც შეიძლება მალე მოაგვარებს და ჩვენს უპირველეს გუნდს სანაკრებო მატჩებისათვის მოსამზადებლად სამუშაო პირობებს შეუქმნის. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბი და ჩვენი ფეხბურთელები ამას ნამდვილად იმსახურებენ.

..."იმედის დაბრუნება", - საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე თემურ ქეცბაიას დანიშვნას სწორედ ასე გამოვეხმაურეთ. რალა თქმა უნდა, იმის ილუზია არავის გვქონდა, რომ ახალგაზრდა მწვრთნელი სამშობლოში „ჯადოსნური ჯოხით“ დაბრუნდებოდა და საქართველოს ნაკრებიც უცბად გახდებოდა მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი; ისიც კარგად ვიცოდით, რომ ქართულ ფეხბურთში არსებული ადამიანური რესურსის დეფიციტის პირობებში, ქეცბაიასთვის ულტიმატუმი არ უნდა წაგვეყენებინა: გინდა თუ არა, საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე უნდა გაიყვანოო!..

მაგრამ, ყველაფერ ამასთან ერთად, ჩვენც და ალბათ, ქართული ფეხბურთის ქომაგთა აბსოლუტური უმრავლესობა მაინც იმედის თვალით შევცქეროდით თემურ ქეცბაიას საქართველოს ნაკრებში მოსვლას. ვაღიაროთ: ჯერჯერობით, ეს იმედი მართლდება; ვინმე სკეპტიკოსი (სამწუხაროდ, ასეთები ჯერ კიდევ მრავლად არიან) შესაძლოა, ჩუმად ქირქილებდეს კიდეც (აბა, საჯაროდ ამას ვერ გაბედავენ): რა დიდი ამბავი მოხდა, სამი ამხანაგური მატჩი არ წავაგეთ და ერთიც ოფიციალურიო; მაგრამ, ამ სკეპტიკოსებს კიდევ ერთხელ გვინდა შევახსენოთ, რომ საქართველოს ნაკრებს ამხელა წაუგებელი სერია... 2001 წლის მერე აღარ ჰქონია! ისიც გვინდა „ვიღაც-ვიღაცებმა“ დაინახონ, რომ ჩვენი ნაკრები „საექსპერიმენტო პოლიგონი“ კი არა, ის გუნდია, სადაც ყველა საუკეთესო ქართველ ფეხბურთელს თავის გამოჩენის საშუალება აქვს.

რა თქმა უნდა, ჩვენს ნაკრებში, ხულ მცირე, სამი-ოთხი პოზიცია გაძლიერე-



ბას აშკარად საჭიროებს; ისიც ფაქტია, რომ ობიექტური მიზეზების (საკლუბო პრობლემებიდან გამომდინარე, თან საბედნიეროდ, უკვე მოგვარებულის) გამო ზოგიერთი ფეხბურთელი ოპტიმალურ ფორმაში არ იმყოფება, მაგრამ იმას ხომ ვერ იტყვის ვინმე, რომ ესა თუ ის ფეხბურთელი ნაკრებში მიწვევის ღირსია და ქეცბაია არ იძახებსო? ანუ, დღესდღეობით არც ერთი „დაჩაგრული“ ქართველი ფეხბურთელი არ გვახსენდება (თუ სხვამ იცის, შეგვახსენოს) და რატომღაც იმაშიც ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ მომავალშიც ასე იქნება; ანუ, ნაკრებში მხოლოდ და მხოლოდ ისინი ითამაშებენ, რომლებიც საერთაშორისო დონის მოთხოვნებს აკმაყოფილებენ.

ბოლოს და ბოლოს, ნამდვილად არა ვართ განებივრებულნი მაღალი კლასის შემსრულებლების სიმრავლით და იმის გახსენებაც გვზაფრავს, პირადული თუ სხვა მოტივებით, ნაკრებს ახლოს რომ არ აკარებდნენ **მალხაზ ასათიანსა** თუ **ალექსანდრე ამისულაშვილს, ლაშა სალუქვაძესა** თუ **დავით კვირკველიას,** ხოლო **გოგიტა გოგუა** ქეცბაიას წინამორბედ ექტორ რაულ კუპერს ერთხელაც არ უნახავს! არადა, გოგუა რომ ჩვენი ნაკრებისთვის შეუცვლელი და უაღრესად საჭირო ფეხბურთელია, ესტონეთთან, მოლდოვასთან და საბერძნეთთან ჩატარებულმა მატჩებმაც დაადასტურა (კამერუნთან შეხვედრა გამოტოვა)...

>> მე-3 გვერდზე

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზქდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# იმედიანი რეალობა

« მე-2 გვერდიდან

...ᲗᲐᲜᲐᲪ, თემურ ქეცბაია მაქსიმალურად იყენებს ამ დაუღალავი ფეხბურთელის უნივერსალურ თვისებებს: ესტონეთთან... გამთამაშებლად დააყენა, მოლდოვასთან - მარჯვენა ნახევარმცველად, საბერძნეთთან თამაში სულაც მეორე ფორვარდად დააწყებინა; ამას გარდა, სამივე დასახელებული მატჩის მსვლელობისას გოგუას არაერთხელ შეუცვლია პოზიცია. საერთოდაც, ჩვენი ნაკრების ფეხბურთელთა თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობას ერთნაირი წარმატებით შეუძლიათ სხვადასხვა პოზიციაზე ასპარეზობა: **კახა კალაძეს** - მარცხენა ფლანგზე თუ დაცვის ცენტრში; **მალხაზ ასათიანს** - დაცვის ცენტრში თუ საყრდენად, **ზურაბ ხიზანიშვილს** - ნახევარდაცვის ცენტრშიც და დაცვაშიც; **ალექსანდრე იაშვილს** - შეტევის ნებისმიერ რგოლში, **ლაშა სალუქვაძეს** - დაცვაში ნებისმიერ ადგილზე, **დავით კვირკველიას** - დაცვაში და ნახევარდაცვაში მარცხენა ფლანგზე; იმავეს ვიტყოდით ქართული ფეხბურთის მარგალიტ **ჯანო ანანიძეზე**, ხოლო **ლევან კობიაშვილს**, ერთადერთი, ალბათ, მეკარეობა არ უნდა მოვთხოვოთ...

... თემურ ქეცბაიას ხელმძღვანელობით ჩატარებულ ოთხ მატჩში საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში 27 ფეხბურთელი მონაწილეობდა. თუმცა, ფაქტობრივად გამოკვეთილია 18-კაციანი ბირთვი. ანუ ძირითადმა შემადგენლობამ სტაბილური სახე მიიღო და იმ 4 შეხვედრაში ერთი და იგივე 8-9 ფეხბურთელი იწყებდა თამაშს; ოღონდ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩვენი ნაკრების ტაქტიკური განლაგება მუდამ იცვლება (მეტოქიდან გამომდინარე) და ეს ტაქტიკური მრავალფეროვნებაც ძალიან გვახარებს. ანუ, ისე აღარ არის, როგორც, მაგალითად, კუპერის დროს იყო: 16-ვე მატჩში ჩვენი ნაკრები ერთი და იგივე განლაგებით (4-3-2-1) ასპარეზობდა!

...საბერძნეთთან ოფიციალური მატჩი იყო და შესარჩევი ციკლი წაგებით რომ არ დავიწყეთ, ესეც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია. თუმცა საქმე მხოლოდ სასურველ შედეგში არ არის (მით უფრო, იმ მატჩის წაგებაც შეიძლებოდა და მოგებაც): ბერძნებთან შეხვედრაში ჩვენი ნაკრების თამაშში დადებითი უფრო მეტი იყო, ვიდრე უარყოფითი; ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, რამდენჯერმე ვნახეთ ისეთი ეპიზოდები (განსაკუთრებით - პირველ ტაიმში), როცა დაცვიდან შეტევაში უსწრაფესად გადავდიოდით, როცა საკუთარი საჯარიმოდან ბურთი დროულად და, რაც მთავარია, ზუსტად „ამოგვქონდა", როცა მეტოქეს თავისუფალ სივრცეებს ვუზღუდავდით, როცა მაქსიმალურად ვცდილობდით „ერთი შეხებით" თამაშს, როცა ნებისმიერი მანძილიდან ბურთს მეტოქის კარისკენ ვგზავნიდით (ხიზანიშვილის ორი შორეული გასროლა გახსოვთ?) და ასე შემდეგ.

თუმცა დასახვეწიც ჯერ კიდევ ბევრია, განსაკუთრებით - წინა ხაზში და სტანდარტული მდგომარეობების შესრულებისას. მაგრამ, ყველაფერი ერთ და ორ თვეში არ „მოვა"; ამას გარდა, თვითკმაყოფილებასაც არ უნდა მივეცეთ და მიღწეულითაც არ დავკმაყოფილდეთ; 4 წაუგებელი მატჩი ჩავატარეთ? მეხუთეზე, მეექვსეზე და მეშვიდეზე ვიფიქროთ, - ყოველ შემთხვევაში, როცა ოთხი შესარჩევი მატჩი ჩატარებული იქნება, ქულათა სოლიდური მარაგით თავი მოვიწონოთ; თორემ, ხომ გვახსოვს როგორ იყო ხოლმე: შესარჩევი ციკლი დაიწყებოდა და... უკვე მაშინვე აუტსაიდერები ვხვდებოდით! რომ ვთქვათ, ამ მოკლე ხანში ყველაფერი შეიცვალაო, მართალი არ ვიქნებით; მაგრამ ბევრად სასიკეთო ცვლილებას ნამდვილად ვხედავთ, - რაც მთავარია, იმედი დაგვიბრუნდა!..

**გია ტუხაშვილი**

● მეტოქე

# საქართველო vs ისრაელი

## ყველა დაპირისპირება

### ამხანაგური მატჩი
**ისრაელი-საქართველო 2:0**

23.02.1994. აშდოდი. 15 000 მაყურებელი
1:0 ოჰანა (28), 2:0 ოჰანა (77)

ისრაელი: რ. კოენი (46. გინზბურგი) - ა. ხარაზი (46. კეისი), კლინგერი, შელახი, ბიტონი - რ. ლევი, ხაზანი (69. ბენ შიმონი), ნიმნი (46. ატარი, 82. ტურჯმანი), ბერკოვიჩი (46. ზოჰარი) - რ. ხარაზი (46. ტიკვა), ოჰანა.
*მწვრთნელი: შლომო შარფი*

საქართველო: ა. დევაძე - ბ. ბერაძე (73. დ. ჯანაშია), კ. ცხადაძე, ნ. ლობჟანიძე, გ. ჯიშკარიანი - ზ. რევიშვილი, გ. ნემსაძე, გ. ჯამარაული, თ. ტულუში (46. გ. გურული) - შ. არველაძე, ა. არველაძე (46. მ. ყაველაშვილი).
*მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე*
გაფრთხილება: ცხადაძე, ჯამარაული
არბიტრი: ჰ. ლიპკოვიჩი (ისრაელი)

### ამხანაგური მატჩი
**ისრაელი-საქართველო 1:1**

29.03.2000. აშქელონი. 8 500 მაყურებელი
0:1 ქინქლაძე (27), 1:1 ბერკოვიჩი (83)

ისრაელი: კოენი (46. კორფეინი) - ა. ხარაზი (85. ჰალფონი), ალქარი, შელახი, ბენადო - კეისი, ტალი, ბადირი, რევივო - ბერკოვიჩი - კფირი (24. სივიდია).
*მწვრთნელი: რიკარდ მიოლერ-ნილსენი*

საქართველო: ს. გრიშიკაშვილი (46. დ. გვარამაძე) - ზ. ხიზანიშვილი, ლ. სილაგაძე, გ. ნემსაძე, კ. კალაძე - გ. ჯამარაული (73. ზ. მენთეშაშვილი), თ. ქეცბაია, გ. ქინქლაძე, ლ. კობიაშვილი - გ. დემეტრაძე (46. თ. სიჭინავა), ა. არველაძე (81. რ. ალექსიძე)
*მწვრთნელები: დავით ყიფიანი-რევაზ ძოძუაშვილი*
გაფრთხილება: ხარაზი
არბიტრი: მ. თუქათი (თურქეთი)

### ამხანაგური მატჩი
**საქართველო-ისრაელი 3:2**

24.04.2001. თბილისი. ეროვნული. 10 000 მაყურებელი.
1:0 ქეცბაია (9), 1:1 მიზრახი (16), 2:1 ქეცბაია (36), 2:2 მიზრახი (73), 3:2 ა. არველაძე (88)

საქართველო: გ. ლომაია - ვ. აბრამიძე, ლ. სილაგაძე, ზ. ხიზანიშვილი (64. გ. ჭანკოტაძე), რ. ქემოკლიძე - თ. ქეცბაია, ა. რეხვიაშვილი, გ. ქინქლაძე (46. რ. ალექსიძე), გ. გახოკიძე (68. მ. ასათიანი) - შ. არველაძე, ა. არველაძე (89. ლ. მელქაძე).
*მწვრთნელები: დავით ყიფიანი-რევაზ ძოძუაშვილი*

ისრაელი: ელიმელეხი - ა. ხარაზი (80. შელახი), ბრუმერი (46. ბენადო), ზეიტუნი, გერშონი - კეისი, ბადირი, კატანი (46. ბენ დაიანი), რევივო - ბენაიუნი - მიზრახი (80. ენ ამი).
*მწვრთნელი: რიკარდ მიოლერ-ნილსენი*
გაფრთხილება: სილაგაძე; ბადირი, ბენ ამი, რევივო
არბიტრი: ს. კვარაცხელია (საქართველო)

### ამხანაგური მატჩი
**საქართველო-ისრაელი 0:1**

27.05.2004. თბილისი. ლოკომოტივი. 25 000 მაყურებელი
0:1 ბადირი (34)

საქართველო: გ. ლომაია - კ. მუავანაძე, ო. ხიზანეიშვილი, გ. კვარაცხელია, კ. კალაძე - ლ. ცქიტიშვილი, მ. ასათიანი (89. ზ. მენთეშაშვილი), დ. მუჯირი (66. დ. სირაძე), ლ. კობიაშვილი (90. თ. აფციაური) - რ. ალექსიძე, ა. იაშვილი.
*მწვრთნელი: ალენ ჟირესი*

ისრაელი: დავიდოვიჩი - ბენ იოსეფი, ბენ ჰაიმი, გერშონი, გაზალი, - ანტები, ტალი, აფეკი (69. ჰოლცმანი), ბენაიუნი - ბადირი, გოლანი (46. ნიმნი).
*მწვრთნელი: ავრამ გრანტი*
გაფრთხილება: კალაძე; აფეკი, გოლანი, ბენ იოსეფი, გერშონი.

ᲩᲕᲔᲜᲘ დღევანდელი მეტოქე არასდროს განეკუთვნებოდა მსოფლიოს გრანდთა რიცხვს და აქედან გამომდინარე, ვერც განსაკუთრებული ტიტულებით მოიწონებს თავს. ერთადერთი მიღწევა სანაკრებო დონეზე, 1964 წელს აზიის თასზე გამარჯვება იყო - 1994 წლამდე ისრაელი აზიის კონფედერაციის ეგიდით ჩატარებულ ტურნირებში მონაწილეობდა. უეფაში გაწევრებას კი ხელი პოლიტიკურმა პროცესებმა „შეუწყო": ყველას კარგად მოეხსენება, თუ როგორი რთული მდგომარეობა იყო ისრაელსა და არაბულ სახელმწიფოებს შორის. ანუ, 1994 წლიდან ისრაელის საფეხბურთო ნაკრები თუ ამ ქვეყნის კლუბები ევროპული საფეხბურთო „ოჯახის" წევრები გახდნენ.

ზემოთაც აღვნიშნეთ, ამ ქვეყნის ნაკრები გრანდთა რიცხვს არ მიეკუთვნებაო, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლო წლების განმავლობაში ისრაელი მუდამ სტაბილურად ასპარეზობდა და ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრადაც მცირედი აკლდებოდა. აი, თუნდაც 1999 წელს, როცა პლეოფში ვერ დაძლიეს დანიის წინააღმდეგობა, თორემ არსებობის ისტორიაში პირველად იასპარეზებდნენ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. აი, რაც შეეხება მუნდიალის ფინალურ ეტაპს, ისრაელს ერთხელ უკვე აქვს მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობა მიღებული (1970 წელს).


იოსი ბენაიუნი

ისრაელის ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელს ევროპის ცნობილ კლუბებში უთამაშიათ: **ელი ოჰანას, ავი ნიმნის, ეიალ ბერკოვიჩს, ნირ კლინგერს, ამირ შელახს, ალონ ხარაზის, არიკ ბენადოს, ხაიმ რევივოს, რონი როზენტალს, დუდუ ავატს, იდან ტალის, ნილ დავიდოვიჩს.** თუმცა, ისრაელის ფეხბურთის ნომერ პირველი ვარსკვლავი 30 წლის **იოსი ბენაიუნია** - ნაკრების კაპიტანი და უპირობო ლიდერი. 1998 წლის 18 ნოემბერს პორტუგალიასთან მატჩში ბენაიუნის სანაკრებო დებიუტი შედგა და მის მერე 12 წელიწადია ისრაელის ნაკრები ამ ნიჭიერი ნახევარმცველის გარეშე წარმოუდგენელია.

საკლუბო კარიერა სამშობლოში, მოკრძალებულ „ჰაპოელში" (ბეერ-შევა) დაიწყო, შემდეგ კი ოთხი სეზონი ისრაელის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბის, ჰაიფას „მაკაბის" ლიდერი გახლდათ. 2002-05 წლებში, ესპანეთში, კერძოდ სანტადერის „რასინგში" თამაშობდა, საიდანაც ინგლისურ პრემიერლიგაში, „ვესტ ჰემ იუნაიტედში" გადავიდა. ბენაიუნმა ამ გუნდშიც გაიბრწყინა და არავის გაუკვირდა, როდესაც 2007 წელს „ლივერპულმა" შეიძინა.

მერსისაიდულ კლუბში ბენაიუნმა სამი სეზონის განმავლობაში არაერთი შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა, რამდენიმე მნიშვნელოვანი გოლიც გაიტანა, მაგრამ „ლივერპულის" იმდროინდელი თავკაცი **რაფა ბენიტესი** 100 პროცენტით მაინც არ ენდობოდა. ამ ზაფხულს კი, როგორც უკვე იცით, ბენაიუნი „ჩელსიში" გადავიდა, არადა, ერთი პერიოდი თითქმის გადაწყვეტილი იყო ისრაელის ნაკრების კაპიტნის... რუსულ პრემიერ-ლიგაში გადასვლა.

აქვე, ბარემ ისრაელის ნაკრების მწვრთნელებზეც ვთქვათ და უპირველესად **შლომო შარფი** უნდა ვახსენოთ, ყველაზე დიდხანს, 8 წლის განმავლობაში რომ თავკაცობდა თავისი ქვეყნის ნაკრებს; 2000 წელს შარფი **რიკარდ მიოლერ-ნილსენმა** შეცვალა - 1992 წლის დანიის ნაკრების წარმატების სულისჩამდგმელმა. მერე იყო **ავრამ გრანტის** ოთხწლიანი პერიოდი; ვის შემდეგაც ასევე ოთხი წელი **დრორ კაშტანი** ხელმძღვანელობდა ისრაელის ნაკრებს და ამჟამად კი უცხოელი სპეციალისტი, ქართველებისათვის კარგად ნაცნობი ფრანგი **ლუის ფერნანდესი** მუშაობს. როგორც ფეხბურთელს, ფერნანდესს მართლაც ჩინებული კარიერა ჰქონდა: ათი წლის განმავლობაში (1982-1992) საფრანგეთის ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე და **მიშელ პლატინისთან, ალენ ჟირესთან** და **ჟან ტიგანასთან** ერთად ამ გუნდის მართლაც ზღაპრული ნახევარდაცვის წევრი გახლდათ.

კარიერა მოკრძალებულ „კანში" დაასრულა, სადაც დაიწყო კიდეც მწვრთნელობა; შემდეგ იყო წარმატებული პერიოდი თავის მშობლიურ „პარი სენ-ჟერმენში", რის შემდეგაც ბილბაოს „ატლეტიკში" გადავიდა და ეს ბასკური გუნდი, ისტორიაში პირველად, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გაიყვანა. თანაც, 1998 წლის ზაფხულში ამისათვის „ატლეტიკს"... თბილისის „დინამოს" დამარცხება დასჭირდა. სხვათა შორის, ბილბაოში მუშაობის შემდეგ ფერნანდესს სამწვრთნელო ასპარეზზე განსაკუთრებული წარმატებები არ ჰქონია; გარკვეული პერიოდი სულაც დაუსაქმებელი გახლდათ და აი, ამა წლის მარტში ისრაელის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა.

საქართველოსა და ისრაელის ნაკრებები დღემდე ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და წინა ოთხივე დაპირისპირება ამხანაგური მატჩები იყო. პირველი შეხვედრა 1994 წლის 23 თებერვალს ჩატარდა: იმ დროისათვის საქართველოს ნაკრებისთვის საერთაშორისო მატჩები სასიამოვნო იშვიათობას წარმოადგენდა; აშდოდში ჩატარებული ის მატჩი მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა: „დუბლი" შეასრულა ვეტერანმა ფორვარდმა **ელი ოჰანამ**; არადა, მეორე ტაიმში **ზაზა რევიშვილმა** პენალტი ვერ გამოიყენა (იმ დროს მინიმალური სხვაობით ვაგებდით). ის მატჩი მნიშვნელოვანი სხვა ფაქტორებითაც იყო: პირველად იასპარეზეს ნაკრებში ერთად **შოთა** და **არჩილ არველაძეებმა** (ამ უკანასკნელს, სულაც დებიუტი ჰქონდა, ისე როგორც ბათუმის „დინამოს" შემტევს **თეიმურაზ ტუღუშს**); ხოლო გია გურული საქართველოს ნაკრებს ოთხწლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა.

ისრაელთან მომდევნო მატჩიც სტუმრად ჩავატარეთ - ჩვენს ნაკრებს **დავით ყიფიანისა და რევაზ ძოძუაშვილის** „ტანდემი" ხელმძღვანელობდა და ის მატჩი ფრედ დასრულდა (1:1). პირველ ტაიმში თავი **გიორგი ქინქლაძემ** გამოიჩინა, მატჩის მიწურულს კი მასპინძელთა ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა **ეიალ ბერკოვიჩმა** ანგარიში გაათანაბრა. 2001 წლის 24 აპრილს კი ისრაელის ნაკრებს პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი მარცხი ვაგემეთ. აღსანიშნავია, რომ დავით ყიფიანმა და რევაზ ძოძუაშვილმა ჩვენი ნაკრების შემადგენლობა სერიოზულად გადაახალისეს (ისრაელთან მატჩამდე თბილისში რუმინეთთან პრინციპული მატჩი წავაგეთ). ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, საქართველოს ნაკრებში დებიუტი ჰქონდათ **გიორგი ლომაიას** და 19 წლის **მალხაზ ასათიანს**. მატჩის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი კი, **თემურ ქეცბაია** გახლდათ - საქართველოს ნაკრების დღევანდელმა თავკაცმა მეტოქის კარში 2 გოლი გაიტანა!

უკანასკნელი შეხვედრა კი 6 წლის წინათ იყო; სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე **ალენ ჟირესის** დებიუტი წარუმატებელი გამოდგა - ისრაელთან მინიმალური სხვაობით დავმარცხდით. თუმცა ამხანაგური შეხვედრების სტატისტიკას ნუ „გამოვეკიდებით" - ისრაელის ნაკრებთან, მთავარია, დღეიდან გვქონდეს დადებითი ბალანსი...

**გია ტუხაშვილი**

● თარიღი კომენტარით

# თბილისის დინამო, 1936 წლის 7 სექტემბერი

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ სსრ კავშირის ჩემპიონატს 1936 წელს ჩაეყარა საფუძველი. B ჯგუფში ჩინებულად ითამაშეს თბილისის დინამოელებმა და წაუგებლად გავიდნენ პირველ ადგილზე, რითაც მოიპოვეს A ჯგუფში გამოსვლის უფლება.

გთავაზობთ ვეტერანი სპორტული ჟურნალისტის **გარუნ აკოფოვის** კომენტარს.

„სსრ კავშირის მორიგი, მეორე ჩემპიონატიდან, რომელიც იმავე 1936 წლის შემოდგომაზე გაიმართა, იწყება ჩვენი გუნდის ბიოგრაფია დიდ ფეხბურთში.

მაშ, ასე, 1936 წლის 7 სექტემბერს მოსკოველი არბიტრის ნ. ვასილიევის სასტვენზე თბილისის „დინამოს" სტადიონზე დაიწყო უმაღლესი დონის პირველი მატჩი. თამაშობდნენ კიევისა და თბილისის დინამოელთა გუნდები. ჯერ კიდევ დაუმთავრებელი სტადიონის ტრიბუნებზე (მეორე და მესამე იარუსები ხარაჩოებში იყო) 10 ათასამდე მაყურებელი შეიკრიბა.

თბილისელთა გუნდში თამაშობდნენ: მეკარე **დოროხოვი**, დაცვა - **შავგულიძე** (შეცვალა **ნიკოლაიშვილმა**) და **ჯორბენაძე**, ნახევარდაცვა - **ანიკინი, ვ. ბერძენიშვილი** და **გაგუა**, თავდასხმა - **სომოვი, მ. ბერძენიშვილი, პაიჭაძე, ასლამაზოვი** და **პანინი**.

მესამე წუთზე შჩეგოცკიმ გახსნა ანგარიში. მე-17 წუთზე ჩინებულად მოთამაშე თბილისელთა მარცხენა გარემარბმა სომოვმა მოატყუა ორი მეტოქე და ბურთი კიეველთა კარში გაგზავნა.

პირველი ტაიმის მიწურულს კიეველთა ბადეში მეორე ბურთი აღმოჩნდა, რომელიც თბილისელთა ცენტრფორვარდმა პაიჭაძემ გაიტანა. და მხოლოდ ასპარეზობის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე პენალტმა მისცა შესაძლებლობა კიეველებს, ფრედ დაემთავრებინათ მატჩი."


1936 წელი, თბილისის დინამოს ფეხბურთელები

ეროვნული ბიბლიოთეკა



U 21. საქართველო-სომხეთი. 19:00. მატჩის წინ

## ოთარ გაბელია

# მთავარია, ხალხი გავახაროთ

**ახალგაზრდულ** ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შანსი გაუჩნდა. ოთარ გაბელიას გუნდმა საქარიაში თურქ თანატოლთა ძლევით ყველას დიდი სიხარული მოგვიტანა, თავად კი 2011 წელს დანიის მოედნებზე თამაშის შესაძლებლობის რწმენა განიმტკიცა.

გუშინ გაბელიამ „ლოკომოტივის" სტადიონზე პრესკონფერენცია გამართა, თუმცა, ჩვენ მანამდე ვრცელი ინტერვიუ ჩამოვართვით...

**- ბატონო ოთარ, 12 წელიწადია საქართველოს ახალგაზრდული ჯგუფში მეორე ადგილზე არ გასულა. სომხებთან მოგების შემთხვევაში, ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსიც გვიჩნდება - ეს ყველაფერი ზღაპარს ჰგავს...**

- ჯერ სომხებთან მოვიგოთ და შანსებზე მერე ვილაპარაკოთ. ჩვენ უპირველესად ვფიქრობთ ხალხზე, რომელიც შედეგსაა მონატრებული. ბევრს ნიშნავს, ფეხბურთელებს მოგების გემოს რომ დაუბრუნებ. თანაც ისეთ გუნდებთან, რომლებთანაც წინასწარ წაგებისთვის გვწირავდნენ. თურქეთის ეს თაობა მსოფლიო ჩემპიონატის მესამეადგილოსანია და ამით ყველაფერია ნათქვამი - გამოდის, ჩვენს ბიჭებს ძალიან ბევრი შეუძლიათ. ეს დიდი ბედნიერებაა.

ოდნავ შებოჭილები ვიყავით. შესვენებაზე ბიჭებს მეტი აქტიურობისკენ მოვუწოდეთ და გუნდი უფრო მწვავედ და სახიფათოდ ათამაშდა. მართალია, თურქებმა ავტოგოლი მიილეს, მაგრამ ოთხი რეალური საგოლე მომენტი შევქმენით - წინამძღვრიშვილს, შარაშენიძეს, ოქრიაშვილსა და დაუშვილს მეტის გატანა შეეძლოთ.

თამაშამდე ბიჭებს შვეიცარია-თურქეთის მატჩის ჩანაწერი ვაჩვენეთ და ყურადღება თურქების ნაკლზე გავამახვილეთ. ეტყობა, არ შევმცდარვართ.

**- აშკარაა, რომ გუნდის დაკომპლექტებისას მოთამაშეთა ხასიათს ითვალისწინებთ.**

- რა თქმა უნდა, ყველაფერს ვითვალისწინებთ, კლასსაც, ხასიათებსაც, საქმისადმი დამოკიდებულებას. შეიძლება, მოთამაშე ძალიან მაგარი იყოს, მაგრამ უხასიათო. ასეთის გამოძახებას კატეგორიულად ვერიდები. დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ როგორც სათამაშო, ასევე ცხოვრებისეულ დისციპლინას. როგორც მინდვრის გარეთ იქცევი, ასევე მოიქცევი მოედანზე. ოსტატობა მთავარი კრიტერიუმია, მაგრამ თანაბარი დონის მოთამაშეებს შორის, უპირატესობას გუნდური სულისკვეთებით განმსჭვალულ, მეგობრულ და კარგი ხასიათის ფეხბურთელს ვანიჭებ. ახალგაზრდა კაცის მდგომარეობა უნდა გაითვალისწინო, ყველაფერს




ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**- თამაშზეც ვილაპარაკოთ...**

- ზესტაფონში ნათამაშები შემადგენლობიდან თურქებმა სულ სამი ფეხბურთელი დაგვახვედრეს. დანარჩენები ახლები იყვნენ. სხვათა შორის, აიგიუნეში და კესე გერმანიაში დაბადებულ-გაზრდილები არიან და ორივე ძალიან მომეწონა. ბუნებრივია, ზესტაფონში 0:4 წაგების შემდეგ, რევანში სწყუროდათ. გამიკვირდა, მოედნის საფარი რომ არ ვარგოდა. თუმცა, მოედანი ორივეს გვიშლიდა ხელს. სხვათა შორის, მასპინძლებს მეორე ტაიმში ვაჯობეთ.

**- თქვენი აზრით, რამ განაპირობა გამარჯვება?**

- უკეთესმა ფსიქოლოგიურმა მომზადებამ და მობილიზებულმა თამაშმა. ბიჭებს მატჩამდე გამუდმებით ვუმეორებდი, თუკი ჩვენს ფეხბურთს ვაჩვენებთ, საქარიაშიც მოვიგებთ-მეთქი. პირველ ტაიმში, სიფრთხილის გამო,

ყურადღებას ვაქცევთ. შეიძლება, შეცდომა მოუვიდეს და ესეც მესმის, უშეცდომო ვინაა? მწვრთნელებიც ვცდებით. თუმცა, ნაკრებში ჩამოუსვლელობას არავის ვაპატიებთ. გვინდა თანამოაზრე მოთამაშეები, რომლებიც ბოლომდე იხარჯებიან. მოწინააღმდეგემ შეიძლება ოსტატობაში გაჯობოს, მაგრამ მონდომება მაინც მაჩვენე! ბუნებრივია, ჩნდებოდა კითხვები, ესა და ეს რატომ არ გამოიძახეთო, მაგრამ სულელები ხომ არ ვართ, საჭირო მოთამაშეზე უარი გვეთქვა? ე.ი. მისი არგამოძახების საფუძველი გვქონდა. ვერ გამიგია, რატომ არ უნდა ესმოდეს ფეხბურთელს, რომ ნაკრებში თამაში და წარმატება ისევ და ისევ მისთვისაა საჭირო და სასურველი. თავს გამოიჩენ და პირველ ნაკრებამდე ერთი ნაბიჯია. შენს თამაშს უამრავი სკაუტი უყურებს, გადახედავენ საინტერესო ფეხბურთელის დოსიეს და აღმოაჩენენ, რომ ნაკრებში ბევრჯერ და კარგად გითამაშია, შანსი გიჩნდება სასურველ კლუბში მოხვდე და ცხოვრება აიწყო - ვისაც ეს არ ესმის, მე რა მოვუხერხო?

**- საკმაოდ ბევრი მოთამაშე გასინჯეთ, შეიძლება ითქვას, რომ ოპტიმალურ ბირთვს მიაკვლიეთ?**

- 35 მოთამაშე გავსინჯეთ, ბევრჯერ დანაკლისით ვითამაშეთ, მაგრამ სასურველ შემადგენლობას თავი მაინც ვერ მოვუყარეთ - ზოგი ტრავმირებული იყო, ზოგი დისკვალიფიცირებული და ა.შ. რას ვიზამთ, ყველა ნაკრებში ასე ხდება. ბოლო შეხვედრაში ოთხი მნიშვნელოვანი ფეხბურთელი გვაკლდა. ჯანო ანანიძეზე ლაპარაკი არაა, რადგან ეროვნულ ნაკრებს თუ დასჭირდება, მთელი შემადგენლობა უნდა დავუთმოთ - ახალგაზრდულის მისია სწორედ ესაა.

მომწონს, რომ კონკურენციამ დადებითად იმოქმედა ფეხბურთელებზე და ყველა დარწმუნდა, შეუცვლელი არავინაა.

**- სამხრეთელები ვართ და წარმატების შემდეგ, მობილიზება გვიჭირს -რას აკეთებთ, გუნდი სომხეთთანაც მობილიზებული რომ იყოს?**

- თურქებთან თამაში რომ დასრულდა, ბიჭებს გარკვევით ვუთხარი, რომ თურქეთი უკვე წარსულს ჩაბარდა, ახლა სომხებთან მოგებაზე უნდა ვიფიქროთ-თქო. დღეს მძიმე შეხვედრა გველის, რადგან სომხებს მოტივაცია აღარ გააჩნიათ და თავისუფლად ითამაშებენ, ჩვენ კი მოგება გვჭირდება. ვფიქრობ, ბიჭებსაც მშვენივრად ესმით სომხეთთან მატჩის მნიშვნელობა. ხალხი ეროვნული გუნდის ღირსეულ თამაშსაც მონატრებული იყო და თემურ ქეცბაიას გაწვრთნილებმა ყველა უზომოდ გაგვახარა. სხვათა შორის, საქარიაში სასტუმროში ქართული არხები ჩავართვევინეთ და უნდა გენახათ, იაშვილის გოლზე რა ხდებოდა. თემურს და ბიჭებს ჩვენი ნაკრების სახელით წარმატებულ სტარტს ვულოცავ და იმედია, ისრაელთანაც გაგვახარებენ. ცუდი ისაა, რომ თამაშის დროში მცირე სხვაობაა და პირველივე წუთებიდან ვერ ვუგულშემატკივრებთ.

**- ჩვენი ბიჭები ახლა გამგელებულებიც არიან და ხელს ისიც გვიწყობს, რომ სომხები ლიდერის, ჰამლეტ მხითარიანის გარეშე ჩამოდიან...**

- მხითარიანი ერევანშიც იყო, მაგრამ მოვიგეთ. ჩვენ ოთხი ფეხბურთელი გვაკლია. ერთი კაცი მატჩის ბედს არ წყვეტს, მთავარი გუნდური თამაშია. სომხების სხვა მოთამაშეებიც საკმაოდ მაღალი დონის არიან და მთელი მონდომებით უნდა ვითამაშოთ. ჩვენ არ ვუყურებთ სხვა ჯგუფებში ვითარებას, მთავარია, მოვიგოთ. საქართველოსთვის ჯგუფში მეორე ადგილზე გასვლა ისედაც წარმატება იქნება. თუმცა, ჯერ 7 სექტემბერს გვაქვს სათამაშო და ეს მატჩი უნდა მოვიგოთ.

**- ფეხბურთელებმა მცირე დროში ძალების აღდგენა მოასწრეს?**

- „დინამოს" ხელმძღვანელობამ დიღმის ბაზაზე აღდგენითი ცენტრი დაგვითმო, დიდი მადლობა ამისთვის. ბიჭები სათამაშოდ მზად არიან. მცირე ხნით მხოლოდ გიორგი რეხვიაშვილი გავუშვით - შვილი შეეძინა, რასაც გუნდის სახელით ვულოცავ. სხვათა შორის, იმ ბიჭების სასახელოდ უნდა ვთქვა, რომელებიც ძირითად შემადგენლობაში არ მოხვდნენ - ყველა ერთ მუშტად იყო შეკრული და ყველა ერთმანეთს ქომაგობდა. აი, ესაა გუნდური სულისკვეთება.

**- ტრავმა ვინმეს ხომ არ აწუხებს?**

- საბედნიეროდ, ყველა მწყობრშია და გიორგი ხიდეშელიც დაგვემატა.

**- წაგებაზე თურქებს რა რეაქცია ჰქონდათ?**

- მოგებაში იმდენად იყვნენ დარწმუნებულები, შედეგმა აშკარად დააბნია და მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაც არ გამართულა.

U 21. მეტოქე



## ფლემინგ სერიტსლევი

# ტყუილად გგონიათ, რომ თავს არ მოვიკლავთ...

**სომხეთის** ახალგაზრდული ნაკრები თბილისში მატჩამდე ორი დღით ადრე გვესტუმრა და უმალ თამაშისთვის მზადებას შეუდგა. გუშინ 18 საათზე სტუმრებმა „ლოკომოტივის" სტადიონზე საღამოს 18:00 საათზე ივარჯიშეს, მანამდე კი სომხების დანიელმა მთავარმა მწვრთნელმა ფლემინგ სერიტსლევმა პრესკონფერენცია გამართა და გასაგებად განაცხადა, რომ თბილისში არაფრის დათმობას არ აპირებს.

**- თქვენი აზრით, პირველი შეხვედრის შედეგი კანონზომიერი იყო? და კიდევ - რას ელით ხვალინდელი შეხვედრისგან?**

- უპირველესად, გილოცავთ კარგ შედეგს. რაც შეეხება პირველ შეხვედრას, ძალიან გამიჭირდება, ვიყო ნეიტრალური. თამაში უდავოდ სანახაობრივი იყო. რაც შეეხება კანონზომიერებას - შესაძლოა, არ დამეთანხმოთ, მაგრამ ერევანში უნდა მოგვეგო, რადგან უამრავი საგოლე მომენტი შევქმენით. თუმცა ფეხბურთი მხოლოდ შეტევა არაა, დაცვაც აუცილებელია. კარგად ვუტევდით, მაგრამ თავს ცუდად ვიცავდით, უხეშ შეცდომებს ვუშვებდით და მოწინააღმდეგემ ამით მშვენივრად ისარგებლა. ამის მიუხედავადაც, სომხეთს უნდა მოეგო. გადახედეთ უეფას ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ სტატისტიკურ მაჩვენებლებს და ნახავთ, რამხელა უპირატესობა გვქონდა - კარში 14-ჯერ დავარტყით, მაგრამ მხოლოდ ორი გავიტანეთ, საქართველომ კი კარის მიმართულებით სულ სამჯერ დაარტყა და სამივე გაიტანა. ეს ილბალიცაა. თუმცა ამ ყველაფრის შემდეგ რომ წავაგეთ, ბუნებრივია, ისევ და ისევ საკუთარ თავს უნდა დავაბრალოთ.

**- სამშაბათს რევანშის იმედად ხართ?**

- რა თქმა უნდა, რევანშის აღებას ვეცდებით. შესაძლოა, ფიქრობთ, რომ ჯგუფიდან გასვლის შანსი დავკარგეთ და გამომდინარე აქედან, შეხვედრა ჩვენთვის უმნიშვნელოა - ამ დროს, სწორედაც რომ მნიშვნელოვანია, რადგან მეზობლების მატჩი ყოველთვის პრინციპულია. ჩვენთვის ბევრს ნიშნავს შესარჩევი ციკლის რაც შეიძლება კარგად დასრულება, სატურნირო ცხრილში მაქსიმალურად მაღალი ადგილის დაკავება და ქვეყანას რეიტინგის გაზრდაა. მეორე მხრივ, ჩემთვისაც, როგორც მწვრთნელისთვის, მნიშვნელოვანი მატჩია - ამ შეხვედრის შემდეგ მთავარი მწვრთნელის პოსტს ვტოვებ, მსურს, სომხეთის ნაკრებში მუშაობა გამარჯვებით დავასრულო... ასე რომ, თუ ვინმეს ჰგონია, რომ საქართველოს ახალგაზრდული გუნდი აუცილებლად მოგვიგებს და ჩვენ მატჩს ზერელედ მოვეკიდებით, ძალიან ცდება. მაქსიმალური შედეგისთვის ვიბრძოლებთ და ვეცდებით საკუთარ გულშემატკივარს დავუმტკიცოთ, რომ ერევანში წაგებას არ ვიმსახურებდით.

**- როგორც გავიგეთ, გენრიხ მხითარიანი ვერ გამოიძახეთ...**

- კარგი იქნებოდა, დაგვეხმარებოდა, მაგრამ რას ვიზამთ, ეროვნული ნაკრების ინტერესი ყველა სხვა ნაკრებისაზე მაღლა დგას. გენრიხ მხითარიანი დამოუკიდებელი სომხეთის ისტორიაში ყველაზე ნიჭიერი ფეხბურთელია და ბუნებრივიცაა, ეროვნულ ნაკრებში რომ მიიწვიეს. ამ კუთხით არახელსაყრელ ვითარებაში ვართ: ეროვნულ ნაკრებში გამოიძახეს არა მხოლოდ მხითარიანი, არამედ კიდევ შვიდი მოთამაშე, რომელმაც საქართველოს წინააღმდეგ ითამაშა. ასე რომ, შეიძლება ითქვას, თბილისში განსხვავებული გუნდით ვითამაშებთ. ამის მიუხედავად, მაინც საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა გვყავს, რადგან დამოუკიდებელი სომხეთის ისტორიაში, შესაძლოა, მანამდეც, ასეთი ძლიერი თაობა არ გაზრდილა. პირადად მე ამაყი და ბედნიერი ვარ, ჩემი გუნდიდან ეროვნულში რვა მოთამშე რომ მიიწვიეს. გამოდის, ტყუილად არ გვიმუშავია.

**- ბრძანეთ, ერევანში უნდა მოგვეგოო. ჯგუფში საქართველოს მეორე ადგილზე ყოფნაც არალოგიკურად მიგაჩნიათ?!**

- საფეხბურთო ენაზე რომ ვთქვათ, ცხრილი არასდროს იტყუება. საქართველოს უდავოდ ძლიერი და დაბალანსებული გუნდი ჰყავს, მწვრთნელმა უდავოდ კარგი კოლექტივი ჩამოაყალიბა. ასე რომ არ ყოფილიყო, თურქეთს შინ და გარეთ ორჯერ, თანაც დამაჯერებელი ანგარიშით ვერ მოუგებდით. სხვათა შორის, ერევანში შეხვედრამდე, ჩვენც მეორე ადგილის დაკავების ამბიცია გვქონდა, მაგრამ ქართველების გამარჯვებამ იმედი გაგვიცრუა. და მაინც, ვიმეორებ - ჩვენთვის შეხვედრა პრინციპულია და არაფრის დათმობას არ ვაპირებთ.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

U 21. წინასამატჩო



## ირაკლი კლიმიაშვილი: თავი ისე გაიგიჟა, ბრაზილიის ნაკრებში დავაყენებდი...

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა გუშინ „ლოკომოტივზე" გენერალური რეპეტიცია გამართა. ფეხბურთელებს თურქეთთან გამარჯვებასა და სომხეთთან მომავალ მატჩებზე ველაპარაკეთ.

**ირაკლი კლიმიაშვილი:** „თურქებს კურიოზული გოლი გავუტანეთ. მცველმა ბურთი მეკარეს დაუბრუნა, მე კი ამ დროს მეკარისკენ გავიქეცი, ხელის შეშლა მსურდა და ბურთს ფეხი არ ააცილა? გოლმა იმდენად გამახარა, ნორმალურად არც მახსოვს, სად ვიდექი, ცენტრში თუ ფლანგზე. უბედნიერესი ვიყავი, მთელი გუნდი სათადარიგოთა სკამისკენ მეკარიანად გავექანეთ და ერთი ამბავი იყო. გოლის შემდეგ თურქებმა შემოგვიტიეს, მაგრამ ბიჭები დაცვაში ისე დადგნენ, რუსის ჯარსაც არ შემოუშვებდნენ. ჩვენც რამდენიმე მწვავე შეტევა განვახორციელეთ და ვფიქრობ, დამსახურებულად მოვიგეთ. ყველამ კარგად ითამაშა, მაგრამ განსაკუთრებით როინ კვასხვაძე უნდა გამოვყო - თავი ისე გაიგიჟა, მაგას ბრაზილიის ნაკრებში დავაყენებდი. მოგების შემდეგ ისეთი გახარებული ვიყავი, სიხარულისგან ცრემლები წამომივიდა. სხვათა შორის, მასპინძლები საკმაოდ უხეშობდნენ და მოედანი ამიტომ დავტოვე. თუმცა, საშიში არაფერია და გუნდთან ერთად ვივარჯიშე. ასე რომ, ყველა ჯანმრთელად ვართ და თამაშისთვის ვემზადებით".

**რეზო ბარაბაძე:** „ირაკლი მეკარეს კარგად გაყვა და ფაქტობრივად, შეცდომა დააშვებინა. მასპინძლები მართლა საკმაოდ უხეშობდნენ, მაგრამ გადავრჩით და ტრავმა არავის გვაწუხებს. სხვათაშორის, თავიდან მსაჯმა რამდენჯერმე სადავო გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ მთლიანობაში საკმაოდ კარგად გვიმსაჯა, რაც ძალიან გამიკვირდა. ახლა მთავარია სომხებთანაც ღირსეულად ვითამაშოთ, მოვიგოთ და ჯგუფი მეორე ადგილით დავასრულოთ".

**გულვერდ თომაშვილი:** „ნაკრებში ცენტრალურ მცველად პირველად ვითამაშე. თურქებს ძალიან კარგი თავდამსხმელები ჰყავდათ, მაგრამ რადგან კარი „მშრალად" შევინახეთ, ვფიქრობ, მცველებმა დავალებებს თავი გავართვით. პირველ ტაიმში საკმაოდ კარგად გვიტევდნენ და ალბათ, გაგვიმართლა კიდეც. ისე, ილბალი ის იქნება ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თუ გავალთ. ამიტომაა სომხებთან მატჩი ძალიან მნიშვნელოვანი. ახლა ყველაზე მეტად გვჭირდება მობილიზაცია, მოპოვებული წარმატება რომ შევინარჩუნოთ და ციკლიც კარგად დავასრულოთ. ჯერ მხოლოდ იმიტომ დავდებთ თავს, რომ 1998 წელს დაბადებული ბიჭებისთვის ეს ახალგაზრდულ ნაკრებში ბოლო მატჩი იქნება".

**როინ კვასხვაძე:** „წინასწარ ვიცოდით, რომ ურთულესი შეხვედრა გველოდა და ბიჭები მობილიზებულები ვიყავით. ასე მგონია, კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ჩავატარე. სტადიონზე თურქებმა ნახეს მეომარი, საკუთარ ძალებში დარწმუნებული ნაკრები. ეს უკვე ხასიათში გაგვიჯდა, ვიბრძვით და ვიგებთ. იმედია, სომხებთანაც ასე მოხდება და ხალხს გავახარებთ. თურქებთან მოგებაზე ალარ ვფიქრობთ, მთავარია სომხებთან მატჩისთვის კარგად მოვემზადოთ"!

**თემურ შარაშენიძე:** „ეს ნაკრებში ჩემი პირველი ოფიციალური შეხვედრა იყო და მესიამოვნა, ბიჭები ისე კარგად დამხვდნენ, თავი უცხოდ არ მიგრძვნია. სხვათა შორის, დაძაბული მატჩი იყო, თურქები საკმაოდ უხეშობდნენ და ამის გამო შევცვალე ირაკლი კლიმიაშვილი. ბოლო წუთზე გოლის გატანაც შემეძლო, მაგრამ კარგად ვერ დავარტყი".

**გიორგი განუგრავა:** „ყველაზე ახალგაზრდა ვეტერანი ვარ და აბსოლუტურად გულწრფელად ვამბობ, რომ ასეთი შეკრული და ბრძოლისუნარიანი ნაკრები არასდროს გვყოლია. ეს იყო მნიშვნელოვანი შეხვედრა, მაგრამ სომხებთან მატჩი გადამწყვეტია და იმედია, მასაც ისეთივე ჟიგრით ჩავატარებთ, როგორც თურქეთთან და გავიმარჯვებთ".

**მერაბ მამულაშვილი**

საქართველო-ისრაელი. მეტოქე

# ძველი, კარგი ნაცნობი

## ლუის ფერნანდესი: მიხარია, რომ ფეხბურთი ასე გიყვართ!

**ლუის ფერნანდესი** - ჩვენი ძველი ნაცნობი, ფრანგული ფეხბურთის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი და დღესდღეობით ისრაელის ნაკრების მთავარი მწვრთნელი... იქვე იმყოფებოდა ასევე ძველი ნაცნობი... გიორგი დარასელია - ქუთაისის „ტორპედოს", „სამტრედიას", ფოთის „კოლხეთის" ყოფილი ნახევარმცველი და ბომბარდირი (!), წლების განმავლობაში ისრაელში თამაშობდა და თან - წარმატებითაც. საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში რამდენჯერმე ნათამაშები დარასელია დღესდღეობით ჰაიფას „მაქაბის" მთავარი მწვრთნელის ასისტენტად მუშაობს, გუშინ კი პრესკონფერენციაზე თარჯიმნობაც შეითავსა და აი, ასე - რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ ქართველი ჟურნალისტების წინაშე... ლუის ფერნანდესთან ერთად წარდგა.

პრესკონფერენციას ქართველთან ერთად ებრაელი ჟურნალისტებიც ესწრებოდნენ, მკითხველს კი მეტ-ნაკლებად საინტერესო კითხვა-პასუხს შემოგთავაზებთ. ერთს კი წინასწარ ვიტყვით: ისე როგორც 12 წლის წინათ, ლუის ფერნანდესი კვლავაც მხოლოდ დადებითი კუთხით წარმოჩინდა. ბევრი უცხოელი (თან - სახელგვარიანი) მწვრთნელი ჩამოსულა თბილისში და უმეტესობისგან „ზემოდან ყურება" გვიგრძვნია, რასაც ფერნანდესზე (თავის დროზე სერიოზული დონის ფეხბურთელსა და არცთუ ურიგო მწვრთნელზე) ნამდვილად ვერ ვიტყვით...

**- საქართველოს ნაკრებზე რა ინფორმაციას ფლობთ?**

- ვიდრე ისრაელის ნაკრებში დავინიშნებოდი, საქართველოს ნაკრებზე და ზოგადად, ქართულ ფეხბურთზე ადრეც ბევრი მსმენია. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ქართველი ფეხბურთელები ევროპის ცნობილ კლუბებში თამაშობენ. ამას გარდა, მხოლოდ კარგი მსმენია საქართველოს ნაკრების მწვრთნელზე - თემურ ქეცბაიაზე.

**- საბერძნეთი-საქართველოს შეხვედრის ვიდეოფირს საგულდაგულოდ გაარჩევდით...**

- არამხოლოდ ეს მატჩი, არამედ საქართველოს ნაკრების წინა სამი ამხანაგური შეხვედრებიც ვნახე. კიდევ ვიმეორებ: ძალიან კარგი ფეხბურთელები გყავთ, უმეტესობა რუსეთში ასპარეზობს; ისიც ვიცი, რომ საქართველოს ნაკრების ცენტრფორვარდი ისრაელის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბში, ჰაიფას „მაქაბიში" თამაშობს. სამწუხაროდ, ქართველი ფეხბურთელების გვარების გამოთქმა მიჭირს და ამაზე უნდა მომიტევოთ...

**- შესარჩევი ციკლის დაწყებამდე ამ ჯგუფის ფავორიტებად საბერძნეთსა და ხორვატიას ასახელებდნენ...**

- გეთანხმებით, ბევრი მართლაც ასე ფიქრობდა, თუმცა იმავე საბერძნეთი-საქართველოს მატჩის შედეგმა ყველას დაგვანახვა, რომ საქართველოს ნაკრებს რეალურად შეუძლია ჯგუფში პირველ-მეორე ადგილებისათვის იბრძოლოს.

**- ისრაელის ნაკრებს თბილისში არ ჩამოჰყვა გუნდის ლიდერი და კაპიტანი იოსი ბენაიუნი...**

- ბენაიუნი გუნდთან ერთად არ ჩამოსულა; უბრალოდ, თბილისში გამომგზავრების წინ, ბოლო ვარჯიშის მერე გადავწყვიტეთ, რომ საქართველოში ცალკე ჩამოსულიყო. ანუ, აქ ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ...

**- თბილისში 12 წლის წინათ იმყოფებოდით, როცა ბილბაოს „ატლეტიკის" ხელმძღვანელობდით. ის მატჩი გახსოვთ?**

- საპრესკონფერენციო დარბაზში შემოსულმა კედელზე გაკრული ფოტოების დათვალიერება დავიწყე თუ არა, მაშინვე ყურადღება მიიპყრო ერთმა სურათმა! რაღა თქმა უნდა, „დინამო"-„ატლეტიკის" მატჩის ფოტოა, მიხარია, რომ ასე უფრთხილდებით თქვენს ისტორიას. ის დაპირისპირება კი, მერწმუნეთ, ძალიან კარგად მახსოვს: ბოლოს და ბოლოს, „დინამოს" ბარიერის გადალახვის შედეგად ბილბაოს „ატლეტიკი" თავის ასწლოვან ისტორიაში პირველად და უკანასკნელად მოხვდა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე. ჩემთვის, როგორც მწვრთნელისათვისაც დიდი მიღწევა იყო და მსურს, რომ ისრაელის ნაკრებშიც მსგავს წარმატებას მივაღწიო. კიდევ ერთხელ გულწრფელად გეუბნებით, რომ მიხარია, ქართველებს ფეხბურთისადმი ასეთი სიყვარული რომ გამოძრავებთ...

**გია ტუხაშვილი**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



საქართველოს ჩემპიონატი

**მეორე ლიგა. დასავლეთი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბახმარო-გურია 2 | 1:1 | დინამო 2-ჩიხურა 2 | 2:4 |
| მერცხალი 2-ბეთლემი | 2:2 | ქუთაისი-მარგვეთი | 0:3 |
| სულორი-მერანი 2 | 1:0 | ფაზისი-მართვე | გადაიდო |

**ჭაბუკთა ლიგა**

| 1993-94 წწ | | 1995-96 | |
|---|---|---|---|
| ოლიმპი-ბაია | 1:2 | ოლიმპი-ბაია | 5:1 |
| სპარტაკი-სიონი | 4:0 | სპარტაკი-სიონი | 1:0 |
| სამტრედია-ტორპედო | 2:1 | სამტრედია-ტორპედო | 1:0 |
| ზესტაფონი-ვიტ ჯორჯია | 1:4 | ზესტაფონი-ვიტ ჯორჯია | 1:1 |
| დინამო-კოლხეთი | 3:0 | დინამო-კოლხეთი | 1:0 |

ამბები

## მიზანი: შევცვალოთ ლეგენდა!

ბრაზილიის ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი **მანუ მინეზისი** მომავლის გუნდს აშენებს. ნაკრებში ახალი სახეები გამოჩნდა, ხოლო დაცვის ცენტრში სეუ მანუ ახალგაზრდულ წყვილს დაეყრდნობა - **დავიდ ლუიზსა და ტიაგუ სილვას**. ამ უკანასკნელმა ახალ პარტნიორთან საერთო ენა უკვე გამონახა და ამით კმაყოფილებაც გამოთქვა.

„მე და დავიდ ლუიზმა ერთმანეთს კარგად გავუგეთ. ის ახალგაზრდაა, მაგრამ თავისი ინდივიდუალობით ბევრ ვეტერანს ჩაისვამს ჯიბეში. ნაკრები არსებობის ახალ ფაზაში შედის, ხოლო მე და დავიდ ლუიზს მიზნად ლუსიუსა და ჟუანის ლეგენდარული წყვილის ღირსეულად შეცვლას გვისახავენ, რაც არცთუ იოლი საქმე იქნება", - თქვა ტიაგუ სილვამ.

## მარესკა იანვრის მოლოდინშია

**ენცო მარესკა** ოდესღაც იტალიის ნაკრების კანდიდატად განიხილებოდა, „იუვენტუსში", „ფიორენტინასა" და „სევილიაში" თამაშობდა, სკუდეტოც მოიპოვა, ორჯერ - უეფას თასიც, სუპერთასიც... 2009 წლის ივლისში კი პირეოსის „ოლიმპიაკოსში" გადავიდა, თუმცა **თემურ ქეცბაიას** დამწუნებელ კლუბში კონტრაქტით გათვალისწინებული სამი სეზონის ნაცვლად მხოლოდ ერთი დაჰყო - საბერძნეთს ვერ შეეგუა.

30 წლის ნახევარმცველმა ბერძნულ კლუბთან ურთიერთობა 30 აგვისტოს განყვიტა - სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ერთი დღით ადრე. შედეგად, იტალიელი უკლუბოდაა და იანვარს ელის, როცა რომელიმე სხვა კლუბს მისი დამატების უფლება ექნება.

„ვიცოდი, რომ 30 აგვისტოს კონტრაქტის განყვეტა სარისკო ნაბიჯი იქნებოდა. ამით 2 მილიონი ევროც დავკარგე. ჩემმა ყოფილმა თანაგუნდელებმა გიჟი მიწოდეს, მაგრამ არაფერს ვნანობ, რადგან ვიცი, რაც მსურს. თავდაუზოგავად უნდა ვივარჯიშო, რათა მომდევნო შანსს მომზადებული შევხვდე", - თქვა მარესკამ.

## ანელკას ოფიციალური უარი

„ჩელსის" ფორვარდმა ნიკოლა ანელკამ კიდევ ერთხელ, საგანგებოდ და ხაზგასმით დაადასტურა საერთაშორისო კარიერის დასრულების გადაწყვეტილება. ყველას ახსოვს, რომ სამხრეთ აფრიკაში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატის მსვლელობისას ფრანგი ფორვარდი ნაკრების მაშინდელ დამრიგებელ **რაიმონ დომენეკს** ეჩხუბა, რასაც ეროვნული გუნდის ფეხბურთელთა გაფიცვა და დიდი სკანდალი მოყვა.

„საფრანგეთის ნაკრებში კარიერა ოფიციალურად დავასრულე. 100 პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ არ დავბრუნდები. 19 ივნისს ნაკრების ბანაკში ისეთი ამბები მოხდა, რომ ჩემი დაბრუნების შანსი აღარ არსებობს", - უთხრა ნიკოლამ France Soir-ს.

სავსებით ბუნებრივი და ლოგიკური გადაწყვეტილებაა - ანელკა 31 წლისაა, ფრანგულმა ფედერაციამ კი ქვეყნის ალბათ უძლიერესი ფორვარდი ნაკრებიდან 18 მატჩით მოკვეთა, რაც, სულ ცოტა, ორწლიან დისკვალიფიკაციას ნიშნავს...

## გიგზი: ამხელა ხელფასი არც დამსიზმრებია

„მანჩესტერ იუნაიტედის" სიმბოლოდ ქცეულ **რაიან გიგზს** მიაჩნია, რომ ის დიდძალი ფული, რომელსაც ახალგაზრდა ფეხბურთელები კარიერის დასაწყისშივე შოულობენ, მათ ნიჭსა და შესაძლებლობებზე დამღუპველად მოქმედებს.

„ხშირად ხდება, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელს თავი ჯერ ვერაფრით გამოუჩენია, მას კი უკვე ისეთი ხელფასი აქვს, როგორიც თავის დროზე არც დამსიზმრებია. სხვანაირად არ გამიგოთ, ნორმალურ ფულს ვშოულობდი. ჩემი პირველი ყოველკვირეული ხელფასი 30 გირვანქა სტერლინგს უდრიდა, მომდევნო კონტრაქტი უკვე 200-გირვანქიანი იყო. ჩემი შემოსავალი თანდათანობით იზრდებოდა. ახლა კი, ვიდრე თავს გამოიჩენდე, ხუთწლიან კონტრაქტს გიფორმებენ და საოცარ ჯამაგირს გინიშნავენ. ზოგიერთი მოთამაშე ასეთ ცდუნებას ვერ უძლებს. ფული ისეთი რამაა, ახალგაზრდა ფეხბურთელის კარიერის დაყუპვა ადვილად რომ შეუძლია", - თქვა დამსახურებულმა ვეტერანმა.

## ზამორა ფულჰემს ვერ შორდება

**ბობი ზამორა** უახლოეს დღეებში „ფულჰემთან" მოქმედ კონტრაქტს გაახანგრძლივებს. გასულ ზაფხულში 29 წლის ფორვარდს „ტოტენჰემი", „ლივერპული", „სანდერლენდი" და „ბირმინგემი" ეპატიჟებოდნენ, მაგრამ მისმა ამჟამინდელმა კლუბმა ყველა წინადადება უარყო და მიუხედავად იმისა, რომ ზამორას „კოტეჯერებთან" ახლანდელი ხელშეკრულება 2012 წლამდე აკავშირებს, ფეხბურთელთან ახალი კონტრაქტის გაფორმება გადაწყვიტა.

„ბობი ზამორა კლუბის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებებს უკვე რამდენიმე თვის განმავლობაში მართავს და დარწმუნებული ვარ, რომ უახლოეს ხანს მასთან ახალი კონტრაქტი გაფორმდება", - განაცხადა „ფულჰემის" ერთ-ერთმა მმართველმა **მარკ ბოუენმა**.

**სლავა გასპაროვი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

● ევრო 2012 საკვალიფიკაციო ეტაპი. მეორე ტურის წინ

# პრანდელი ფლორენციაში, კაპელო ჰიტცფელდთან!

## ფრანგებს ბოსნიელებიც ლექციას წაუკითხავენ?



ჩეზარე პრანდელი არტემიო ფრანკიზე თავს ისე იგრძნობს, როგორც საკუთარ სახლში

A ჯგუფი

### ფოგთსი: არ წავაგოთ დიდი ანგარიშით!

თურქეთი-ბელგია
ავსტრია-ყაზახეთი
გერმანია-აზერბაიჯანი

ბელგიასთან სტუმრად მოგების (1:0) შემდეგ, გერმანიის ნაკრებს დღეს მეორე კალენდარული მატჩი უწევს - ბუნდესგუნდი კიოლნში, ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანს მასპინძლობს. დაგვეთანხმებით, გერმანიას მორიგი სამი ქულის მოპოვება განაღდებული აქვს, რადგან ძალიან რთული წარმოსადგენია, რომ აზერბაიჯანმა კიოლნიდან თუნდაც ქულის წაღება შეძლოს. სენსაცია ხშირად ხდება და რაღა შორს წავიდეთ, პარასკევს საფრანგეთმა შინ ბელარუსთან წააგო, მაგრამ გერმანია არ არის და არც არასდროს ყოფილა ის გუნდი, რომელიც აზერბაიჯანს ვერ დაამარცხებს. სწორედ ამიტომ, ჩვენი მეზობლების გერმანელი მწვრთნელი **ბერტი ფოგთსი** ამბობს, ჩვენი მიზანი ისაა, რომ კიოლნში დიდი ანგარიშით არ წავაგოთო.

გუშინ, მცირე ტრავმის გამო **ბასტიან შვაინშტაიგერმა** ვერ ივარჯიშა, მაგრამ „ბაიერნის" ნახევარმცველი დღეს აუცილებლად ითამაშებს. მიუხედავად ბელგიასთან ცუდად თამაშისა, ბუნდესმწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** ალბათ მაინც სასტარტო შემადგენლობაში გაამწესებს **ლუკას პოდოლსკის** - მატჩი ხომ კიოლნში ტარდება. შესაბამისად, პოლდის იმის შანსი მიეცემა, რომ ბუნდესგუნდის მაისურით გატანილი გოლების რაოდენობა გაზარდოს. სადღეისოდ მას 80 შეხვედრაში 40 გოლი აქვს გატანილი. იგივე ეხება **მიროსლავ კლოზესაც**, რომელმაც ბელგიასაც გაუტანა და ლეგენდარული **გერდ მიულერის** რეკორდის დამხობისკენაა ორიენტირებული. სამაგიეროდ, ლიოვი ნაღდად ვერ გამოიყენებს **მარსელ იანსენს** (ტრავმა). აზერბაიჯანზე კი ის უნდა ვთქვათ, რომ პარასკევს არ უთამაშია, ბოლო ორი ამხანაგური მატჩიდან კი ერთი ფრედ დაასრულა (მოლდოვასთან 1:1), ერთი კი წააგო (მაკედონიასთან 1:3). რაც შეეხება ურთიერთშეხვედრებს: გერმანია აზერბაიჯანს აქამდე ორჯერ შეხვდა, ორჯერვე მსოფლიოს 2010 წლის შესარჩევ ციკლში და რა თქმა უნდა, ორივე თამაში მოუგო: 4:0 (შინ) და 2:0 (სტუმრად).

თურქეთისა და ბელგიის ნაკრები გუნდების დაპირისპირება გაცილებით საინტერესოა. თურქები ორი წლის წინ ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში იყვნენ, სადაც გერმანიასთან დამარცხდნენ და ახლა მთავარ მწვრთნელ **გუუს ჰიდინკს** უნდა, რომ ეს გუნდი ისევ უმაღლესი მიზნებისთვის აბრძოლოს. პირველი ნაბიჯი გადადგმულია: პარასკევს ჰიდინკის გუნდმა ყაზახეთიდან სამი ქულა წაიღო (3:0) და პირველი ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილს ლიდერობს. თუ თურქები ბელგიასაც დაამარცხებენ, ორი ტურის შემდეგ იდეალურ ვითარებაში აღმოჩნდებიან. ბელგიელებს გერმანიასთან მარცხის შემდეგ საკადრო პრობლემები მიეძალათ: ტრავმების გამო თურქეთთან კითხვის ნიშნის ქვეშაა **ვენსან კომპანის**, **ტიმი სიმონსისა** და **ედენ ჰაზარის** ასპარეზობა. არადა, სამივე ბელგიის ნაკრების წამყვანი ფეხბურთელია.

ბელგიელთა მთავარი მწვრთნელი **გეორგ ლეეკენსი** ამბობს, რომ სტამბულში მისი შეგირდები გამარჯვებისთვის იბრძოლებენ: *„გერმანიასთან დავამტკიცეთ, რომ კარგი გუნდი გვყავს. ჩვენ ევროპის ჩემპიონატზე გასვლა გვინდა და თურქეთში სამი ქულისთვის ჩავდივართ"*. ჰიდინკი კი აღიარებს, რომ მის გუნდს ბელგიასთან რთული თამაში ელის.

დღესვე, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს ავსტრიის ნაკრებიც დაიწყებს: **დიტმარ კონსტანტინის** გუნდი თურქეთთან დამარცხებულ ყაზახეთს მასპინძლობს. წესით, ავსტრიელებმა სამი ქულა უნდა აიღონ, თუმცა ამის გაკეთება **უმით ქორქმაზის** გარეშე მოუწევთ, რომელიც ტრავმირებულია.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. თურქეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| 2. გერმანია | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 3. აზერბაიჯანი | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| 4. ავსტრია | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| 5. ბელგია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 6. ყაზახეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |

B ჯგუფი

### ყურადღების ცენტრშია მოსკოვი

რუსეთი-სლოვაკეთი
მაკედონია-სომხეთი
ირლანდია-ანდორა

პირველმა ტურმა B ჯგუფი ორ ნაწილად გაყო: მოგებულები და წაგებულები. სამქულიან ტრიოში მოლოდინისამებრ რუსეთი, ირლანდია და სლოვაკეთი მოხვდნენ, აუტსაიდერებში კი მაკედონია, სომხეთი და ანდორა. საინტერესო ის არის, რომ დღეს მოგებულთაგან ორი გუნდი ერთმანეთს უპირისპირდება: რუსეთის ნაკრები, რომელმაც ანდორა დაამარცხა, მოსკოვში სლოვაკეთს მასპინძლობს და ეს არის ბრძოლა ერთპიროვნული ლიდერობისთვის. თუკი რუსებს ანდორას დამარცხება არ გაუჭირდათ, სლოვაკეთმა მაკედონიასთან დიდხანს იწვალა და მხოლოდ 1:0 მოიგო. თუმცა ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან ქვედა სამეულიდან სლოვაკებს ყველაზე ძლიერი მეტოქე ჰყავდათ. აღსანიშნავია ისიც, რომ სლოვაკეთი და რუსეთი ერთმანეთს აქამდე ხუთჯერ შეხვდნენ. აქედან ერთი თამაში რუსეთმა მოიგო, ერთი სლოვაკეთმა, სამი დაპირისპირება კი ფრედ დასრულდა.

კადრების მხრივ უპირატესობა რუსეთის მხარესაა, რადგან სლოვაკთა მთავარმა მწვრთნელმა **ვლადიმირ ვაისმა** გუნდის ლიდერები **სტანისლავ შესტაკი** და **რობერტ ვიტეკი** პარასკევსაც მოისაკლისა და არც დღეს ეყოლება. ისიც უნდა ითქვას, რომ დღეს **დიკ ადვოკაატი** მოსკოვის პუბლიკის წინაშე ეროვნული ნაკრების თავკაცად ოფიციალურ მატჩში პირველად წარდგება. **ანდრეი არშავინმა** „სპორტ ექსპრესისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ რუსეთის ნაკრები უჩვეულოდ შემტევ ფეხბურთს ითამაშებს და შეეცდება, ქომაგები გაახაროს.

მაკედონია დღეს სომხეთთან მატჩში გაარკვევს, თუ ვინ არის უძლიერესი იმ სამი გუნდიდან, რომლებსაც პირველი ტურის შემდეგ 0 ქულა აქვთ. ირლანდია კი ქულების აქტივის ექვსამდე გაზრდას უპირობო აუტსაიდერ ანდორასთან მოგებით შეეცდება და ლოგიკურად, ეს არც უნდა გაუჭირდეს. მეტიც: ჯოვანი ტრაპატონის გუნდმა ანდორა რომ ვერ დაამარცხოს, ეს უდიდესი სენსაცია იქნება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 2. ირლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 3. სლოვაკეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 4. სომხეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 5. მაკედონია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 6. ანდორა | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |

C ჯგუფი

### ამოაგდებს პრანდელი პეპეს?

სერბეთი-სლოვენია
იტალია-ფარერები

მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ფიფას რეიტინგში 118-ე ადგილზე მყოფი გუნდის წინააღმდეგ - იტალიისა და ფარერების მატჩის წინ როლები მკაფიოდაა განაწილებული. „სკუადრა აძურას" გამარჯვების გარდა, ნებისმიერი შედეგი უდიდესი სასწაული იქნება. ალბათ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ამ მატჩში ყველაზე საინტერესო **ჩეზარე პრანდელის** „სახლში" დაბრუნებაა - იტალია ფარერებს ფლორენციაში მასპინძლობს, ქალაქში, საიდანაც პრანდელიმ „აძურის" თავკაცობას გამოჰკრა ხელი.

იტალიამ ესტონეთთან 4-3-3 ტაქტიკური სქემით ითამაშა და პრანდელი ტაქტიკას, სავარაუდოდ (მით უმეტეს), არც ფარერებთან შეცვლის. სამაგიეროდ, დიდი შანსია, რომ პრანდელიმ ძირითადი შემადგენლობიდან **სიმონე პეპე** ამოაგდოს, რადგან ამ უკანასკნელმა ტალინში, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან ცუდად ითამაშა. მიუხედავად იმისა, რომ მეკარე **სალვატორე სირიგუმ** მთელ რიგ მომენტებში თავდაუჯერებლობა გამოამჟღავნა, ის ალბათ მაინც ითამაშებს. ფარერების ირლანდიელი მწვრთნელი **ბრაიან კერი** კი თავის გუნდს, სავარაუდოდ, ზედაცვითი სქემით და მხოლოდ ერთი გამოკვეთილი ფორვარდით ათამაშებს.

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტი: ესტონეთში მოგებული მატჩი (2:1) იტალიის ნაკრებისთვის 2010 წელს პირველი გამარჯვება იყო და ორი აზრი არ არსებობს, პრანდელის მიერ დამოძლევრილი „აძური" დღეს ქულათა აქტივს ექვსამდე გაზრდის. გეხსომებათ, ფარერები და იტალია ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლშიც ერთად იყვნენ (საქართველოს ნაკრების ჯგუფში) და მაშინ იტალიელებს ბევრისთვის გასაკვირად, ფარერელთა დამარცხება ორივე მატჩში გაუჭირდათ, მაგრამ მაინც დაამარცხეს: შინ 3:1, სტუმრად 2:1.

პარასკევს სლოვენიის ნაკრებმა საკუთარ მოედანზე ჩრდილოეთ ირლანდიასთან წააგო (0:1) და მდგომარეობა პირველივე ტურში გაირთულა. დღეს სლოვენიელებს გაცილებით რთული მატჩი აქვთ - სერბეთში. **რადომირ ანტიჩის** გუნდმა კი ფარერებს 3:0 მოუგო და დღეს შეეცდება, იტალიის ნაკრების ერთპიროვნული გალიდერება არ დაუშვას - ამისთვის კი სლოვენიის დამარცხებაა საჭირო. თავის მხრივ, სლოვენიამაც მინიმუმ ქულისთვის უნდა იბრძოლოს, რადგან ამ გუნდს ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის პრეტენზია აქვს და მეორე მარცხი, თანაც უშუალო კონკურენტთან პოლონეთსა და უკრაინაში მოხვედრის შანსს ძალიან შეუმცირებს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სერბეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| 2. იტალია | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 3. ჩრ. ირლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 4. ესტონეთი | 1 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 5. სლოვენია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 6. ფარერები | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

D ჯგუფი

### გაღრმავდება საფრანგეთის კრიზისი?

ბელარუსი-რუმინეთი
ალბანეთი-ლუქსემბურგი
ბოსნია-საფრანგეთი

საფრანგეთის ნაკრები ისევ უმძიმეს კრიზისშია. ფრანგებს ჯერჯერობით ვერც მწვრთნელის შეცვლამ უშველა და ვერც დამძიმებული თუ სკანდალისტი ფეხბურთელების მუდმივმა თუ დროებითმა მოკვეთამ - **ლორან ბლანის** მიერ დამოძლევრილმა გუნდმა პარასკევს ყველასათვის მოულოდნელად, ბელარუსთან წააგო (0:1). ცხადია, საფრანგეთს ბოსნიასთან გამარჯვება ჰაერივით ესაჭიროება, მაგრამ როგორ უნდა დაამარცხონ ფრანგებმა ბოსნიის ნაკრები, რომელიც ათი თავით სჯობს ბელარუსს? თანაც, ბოსნია საკუთარ მოედანზე ძალიან კარგად გამოიყურება ხოლმე და ქულებს იშვიათად ანიავებს.

ეს მატჩი ტურის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრაა. ბოსნიას შესანიშნავი შანსი აქვს, საფრანგეთის ნაკრების კრიზისი გამოიყენოს და ბლანის გუნდს სამი ქულა დაატოვებინოს. გუშინდელ ნომერშიც ვწერდით, რომ ბლანმა აღარ იცის, რა მოიმოქმედოს. ფაქტი ერთია: მას მთელი თავდასხმის შეცვლა მოუწევს, რადგან **ლოიკ რემი**, **გიიომ ოარო** და **ლუის საა** ტრავმირებულები არიან. ბლანმა წინა ხაზისთვის ლიონელი **ჯიმი ბრიანი** გამოიძახა. მისთვის სერიოზული პრობლემაა დაცვის ხაზიც, სადაც ბელარუსთან განსაკუთრებით ცუდად **გაელ კლიშიმ** ითამაშა და **ფლორენ მალუდასთან** ერთად, ყველაზე დაბალი შეფასება მიიღო. სამაგიეროდ, ფრანგებს **ქარიმ ბენზემა** დაუბრუნდათ.

ბოსნიელებს ყველა წამყვანი ფეხბურთელი მწყობრში ჰყავთ: **სეიად სალიჰოვიჩი**, **ზვიეზდან მიშიმოვიჩი**, **ედინ ჯეკო** და **ვედად იბიშევიჩი** აუცილებლად ითამაშებენ. სამაგიეროდ, კითხვის ნიშნის ქვეშაა ახალგაზრდა ნახევარმცველ **მირალემ პიანიჩის** ასპარეზობა.

*„თუ ბოლოდროინდელ შედეგებსა და ჩემი გუნდის ფორმას გავითვალისწინებთ, ვერ ვიტყვი, რომ ბოსნიაში მოსაგებად მივდივართ. პარასკევს ისეთი კატასტროფა დაგვემართა, რომ მორალური უფლება არ გვაქვს, ვთქვათ, რომ ბოსნიაში სამი ქულისთვის მივდივართ. ცხადია, მოგება გვინდა და ძალიანაც გვჭირდება, მაგრამ პირველ რიგში იმას ვისურვებდი, რომ ჩემმა გუნდმა კარგად ითამაშოს,"* - განაცხადა გუშინ ბლანმა.

ბელარუსმა საფრანგეთში ისეთი სასწაული მოახდინა, რომ დღეს ამ გუნდს რუმინეთთან საშინაო მატჩში ბევრი ფავორიტადაც კი რაცხავს - მით უმეტეს მას მერე, რაც რუმინეთმა საკუთარ მოედანზე ალბანეთის დამარცხება ვერ შეძლო. მოკლედ, დღეს უნდა გამოჩნდეს, რამდენად შემთხვევით მოიგეს ბელორუსებმა პარიზში ან რამდენად შემთხვევით დაკარგა რუმინეთმა ალბანეთთან ქულები. რუმინეთიდან ქულის წამღები ალბანელები კი ლუქსემბურგს მასპინძლობენ და კარგი შანსი აქვთ, რომ აქტივი 4 ქულამდე გაზარდონ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოსნია | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| 2. ბელორუსი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 3. ალბანეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 4. რუმინეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 5. საფრანგეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 6. ლუქსემბურგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |

E ჯგუფი

### მოდი, ვნახოთ მოლდოვა...

შვედეთი-სან მარინო
უნგრეთი-მოლდოვა
ჰოლანდია-ფინეთი

მოლდოვამ ფინეთს რომ მოუგო (2:0), ეს გარკვეულწილად სენსაცია გახლდათ. ამჯერად კი, სამქულიან მოლდოველებს საქმე უნგრეთთან ექნებათ, თანაც სტუმრად. უნგრელებმა თავის მხრივ შვედეთში წააგეს (0:2) და სასწრაფოდ რეაბილიტაცია სჭირდებათ.

ჯგუფის მთავარ ფავორიტებს კი, რომლებსაც პირველი ტურის შემდეგ სამ-სამი ქულა აქვთ, მეტ-ნაკლებად მარტივი ამოცანები აქვთ. ეს განსაკუთრებით შვედეთის ნაკრებზე ითქმის, რადგან სკანდინაველები სან მარინოს მასპინძლობენ - გუნდს, რომელიც უდავოდ უსუსტესია მთელ შესარჩევ ციკლში. ამრიგად, შვედებს აქტივის ექვს ქულამდე გაზრდა ოდნავადაც არ გაუჭირდებათ. რაც შეეხება ჰოლანდიას, რომელმაც პირველივე ტურში დიდი ანგარიშით (5:0 სან მარინოსთან) მოიგო და უკვე ლიდერია - **ბერტ ვან მარვიკის** შეგირდები ფინეთს მასპინძლობენ. ფინელების დაცვის ბურჯი **სამი ჰიიპია** დისკვალიფიცირებულია.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 5-0 | 3 |
| 2. მოლდოვა | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 3. შვედეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 4. ფინეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| 5. უნგრეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| 6. სან მარინო | 1 | 0 | 0 | 1 | 0-5 | 0 |

» მე-7 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2012

## საკვალიფიკაციო ეტაპი. მეორე ტურის წინ

G ჯგუფი

### გიგანტთა ჯახი: ჰიტცფელდი VS კაპელო

**ბულგარეთი-მონტენეგრო**
**შვეიცარია-ინგლისი**

**ფაბიო კაპელო** ბულგარეთის განადგურებით (4:0) გვარიანად განიტვირთა. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ არაერთგზის, თანაც ძალიან მძიმედ გაკრიტიკებულმა იტალიელმა მწვრთნელმა თქვა კიდეც, ძალიან დიდი ტვირთი მოვიშორე და ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე მუშაობა ძველებურად დიდ სიამოვნებას მანიჭებსო. „დონ ფაბიოს" შეგირდები დღეს შვეიცარიას სტუმრობენ და აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ პირველ ტურში შვეიცარიელებს არ უთამაშიათ.

შვეიცარიის ნაკრების დამრიგებელი **ოტმარ ჰიტცფელდი** ამბობს, პირველივე თამაშში ჯგუფის მთავარი ფავორიტის დამარცხება ჩვენთვის საოცნებო სტარტი იქნებოდაო. *„ჩვენი მიზანი პირველ ადგილზე გასვლაა, მაგრამ ცხადია, უფრო რეალური ის არის, რომ მეორე ადგილი დავიკავოთ,"* - აღიარებს ჰიტცფელდი.

შვეიცარიამ ინგლისთან პირველ რიგში თავდაჯერება უნდა დაიბრუნოს. ჰიტცფელდს ამ ბოლო დროს ძალიან ბევრჯერ წამოაძახეს ის, რომ მისმა გუნდმა ბოლო ათ თამაშში მხოლოდ ოთხი გოლის გატანა შეძლო. პარასკევს შვეიცარიამ ავსტრალიასთან ამხანაგური თამაში 0:0 დაასრულა და იმ შეხვედრაში გუნდის ლიდერმა და მთავარმა დამრტყმელმა ძალამ, **ალექსანდერ ფრაიმ** (40 გოლით შვეიცარიის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია) თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენა. თუმცა ჰიტცფელდი ფრაის დღესაც ძირითად შემადგენლობაში ათამაშებს და მას სავარაუდოდ **ერენ დერდიოკს** შეუწყვილებს. თუმცა ავსტრალიასთან ამ უკანასკნელმაც ცუდი შთაბეჭდილება დატოვა და გამორიცხული არაა, რომ ჰიტცფელდმა მის ნაცვლად **მარკო შტრელერი** ათამაშოს.

ინგლისთან განადგურებული ბულგარელები კი იმ მონტენეგროს მასპინძლობენ, რომელმაც პარასკევს უელსი დაამარცხა (1:0) და ინგლისთან ერთად, ჯგუფში პირველ-მეორე ადგილებს იყოფს. ამ შეხვედრაში ფავორიტი არ არსებობს, მაგრამ თუ ვინმეზე ვიტყვით, რომ ლოგიკურად, მოგების მეტი შანსი აქვს, პირველ რიგში ეს ბულგარეთზე ითქმის, რადგან ამ გუნდს უკან დასახევი გზა მოჭრილი აქვს. მონტენეგროსთან ვერმოგება ბულგარელთათვის ძალიან არასახარბიელო შედეგი იქნება. **მირკო ვუჩინიჩსა** და კომპანიას კი სოფიაში ფრეც დააკმაყოფილებს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინგლისი | 1 | 1 | 0 | 0 | 4-0 | 3 |
| 2. მონტენეგრო | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 3. შვეიცარია | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| 4. უელსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 5. ბულგარეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-4 | 0 |

H ჯგუფი

### დაცვას მიხედეთ, დაცვას!

**დანია-ისლანდია**
**ნორვეგია-პორტუგალია**

4:4 კვიპროსთან, თანაც საკუთარ მოედანზე - პარასკევს **კრისტიანო რონალდოსა და კარლუშ კეიროშის** გარეშე დარჩენილმა პორტუგალიამ გენიალური, მაგრამ თავისთვის არასასურველი სპექტაკლი დადგა. დღეს კი პორტუგალიელები ნორვეგიაში ჩადიან და ხვდებიან გუნდს, რომელმაც პირველ ტურში ისლანდიიდან სამი ქულა წაიღო (2:1). დღევანდელი მატჩისთვის პორტუგალიის ნაკრების მთავარი ამოცანა დაცვის ხაზის დასტაბილურებაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირენეელებს მორიგი სიურპრიზების ატანა მოუწევთ ამ ხუმრობა - ხუმრობაში საქმეს გაირთულებენ.

პორტუგალიასთან ერთად, ჯგუფის მთავარ ფავორიტად დანიის ნაკრები მიიჩნევა, რომელსაც პარასკევს არ უთამაშია. ოლსენის გუნდი ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ასპარეზობას დღეს ისლანდიასთან საშინაო მატჩით იწყებს და დანია სავსებით სამართლიანადაა მიჩნეული ფავორიტად.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნორვეგია | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 2. პორტუგალია | 1 | 0 | 1 | 0 | 4-4 | 1 |
| 3. კვიპროსი | 1 | 0 | 1 | 0 | 4-4 | 1 |
| 4. დანია | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| 5. ისლანდია | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |

I ჯგუფი

### ჩეხეთიც იწყებს

**ჩეხეთი-ლიტვა**
**შოტლანდია-ლიხტენშტაინი**

ესპანელებმა პარასკევს ორი ტურის საქმე გააკეთეს, გაანადგურეს რა ლიხტენშტაინი 4:0. დღეს კი ევროპისა და მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონები შესარჩევ ციკლში არ თამაშობენ. **ვისენტე დელ ბოსკეს** გუნდმა ესტაფეტა შოტლანდიის ნაკრებს გადაულოცა - გუნდს, რომელმაც პირველ ტურში ლიტვიდან მხოლოდ ქულა წაიღო (0:0), ახლა კი ლიხტენშტაინს მასპინძლობს. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ესპანეთის ნაკრების მთავარი კონკურენტი ამ ჯგუფში ჩეხეთის ნაკრები უნდა იყოს. ჩეხებს წინა ციკლის წარუმატებლად ჩატარების შემდეგ პირველი სერიოზული გამოცდა პრაღაში, ლიტვის ნაკრებთან მატჩში ელით. ლიტვა ტრადიციულად ყრუ დაცვაში ჩაჯდება და ვნახოთ, მოახერხებენ თუ არა ჩეხები ახალი ციკლის წარმატებით დაწყებას.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 4-0 | 3 |
| 2. ლიტვა | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 3. შოტლანდია | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 4. ჩეხეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| 5. ლიხტენშტაინი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-4 | 0 |

**გოტფრიდ ლენცი**



ლორან ბლანი ჟიმი ბრიანს, სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაში ათამაშებს

იუვენტუსი



ჯორჯო კიელინი

### კიელინის ამბავი კომპრომისით მოგვარდა

„იუვენტუსის" მესვეურები კარგა ხანს ვერ ახერხებდნენ **ჯორჯო კიელინისთან** ახალი ხელშეკრულების გაფორმებას, თუმცა საწადელს მაინც მიაღწიეს და გუშინ მხარეებს შორის ახალი, სამწლიანი კონტრაქტი გაფორმდა. თუმცა, საწადელს ვინ მიაღწია, ეს კიდევ საკითხავია, რადგან მოთხოვნა სწორედ ჯორჯოს ჰქონდა და ტურინული კლუბის მესვეურებმა აუსრულეს კიდეც - ანუ, თუ აქამდე იტალიის ნაკრების უკანახაზელი სეზონში ორ მილიონ ევროს იღებდა, ახალი ხელშეკრულების მიხედვით, მისი ჯამაგირი ოთხი მილიონი იქნება. ერთი სიტყვით, კიელინიმ თავისი გაიტანა, თუმცა „იუვეს" სპორტული დირექტორი, **ჯუზეპე მაროტა** საკითხს სხვანაირად ხსნის:

*„ძალიან კარგია, რომ კომპრომისების გზით შეთანხმებას მივაღწიეთ და ეს საკითხი მოვაგვარდა. ჯორჯო ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია გუნდისთვის და მისი გაშვება თავში აზრადაც არ მოგვსვლია. ასე რომ, რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა, შეთანხმება უნდა მიღწეულიყო და საბედნიეროდ, ეს ასეც მოხდა. ორივე მხარე გარკვეულ დათმობებზე წავიდა, ასეთ პირობებში კი შეთანხმებამდე მისვლა რთული არ არის".*

**ლაშა ნიკლაური**

ინტერი



ხავიერ ძანეტი

### ძანეტიმ აღიარა: მილანი!

**ხავიერ ძანეტი** იმ ფეხბურთელთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებსაც ძალიან უყვართ ჟურნალისტებთან საუბარი და თუ ამის შანსი მიეცა, იყენებს კიდეც. გუშინ, „კორიერე დელო სპორტის" წარმომადგენელს გაესაუბრა და შემდეგი განაცხადა:

*„ჩემი აზრით, სკუდეტოს მოპოვების მთავარი პრეტენდენტი „ინტერთან" ერთად „მილანია", გუნდი, რომელიც ძალიან გაძლიერდა ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში და სავარაუდოდ, მხოლოდ უმაღლესი ადგილისთვის იბრძოლებს. მართალია, ჩვენ ბევრი არავინ გვიყიდია, მაგრამ სამაგიეროდ, ჩემპიონები ვართ და საკუთარი შესაძლებლობები უკვე არაერთხელ დავამტკიცეთ. შემდეგ მოდიან უკვე „რომა" და „იუვენტუსი", რომლებსაც ასევე აქვთ შანსი სკუდეტოსთვის იბრძოლონ. „ჯალოროსის" მესვეურებმა თავდასხმის ხაზი გააძლიერეს, დაიმატეს რა ადრიანო და მარკო ბორიელო - ტურინულმა გრანდმა კი მნიშვნელოვნად იცვალა სახე და ვფიქრობ, რომ გაცილებით უკეთ ათამაშდება, ვიდრე გასულ სეზონში".*

**ლაშა ნიკლაური**

ლეგენდა

# მარადონა ნეაპოლში ბრუნდება



მარადონა ნაპოლიში

**დიეგო მარადონამ** გაიხსენა, რომ ოდესღაც „ნაპოლიში" ასპარეზობდა და ამ გუნდში კარიერის საუკეთესო წლები აქვს გატარებული. ნეაპოლელები ძალიან უკმაყოფილონი არიან იმით, რომ ფეხბურთის უგვირგვინო მეფე მათი ქალაქის იშვიათი სტუმარია და საერთოდაც, „ბოკა ხუნიორსისგან" განსხვავებით, „ნაპოლის" ქომაგობით თავს მაინცდამაინც არ იკლავს. მოკლედ, დონ დიეგომ ნეაპოლში თავი შეირცხვინა და როგორც ჩანს, რენომეს აღდგენას ცდილობს. თუ როგორ, ამის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ.

„გაძეტა დელო სპორტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დიეგო არმანდო მარადონა თავის მორიგ დაბადების დღეს სწორედ ნეაპოლში გადაიხდის და ძველ მეგობრებთან ერთად, „სან პაოლოს" არენაზე ბურთს გააგორებს. მატჩის ორგანიზებაზე თავად მარადონა იზრუნებს და ბუნებრივია, მას „ნაპოლის" მესვეურები და ქალაქის მერია დაუდგებიან მხარში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, შეთანხმება პრაქტიკულად მიღწეულია და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, შეხვედრა სწორედ დიეგოს დაბადების დღეს, 30 ოქტომბერს შედგება. თავად მარადონა ჟურნალისტებთან შემდეგ კომენტარს აკეთებს:

*„ღმერთს მადლობა მინდა გადავუხადო იმისთვის, რომ მყავს ოჯახი, რომელზეც ვგიჟდები და რომლის გარეშეც სიცოცხლე არ შემიძლია. ასევე, იმისთვის, რომ მთელი ჩემი ცხოვრება ვაკეთებდი საყვარელ საქმეს და მქონდა ძალიან წარმატებული კარიერა. კარიერის საუკეთესო წლები კი ნეაპოლში გავატარე, ქალაქში, რომელიც დღემდე ძალიან მიყვარს. არასდროს დამავიწყდებიან ის ადამიანები, ვისთან ერთადაც ის წლები გავატარე და ის ტიფოზები, რომლებიც მუდმივად გვერდში მედგნენ. ნეაპოლში ბედნიერი ვიყავი და მსურს, კიდევ ერთხელ დავბრუნდე ამ მართლაც საოცარ ქალაქში. უახლოეს დღეებში, „ნაპოლის" პრეზიდენტთან, აურელიო დე ლაურენტისთან მექნება შეხვედრა და ყველა დეტალს შევათანხმებთ. მინდა, რომ დაბადების დღე ნეაპოლელებთან ერთად აღვნიშნო".*

**ლაშა ნიკლაური**

მილანი

# რა ელის რონალდინიოს?

## ინძაგი იბრამ გააკვირვა

როგორც უკვე არაერთხელ გამცნეთ, **რონალდინიოს** იანვარში უმთავრდება ხელშეკრულება „მილანთან" და არის იმის ალბათობა, რომ კარიერა რომელიმე სხვა გუნდში გააგრძელოს. მართალია, ამის შანსი მცირეა, მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ საქმე ფინანსებს ეხება, გამორიცხული ნამდვილად არაფერია. საქმე იმაშია, რომ ამჟამინდელი კონტრაქტის თანახმად, გაუჩო წელიწადში რვა მილიონ ევროს იღებს, რაც „როსონერის" მესვეურებს ებევრებათ. თუ „გაძეტა დელო სპორტს" დავუჯერებთ, **ადრიანო გალიანი** გაუჩოს ხელფასის შემცირებას უპირებს და კარგ შემთხვევაში ექვს მილიონ ევროს შესთავაზებს - ან სულაც ოთხს, არც ეს ვარიანტი ყოფილა გამორიცხული.



რონალდინიო

რონალდინიოს ძალიან უნდა „მილანში" დარჩენა, მაგრამ თავისი პრინციპები მასაც აქვს და შესაძლოა, ხელფასის შემცირებას არ დათანხმდეს. როგორც მისი პირადი აგენტი აცხადებს, გაუჩო ისეთივე მნიშვნელობის ფეხბურთელია „როსონერისთვის", როგორიც მაგალითად **ლიონელ მესია** „ბარსელონასთვის" და მას მეტი მოფრთხილება სჭირდება. ეს განცხადება იმაზე მიუთითებს, რომ ბრაზილიელი დათმობაზე წასვლის სურვილით არ იწვის. ვნახოთ, რა გაგრძელება ექნება ამ ამბავს.

ამასობაში, **ფილიპო ინძაგიმ** მოისურვა ჟურნალისტებთან გასაუბრება და გუნდში არსებული ატმოსფერო გაგვაცნო - განსაკუთრებული ყურადღება კი **ზლატან იბრაჰიმოვიჩზე** გაამახვილა:

*„სასიამოვნოდ გამაკვირვა იმან თუ როგორი ენთუზიაზმით ჩაერთო ზლატანი საწვრთნელ პროცესებში. თვითონვე თქვა, რომ ისე გრძნობს თავს, როგორც კარიერის საწყის წლებში. ზოგადად, გუნდში შესანიშნავი ატმოსფერო სუფევს, რაც ვფიქრობ რომ წარმატების მთავარი საწინდარია".*

ინძაგის იმ დიდ კონკურენციაზეც ჰკითხეს, რომელიც „მილანის" წინა ხაზზეა შექმნილი, რაზეც შემდეგი პასუხი გასცა: *„ჩემი ადგილი რომ არ იყოს „მილანში", აქ ერთი წუთითაც არ გავჩერდებოდი და რადგან დღემდე გუნდში ვარ, ე.ი. ამ მხრივ არავითარი პრობლემა არ არის. კარგად მესმის, რომ ყველა შეხვედრაში ძირითად შემადგენლობაში ვერ ვიასპარეზებ, მაგრამ გუნდისთვის რომ საჭირო ფეხბურთელი ვიქნები, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. რაც უფრო დიდია კონკურენცია, მით უფრო მეტია იმის შანსი, რომ სეზონი ტრიუმფალურად დავასრულოთ და გულშემატკივრები გავახაროთ".*

**ლაშა ნიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

ევრო 2012



სკოტ სუტერი

# ინგლისელი ინგლისელთა წინააღმდეგ

დღეს, ინგლისის ნაკრები შესაძლოა მისმა თავგადაკლულმა ფანმა გაამწაროს... ყოველ შემთხვევაში შეეცდება. 24 წლის შვეიცარიელ მარცხენამცველ **სკოტ სუტერზე** მოგახსენებთ. ის ჩრდილოეთ ლონდონის უბან ენფილდშია დაბადებული. სამი თვის წინ, მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში ძმაკაცებთან ერთად პაბში იჯდა, ინგლისის მაისურა ეცვა და თავგადაკლული ღრიალებდა, დღეს კი თავისი ქვეყნის ნაკრებშია გამოძახებული. „იანგ ბოიზის“ ფეხბურთელი გულწრფელად ამბობს, რომ ინგლისის შვეიცარიაზე გაცვლა ძნელი იყო, მაგრამ სადაც, ამ ცოტა ხნის წინ, ესპანელი **მიკელ არტეტა** კინაღამ ინგლისის ნაკრების მოთამაშე გახდა, მას, დედით ინგლისელსა და მამით შვეიცარიელს ხომ საერთოდ არაფერი უნდა ჰქონოდა საჭოჭმანო. ცნობისათვის: სუტერი ბოლო შვიდი წელიწადია შვეიცარიაში ცხოვრობს და ბურთსაც იქ აგორებს. რაც შეეხება კლუბს, სუტერი „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ ფანია. „დეილი მირორთან“ ინტერვიუში მან თქვა:

*„ინტერესით ვკითხულობდი მიკელ არტეტას ამბავს. არაფერი გამომიტოვებია, თუმცა ჩემი ამბავი მისგან ცოტა განსხვავებულია. საქმე ისაა, რომ ინგლისელები მეტისმეტად თავმოყვარე ხალხია და ნაკრებში ესპანელის აყვანა მათზე იმოქმედებდა. არც იმას დავმალავ, რომ მე შვეიცარიაზე მეტად ინგლისის ნაკრების ფანი ვარ. კი ვნახე მსოფლიოს ჩემპიონატზე როგორ მოუგეს შვეიცარიელებმა ესპანელებს, მაგრამ გუნდი, რომელსაც მართლა, მთელი გულით ვუჭერდი მხარს, ინგლისი იყო. გერმანელებთან წაგება მეტისმეტად ძნელი სანახავი კი იყო, მაგრამ იმ დღეს გერმანელები მართლა საოცრად თამაშობდნენ. დღეს, წამყვან საფეხბურთო ნაკრებებსა და დანარჩენებს შორის ძველებურად დიდი განსხვავება აღარ არის და ჩვენც სწორედ ამის დამტკიცებას შევეცდებით. ვინმემ ეროვნება რომ მკითხოს, ვეტყვი, რომ ინგლისელიც ვარ და შვეიცარიელიც. ამას იმიტომ ვამბობ, რომ შვეიცარიის ნაკრებში ბევრია ისეთი, თავისუფლად რომ შეეძლო სხვა ნაკრებშიც გამოსულიყო. ათს მაინც გვაქვს მეორე სამშობლო, მაგრამ ეს განსჯის თემა არასდროს არის. ინგლისელებმა უცხოელის თემაზე ყურადღება განსაკუთრებით მას მერე გაამახვილეს, რაც ფეხბურთის ასოციაციამ ნაკრებს სათავეში მოწვეული მწვრთნელი ჩაუყენა. მეორე მხრივ, სხვა ქვეყნებისთვის ეს ჩვეულებრივი ამბავია. შვეიცარიაში, მაგალითად, საერთოდ არავის აინტერესებს მათი ფეხბურთელი ნახევრად ინგლისელია, თურქი თუ იტალიელი. მთავარია გოლი გაიტანოს და გუნდს გამარჯვება მოუტანოს. არტეტას ჩვენთან რომ ნდომოდა თამაში, კაციშვილი არ ეტყოდა, შენ ესპანელი ხარო, მაგრამ ამიტომაც არის ინგლისსა და შვეიცარიას შორის უდიდესი განსხვავება. თუმცა, მაინც არის ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: შვეიცარიის ნაკრების ყველა ფეხბურთელი ან ამ ქვეყანაშია დაბადებულ-გაზრდილი, ან საზღვარგარეთ შვეიცარიელი მშობლის ოჯახშია აღზრდილი, არტეტას კი ინგლისთან საერთოდ არაფერი აკავშირებს“.*

სუტერმა სიყმაწვილეში ინგლისში ფეხის მოკიდება სცადა, თამაშობდა „მილუოლში“, „ჩარლტონსა“ და „ასტონ ვილაში“, მაგრამ 16 წლისა „გარსჰოპერში“ გადავიდა. 2006-ში შვეიცარიის ერთ-ერთ ასაკობრივ ნაკრებში შესთავაზეს გამოსვლა, რაზედაც უარი განაცხადა, 2008-ში კი თავი უკვე ნაღდ შვეიცარიელად იგრძნო და არჩევანიც გააკეთა.

*„ახლა უკვე რვა-ნახევარი წელიწადია რაც შვეიცარიაში ვცხოვრობ, აქაურობა სახლად ვიგულე და აი, ბედმა გამიმზადა თამაში იმ ქვეყნის ნაკრებთან, რომელიც დღემდე ჩემად მიმაჩნია. პირველი ოფიციალური სანაკრებო შეხვედრა მაინცდამაინც ინგლისთან მიწევს.*

და კიდევ ერთხელ ბედის შესახებ: აკი მოგახსენეთ, რომ სუტერი „ტოტენჰემის“ ფანია და მთელი ბავშვობა „უაით ჰართ ლეინზე“ აქვს გატარებული? თუ ასეა, გაიხსენეთ, ვინ გააგდო „სფურზმა“ ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში. „იანგ ბოიზი“, არა?

*„საოცარი გრძნობაა ითამაშო იმ გუნდის წინააღმდეგ, რომელსაც ქომაგობ. პირველ შეხვედრაში 3:0-ს ვიგებდით და ანგარიშის შენარჩუნება გვმართებდა, მეორეში კი ლონდონელებმა გადაგვიარეს. ისე, კი დეფომ ხელით გაგვიტანა და ის გოლი რომ არ ჩაეთვალათ, კაცმა არ იცის როგორ განვითარდებოდა მოვლენები“.*

სკანდალი

# ნეტავ, ეს ამბავი გაზეთებმა არ გაიგონო...

ინგლისის ნაკრებს შვეიცარიასთან აქვს სათამაშო, მაგრამ არის კი **უეინ რუნი** ამ შეხვედრისთვის ფსიქოლოგიურად მზად? საქმე ის გახლავთ, რომ ორი დღეა მისი ცხოვრება ლამაზი შენობის ნანგრევებს დაემსგავსა - კვირის მერე ინგლისური გამოცემების პირველი გვერდები ხომ რუნისა და მავანი მეძავის **ჯენიფერ ტომპსონის** ურთიერთობის ამბავს გაჰყვირიან. ერთი სიტყვით, ფეხბურთელი ცოლს ღალატობდა და ეს მთელი ქვეყნისთვის გახდა ცნობილი. ამბობენ, ნაკრების მწვრთნელი **ფაბიო კაპელო** ინგლისელთა მთავარ ფორვარდს პირისპირ ელაპარაკა და ძალიან შეშფოთებული დარჩაო. ასე უთქვამს, უეინი აშკარად შორს არის იმ მდგომარეობისგან, ბედნიერება რომ ჰქვიაო. მოგეხსენებათ, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავი გასულ პარასკევს ბულგარეთთან შეხვედრაში დაფრინავდა, ოთხივე გოლი მან შექმნა, მაგრამ მაშინ ეს „მეძავური ისტორია-ისტერია“ ჯერ არ იყო ამოხეთქილი.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის პრესმდივანმა განაცხადა: *„პრესაში ატეხილ აჟიოტაჟს მის ვარჯიშებზე არ უმოქმედია. მან ამ დღეებში ჩვეულებრივად იმუშავა, რადგან ეს მისი პროფესიაა“.*

რუნი ვარჯიშებზე გუნდისგან დამოუკიდებლად მივიდა. მიზეზი: არ უნდოდა ფოტოგრაფების ყბაში ჩავარდნილიყო. მთელი დღის განმავლობაშიც სასტუმროდან არ გამოსულა. ამბობენ, გოლფს თამაშობდაო. სკანდალზე თავისი რეაქცია ჰქონდა „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაც სერ **ალექს ფერგიუსონსაც**. მან თავისი საყვარელი საცხენოსნო საქმეები გადადო და მანჩესტერში დარჩა. კომენტარისთვის ინგლისელთა ბანაკთან ჩასაფრებულმა ჟურნალისტებმა **ჯეიმს მილნერი** გამოიჭირეს, რომელმაც ასე თქვა:

*„ინგლისის ნაკრების ფეხბურთელები ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ექცევიან, მაგრამ ჩვენ ჩვენი საქმე ძალიან გვიყვარს. ნებისმიერ პროფესიაში ასეა, არის რაღაც, რაც გსიამოვნებს და არის რაღაცა რაც გაღიზიანებს. იმედი მაქვს, აგორებულ სკანდალს რუნი შვეიცარიასთან ჰეთ თრიკით უპასუხებს“.*

ამასობაში, ჟურნალისტებმა გაარკვიეს, რომ რუნის ცოლისთვის ღალატის ამბავი სატელეფონო მესიჯით გაუმხელია. თურმე, ქალმა ქმრის SMS შაბათს საპარიკმახეროში მიიღო - ოჯახური ზეიმისთვის ემზადებოდაო. რა ძალა ადგა რუნის, რამ გამოიწვია მისი მოულოდნელი გულწრფელობა? - იკითხავს ვინმე. რამ გამოიწვია და იმან, რომ შეიტყო: მეძავს გაზეთებისთვის ყველაფერი უამბია და პრესისთვის უნდა დაესწრო. გუშინაც მოგახსენებდით: ღალატმა რუნისა და **კოლინის** ოჯახი რომ შეიძლება შეარყიოს ერთია, მაგრამ რუნები ჩვეულებრივი ცოლ-ქმრის გარდა უკვე „ბრენდიც“ რომ არიან და ერთობლივი „სელებრითი“ ცხოვრებით 33 მილიონი ფუნტი რომ აქვთ ნაშოვნი - მეორე. თუ ოჯახი დაინგრა, ყველაფერი დიდი კორპორაციის დაშლასაც დაემსგავსება.

რაც გაზეთებმა ერთი ამბავი ატეხეს, კოლინი მშობლებთან გადასულა საცხოვრებლად. პრესაში უამრავი რამ ეწერა და ამ ყველაფრის გაძლება 24 წლის ქალისთვის მხარდამჭერის გარეშე მართლა ძალიან ძნელი იყო. ბოლტონელმა მეძავმა მეტისმეტად პიკანტური დეტალებიც კი უამბო ტაბლოიდებს, რომელთაც ყველაფერი, რასაკვირველია, მოურიდებლად გამოაქვეყნეს.

ფეხბურთის მოყვარულთათვის კიდევ აი, რა არის საინტერესო: თავდამსხმელმა ძმაკაცებს გაანდო, სამხრეთ აფრიკაში სულ იმაზე ვფიქრობდი ჩემი და მეძავის ამბავი გაზეთებმა არ გაიგონ და არ გამოაქვეყნონო. სწორედ ამიტომ არ ჰგავდა უეინი მსოფლიოს ჩემპიონატზე საკუთარ თავსო, ამბობენ ბიჭები. არადა, გეხსომებათ: ამ ტურნირზე რუნისგან დიდ გაბრწყინებას ელოდნენ. ამბობდნენ, მსოფლიოს ჩემპიონატის გმირი გახდება და ფეხბურთის ისტორიაში დიდ ადგილს დაიმკვიდრებსო.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ერთ-ერთმა წევრმა თქვა: *„ჩვენთან, კლუბში, მისი და მეძავის ამბავი ყველამ იცოდა, თვითონ კი ეგონა, რომ საიდუმლო იყო. ჰოდა, როდესაც ასეთი რამ ყველამ იცის, რასაკვირველია, ერთ დღესაც გაზეთებში დაიწერება“.*



უეინ რუნის თავსატეხი
არც მინდორს მილმა აკლია



ჯენიფერ ტომპსონი

გზა მაღალი საზოგადოებისკენ

# ბექინგემი იყიდება





ბექჰემები და ბექინგემის სასახლე

**დევიდ** და **ვიქტორია ბექჰემებმა** ინგლისში თავიანთ ცნობილ შვიდსაძინებლიან სახლს ჰყიდიან, რაც მხოლოდ და მხოლოდ ერთს შეიძლება ნიშნავდეს - ისინი საბოლოოდ გადადიან ამერიკაში. სახლს, რომელსაც პრესა „ბექინგემის სასახლეს“ უწოდებდა (მოგეხსენებათ, ინგლისის მეფის სასახლეს ბუკინგემისა ჰქვია და სიტყვათა თამაშიც ამაზე იყო აწყობილი) გარს 24 აკრი მიწა (1 აკრი 4,046 კვადრატული მეტრია) აკრავს. ფეხბურთელმა და პოპ-ვარსკვლავმა ჰერტფორდშირში მდებარე ეს უძრავი ქონება 1999 წელს 2,5 მილიონ ფუნტად შეიძინეს, ახლა კი გასაყიდად 18 მილიონად გააქვთ. ეს თანხა, 18 მილიონი, „ბექინგემის სასახლეზე“ ლაპარაკისას კიდევ ერთხელ გვხვდება - სწორედ ამდენი დახარჯა ვარსკვლავურმა წყვილმა 11 წლის განმავლობაში ადგილ-მამულის მოწყობაზე. რა შემატეს იქაურობას? შიდა და გარე საცურაო აუზი, პატარა ზოოპარკი, ხმის ჩამწერი სტუდია, სნუკერის სათამაშო ოთახი, სპორტული დარბაზი და კორტი ღამის განათებით.

ბაღში სამი ტალავერია, სამივე სხვადასხვა თემით: ერთგან თავი ტბის ნაპირას გეგონებათ, მეორე უფრო რომანტიკულია, მესამე კი ორნამენტებით უხვი. ბექჰემებმა გააკეთეს ბაღი-პავილიონიც, რომელსაც მარმარილოს იატაკი აქვს. აქვეა მწვადის შესაწვავი ბუხარ-ღუმელი, რომელიც 70 ათასი ფუნტი დაჯდა.

ინგლისური ტაბლოიდები ხაზს უსვამენ, რომ ბექჰემები ლოს ანჯელესში სამი წლის წინ გადასახლდნენ და ძალიან იოლად აულეს უცხოეთში ცხოვრებას ალღო. ოჯახი, რომლის ქონებაც 125 მილიონ ფუნტად არის შეფასებული, საბოლოოდ ამერიკაში აპირებს დასახლებას. შეგახსენებთ, რომ დევიდსა და ვიქტორიას სამი ვაჟი ჰყავთ: 11 წლის **ბრუკლინი**, 8 წლის **რომეო** და 5 წლის **კრუზი**. ლოს ანჯელესში ბექჰემების ოჯახს სამეგობრო წრეც გამოუჩნდა. მათთან ახლობლობენ **ტომ კრუზი**, **ევა ლონგორია** და **კეიტ ბეკინსეილი**.

გვერდი მოამზადა
ილია **ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

არგენტინა-ესპანეთი



# სერხიო ბატისტა არგენტინას შეუძლია, მოუგოს ესპანეთს

**სერხიო დანიელ ბატისტამ** 47 წლის ასაკში თავისი კარიერის უმაღლეს საფეხურზე აინაცვლა - მას არგენტინის ნაკრები ჩააბარეს. ბატისტამ ეს აღიარება არგენტინის ოლიმპიური ნაკრების ტრიუმფის გამო დაიმსახურა - პეკინში არგენტინის ნაკრები ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. „ელ ჩეჩო" ჯერ მხოლოდ დროებითაა ეროვნული ნაკრების თავკაცი, თუმცა იმედოვნებს, რომ ხანგრძლივ კონტრაქტს დაიმსახურებს და არგენტინას 2011 წლის „კოპა ამერიკაზე" და 2014 წლის მუნდიალზე გაუძღვება.

7 სექტემბერს ბატისტას პირველი დიდი გამოცდა ელის, ამხანაგური მატჩი მსოფლიოს ჩემპიონ ესპანეთთან. ყოფილი ცენტრალური ნახევარმცველი, რომელიც 1986 და 1990 წლების არგენტინის ნაკრების წევრი გახლდათ, ფიფას ოფიციალურ საიტს ექსკლუზიურად ესაუბრა.

**- პეკინის ოლიმპიადის მსვლელობისას ჩვენთან საუბარში თქვით, რომ ერთ დროსაც სამწვრთნელო კარიერის შეწყვეტას აპირებთ. ახლა კი თქვენ ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე გხედავთ...**

- მახსოვს, ზუსტად ასე ვფიქრობდი, როცა **ოსკარ რუჯერის** თანაშემწე ვიყავი „სან ლორენსოში". ისეთი საგიჟეთი იყო და ცუდი ატმოსფერო, რომ სხვანაირად ვერ ვიფიქრებდი. ერთხელ მოედანზე გასვლაც კი ვერ შევძელით, ექვსი საათის განმავლობაში გასახდელში ვიყავით ჩაკეტილები უსაფრთხოების მიზნით. მაშინ ვუთხარი საკუთარ თავს - სხვა პროფესია უნდა ავითვისო...

**- ყველაზე მეტად რა გაღელვებდათ მაშინ?**

- ის შეგრძნება, რომ არ ხარ საჭირო ადამიანი. ყოველ სამ თამაშში ჩვენი მწვრთნელობის საკითხი ისმებოდა. არგენტინაში სხვა არაფერი უნდათ - მხოლოდ შედეგი. თუ იგებ, ხალხის თვალში **კარლოს გარდელი** ხარ, თუ ვერა - არაფერი. ეს ხომ არასწორი პოზიციაა. ხალხმა უნდა შეიგნოს, რომ ფეხბურთი თამაშია, სადაც შესაძლებელია ძალიან კარგად ითამაშო და მაინც დამარცხდე.

**- ახლა ძალიან გაწონასწორებული კაცი ჩანხართ, მაგრამ ადრეც ასე იყო?**

- არა, ადრე უფრო ხშირად შევდიოდი კონფრონტაციაში, მეტად აგრესიული ვიყავი და რაც არ მომწონდა, შემეძლო პირში მიმეხალა. ახლა უფრო მეტს ვფიქრობ, ვიდრე ვლაპარაკობ, დავმშვიდდი და გავიაზრე, რომ ფეხბურთი არ არის სიკვდილ-სიცოცხლის ტოლფასი, უფრო მეორეხარისხოვანი რამეა, თამაშია. დღეს ვარ ფეხბურთში, ხვალ შეიძლება აღარ ვიყო ამ სფეროში. სულ ეს არის.

**- არ ფიქრობთ, რომ დასამშვიდებლად „არასწორი" სამსახური შეარჩიეთ?**

- ყველაფერი ძალიან კარგად გავაანალიზე სანამ ამ სამსახურს დავთანხმდებოდი. აქამდე თუ 40 ათასი ადამიანის თვალთახედვის არეში ვიყავი, ახლა 40 მილიონი კაცის რისხვა შეიძლება დამატყდეს თავს. მაგრამ კარგი მხრიდანაც ხომ შეიძლება შევხედოთ ყველაფერს? ამ დანიშვნით შესანიშნავი შანსი მომეცა, მთელი ერი გავახარო. ამიტომაც ახლა თავს კომფორტულად ვგრძნობ. ძალიან ბევრი რამ თავდაყირა დადგა ჩემს ცხოვრებაში, თუმცა ვიმეორებ, ეს მხოლოდ თამაშია.

**- ხშირად არ ხდება, როცა დროებით დანიშნულები აცხადებენ, უფრო ხანგრძლივი მუშაობისთვის ვარ მზადო. არ გერჩივნათ, ასეთი განცხადებებისგან თავი შეგეკავებინათ?**

- მართალია, დროებით ვარ დანიშნული ნაკრების მწვრთნელად, მაგრამ საქმეს ისე შევუდექი, როგორც სრულფასოვანი მწვრთნელი. მსურს ეს თანამდებობა დიდი ხნით დავიბევო და რატომ დავმალო? მიმაჩნია, რომ ამ საქმისთვის მზად ვარ. მწვრთნელობას, რომ ვიწყებდი, ჯერ კიდევ მაშინ ვოცნებობდი ეროვნული გუნდის თავკაცობაზე. ვიმედოვნებ, ხელმძღვანელობა ამხანაგური მატჩების შედეგებით არ შემაფასებს, არამედ თუ როგორ შევუდექი საქმეს, როგორ ვქმნი ახალ გუნდს, რა ურთიერთობა მაქვს ფეხბურთელებთან და როგორი მეთოდებით ვმუშაობ. დასამალი არაფერია, ეს თანამდებობა მსურს.

**- ფეხბურთელთა მხარდაჭერა უკვე დაიბევეთ...**

- ამისთვის მათი დიდი მადლობელი ვარ. როცა ასეთი სიტყვები მესმის **ლიონელ მესისგან,** მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელისგან. ეს იმას ნიშნავს, რომ ის დიდი სიამოვნებით ითამაშებს ნაკრებში, შესაბამისად ეროვნულ გუნდს უფრო გამოადგება. ნაკრებში კარგი ფეხბურთელები არიან, კომუნიკაბელურნი. ეს ყველაფერი კარგად გამოჩნდა ირლანდიის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში.

**- როგორია ამდენი კაშკაშა ვარსკვლავის „მწყემსვა"?**

- ძალიან ძნელი. ყურადღებას არ ვაკლებ მათ. სიმართლე გითხრათ, ხანდახან სჯობს გუნდში კარგი ადამიანი აიყვანო, რომელიც შეიძლება ნაკლები დონის ფეხბურთელია, ვიდრე რომელიმე ვარსკვლავი, ვისაც განხეთქილება შემოაქვს გუნდში და პრობლემებს ქმნის. თუმცა ეს ჩემს ბიჭებს არ ეხება, მე მათთან ურთიერთობაში პრობლემები არ მქონია.

**- რადგან ვარსკვლავებზე ვლაპარაკობთ, ადასტურებთ, რომ ხუან რამონ რიკელმესთვის არგენტინის ნაკრების კარი კიდევ ერთხელ გაიღო?**

- ის ნამდვილი სანაკრებო ფეხბურთელია, მის გვერდით ძალიან ბევრს ისწავლიან ახალგაზრდები. თუკი ის ფორმაშია, ბევრი სარგებლის მოტანა შეუძლია. ჩვენ ერთმანეთს კარგად ვუგებთ, ოლიმპიადაზე ნაყოფიერად ვიმუშავეთ.

**- მაგრამ ბევრს საუბრობენ მის ხასიათზეც...**

- ის მართლაც განსაკუთრებულია, ყველას ერთი საზომით ვერ მიუდგები და რიკელმესაც ხანდახან უნდა გაუგო. ის თითქმის არასოდეს ლაპარაკობს, თუ ეს ძალიან საჭირო არ არის. მიუხედავად ამ უცხოობისა, მას ძლიერი ხასიათი აქვს.

**- მოდით, თქვენ მიერ ესპანეთის ნაკრებთან მატჩისთვის გამოძახებულთა სიას გადავხედოთ: ძანეტი, კამბიასო, დ'ალესანდრო, გაბი მილიტო. მოკლედ, მარადონასგან მივიწყებულნი...**

- ეს ფეხბურთელები გამოცდილებას შემატებენ ნაკრებს. შეუძლებელია გუნდში მხოლოდ ახალგაზრდები ათამაშო, ასე არ შეიძლება. თვეებში „კოპა ამერიკა" მოდის და ფეხბურთელების პასპორტს ვერ დავეყრდნობი, მთავარია, ვინ როგორ ფორმაშია და როგორ ფეხბურთს თამაშობს.

**- ძანეტი, ალბათ, განსაკუთრებული ფეხბურთელია არგენტინის ნაკრებისათვის...**

- ძანეტი ისეთი ტიპის ფეხბურთელია, როგორებითაც მსურს გუნდი ავაშენო. დღეისათვის, ის იდეალური არჩევანია ნაკრებისათვის. მას უდიდესი გამოცდილება უმაგრებს ზურგს, ფარავს დიდ დისტანციას თამაშის დროს, დიდებულად „ურთიერთობს" ბურთთან. მას შეუძლია მომავლის ვარსკვლავებს, **პაბლო საბალეტას** და **მარკოს ანგელერის** ბევრი სასარგებლო ჩვევა შეასწავლოს. მოპირდაპირე ფლანგზე იგივე ფუნქცია ექნება **გაბრიელ ჰაინცეს**, რომელსაც შეუძლია ბევრი რამ ასწავლოს **ემილიანო ინსუასა** და **კლემენტე როდრიგესს.**

**- რას იტყვით ანდრეს დ'ალესანდროს მოწვევაზე?**

- ის ახლა ფანტასტიკურ ფორმაშია. დ'ალესანდრო ისედაც ძალიან ტექნიკური და ძლიერი ფეხბურთელი იყო, მას შეუძლია რამდენიმე პოზიციაზე თამაში, პლუს ამას შესანიშნავ ფორმაშია, მაშ რატომ არ უნდა მომეწვია ნაკრებში?

**- მომავალ მატჩზეც ვისაუბროთ, შეძლებთ ესპანეთის ნაკრების დამარცხებას?**

- კი, მასე ვფიქრობ. ესპანელებს ძალიან ვაფასებ და მათი თამაშის სტილი მიყვარს, მათ ძალიან ბევრი შესანიშნავი ფეხბურთელი ჰყავთ და ჩვენგან განსხვავებით, ისინი დიდი ხანია ერთად თამაშობენ. ესპანელთა თამაშის სტილის კოპირებას აზრი არა აქვს, თუმცა შორეული გეგმების და დასახული მიზნისკენ სწრაფვას კი მოვუწონებ და ჩემს გუნდშიც დავნერგავ თუ მაცლიან. ვიმედოვნებ, რომ ჩვენი ნაკრებების თამაში სანახაობრივი გამოვა.

**- თქვით, რომ „ბარსელონა" სამაგალითო კლუბია, ბევრმა ეს ისე გაიგო, თითქოს „ბარსელონაში" მოთამაშე არგენტინელებს კარტ-ბლანში ექნებათ...**

- მცდარი დასკვნები გამოუტანიათ. მე მომწონს ის ფეხბურთი, რომელსაც „ბარსელონა" თამაშობს, თუ როგორ აწყობენ ზედიზედ 6-8 პასს, ერთმანეთზე უკეთესს. ეს ჩემი საფეხბურთო გემოვნების საკითხია, ამ კლუბისგან თამაშის სტილის კოპირებას კი არ ვაპირებ.

**- ერთხელ თქვით, რომ დიეგო მარადონა იმაზე უკეთესი პიროვნებაა, ვიდრე ფეხბურთელი იყო...**

- დიახ, ის ძალიან კარგი პიროვნებაა. მას შეცდომები ისევე მოსდის, როგორც სხვა ადამიანებს, მაგრამ დიდებული კაცია. ჩვენ ერთად დიდი ხანი გაგვიტარებია და ერთმანეთს ბევრჯერ დავხმარებივართ. როცა ადამიანი შენს დასახმარებლად მაშინ მოდის, როცა ძალიან გიჭირს, თან ისე, რომ არ გითხოვია, ის უცილობლად კარგი ადამიანია. ასეთია დიეგო.

**- ბოლოს თუ ელაპარაკეთ?**

- ვურეკავდი, მაგრამ ვერ დაველაპარაკე. მესმის მისი, ახლა ის ალბათ არ არის სათანადო განწყობაზე. მაინტერესებდა როგორ არის, რადგან გერმანიასთან მარცხის შემდეგ ძალიან ცუდად გამოიყურებოდა.

**- სად ხედავთ თქვენს თავს 2011 წლის ივლისში?**

- იმედია, „კოპა ამერიკაზე". მსურს ნაკრებში მუნდიალის ჩათვლით დავრჩე. ეს ჩემი გადასაწყვეტი არაა, უბრალოდ ოცნებაა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

უელსის ნაკრები

# გაბრაზდა და წავიდა

**ჯონ ტოშაკმა** განაცხადა, 48 საათში უელსის ნაკრების მწვრთნელის თანამდებობიდან გადავდგები, ჩემს შემცვლელად კი გირჩევთ **რაიან გიგზი** დანიშნოთო. „რეალის" ყოფილმა თავკაცმა, რომელიც თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდს ექვსი წელიწადია ხელმძღვანელობს, წასვლა პარასკევს ჩერნოგორიასთან 1:0 წაგების შემდეგ გადაწყვიტა. გიგზის შესახებ კი - როგორ შეიძლება ეს ვინმემ არ იცოდეს - მოგახსენებთ, რომ 36 წლის გარემარბი ჯერ კიდევ მოქმედი ფეხბურთელია, „მანჩესტერ იუნაიტედში" თამაშობს.

62 წლის ტოშაკმა გადადგომის შესახებ შაბათსვე ილაპარაკა უელსის ფეხბურთის ასოციაციასთან. კაცმა რომ თქვას, ამას საგანგებო მილება და შეხვედრა არც სჭირდებოდა - დამარცხებული გუნდი და მისი ბოსები პოდგორიცადან ერთად მოფრინავდნენ, თუმცა ამ ისტორიაში არის ერთი მნიშვნელოვანი დეტალი. ტოშაკმა ფედერაციის შეფებს თავიდან უთხრა, რომ თანამდებობას ოქტომბერში დატოვებდა - მიუხედავად იმისა, რას იზამდა გუნდი ბულგარეთსა და შვეიცარიასთან - შინ დაბრუნებულმა კი გაზეთები წაიკითხა, თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და გადადგომა დაუყოვნებლივ გადაწყვიტა.



ჯონ ტოშაკი უელსს ტოვებს

ამასთან ერთად უელსური წყაროები იტყობინებიან, რომ ტოშაკი ჯერჯერობით მაინც ივლის სამსახურში. როგორც ჩანს, პატრიოტული გრძნობები ეროვნული გუნდის უპატრონოდ დატოვების ნებას არ აძლევს. აღსანიშნავია ისიც, რომ უელსელთა ასოციაციას ახალი აღმასრულებელი შეფი ჰყავს, **ჯონათან ფორდი,** რომელიც ყველა ღონეს იხმარს, თავი რომ გამოიჩინოს და შეეცდება მართლა დაიყოლიოს რაიან გიგზი, რომელიც აგერ უკვე სამი წელიწადია როგორც ფეხბურთელი ნაკრებს აღარ გაჰკარებია.

**ილია ბაბუნაშვილი**

რომა

# მექსე წასვლაზე ფიქრობს

მას შემდეგ, რაც „რომას" მესვეურებმა **ნიკოლას ბურდისოსთან** სრულფასოვანი ხელშეკრულება გააფორმეს, **ფილიპ მექსეს** მომავალი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. „ჯალოროსიში" ძალიან არ უნდათ, რომ ფრანგს შეელიონ, მაგრამ ვერც ძირითად შემადგენლობაში ასპარეზობის გარანტიებს აძლევენ - ამიტომ, თავად ფეხბურთელი ახალ ხელშეკლრულებაზე ხელის მოწერას არ ჩქარობს და როგორც თავად აცხადებს, საბოლოო გადაწყვეტილებას უახლოეს მომავალში მიიღებს. საქმის ვითარებაში „რომას" სპორტული დიორექტორი, **ბრუნო კონტი** გაგარკვევთ:

*„მიუხედავად იმისა, რომ ძირითადში თამაშის გარანტიებს ვერ ვაძლევთ, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მექსე გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია. ამად არის, რომ მის აგენტს თითქმის ყოველ დღე ვურეკავდით და ვცდილობდით, შეთანხმებისთვის მიგვეღწია. თავად ფეხბურთელი, ჯერჯერობით ფიქრობს და როგორც გვითხრა, გადაწყვეტილებას უახლოეს დღეებში მიიღებს. როგორც არ უნდა იყოს, ვეცდებით, რომ ფრანგი უკანახაზელი შევინარჩუნოთ".*

**ლაშა წიკლაური**



ფილიპ მექსე

რეალი

# ვის უყიდიან მოურინიოს?

მთელი აგვისტოს განმავლობაში მიმდინარეობდა **ჟოზე მოურინიოსა** და **ხორხე ვალდანოს** შორის ფარული პოლემიკა, რომელიც მადრიდის „რეალის“ საკადრო პრობლემებთან იყო დაკავშირებული.

როგორც მოგეხსენებათ, „სამეფო კლუბის“ არგენტინელმა დირექტორმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, **მესუთ იოზილის** შეძენის შემდეგ, „რეალმა“ ზაფხულის სატრანსფერო მოღვაწეობა დაასრულაო. მოურინიოს საპასუხო განცხადებები კი ვალდანოს ამ სიტყვებთან აშკარა დისონანსში იყო:

„ორად ორი თავდამსხმელი გვყავს - **კარიმ ბენზემა** და **გონსალო იგუაინი**. ორივე შესანიშნავი შემსრულებელია, მაგრამ ერთ-ერთ მათგანს, უფალმა დაიფაროს და, რამე რომ შეემთხვას, ვინ ვათამაშო თავდამსხმელის პოზიციაზე? იმის თქმა მსურს, რომ „რეალს“ მინიმუმ ერთი ფორვარდი კიდევ სჭირდება“.



დიეგო ფორლანი

სეუ ჟოზეს ამ განცხადებას ვალდანოს მორიგი გამოსვლა მოჰყვა: *„თუკი გონსალომ ან კარიმმა ტრავმა მიიღო, ჩვენ გვყავს კრიშტიანუ რონალდუ და ანხელ დი მარია. ორივეს შეუძლია ფორვარდის პოზიციაზე თამაში. ამიტომაც ვიმეორებ, „რეალი“ ამ ზაფხულში აღარავის შეიძენს“.*

მაგრამ მოუ რის მოუ იქნებოდა, ჟურნალისტებთან მომდევნო შეხვედრებზე თავისი პრობლემები ერთხელაც არ დაეფიქსირებინა. *„ფორვარდი ჰაერივით მჭირდება“*, - ამბობს პორტუგალიელი ყოველ ხელსაყრელ სიტუაციაში.

ეტყობა, როგორც იქნა და მწვრთნელის სიტყვები უფრო მაღლაც შეისმინეს - სექტემბრის დადგომიდან პრესა „რეალს“ ყოველდღიურად ამა თუ იმ ცნობილ ფორვარდს უკავშირებს. ახლა **დიეგო ფორლანის** ჯერი დამდგარა.

„რეალი“ იანვარში 31 წლის ურუგვაელის გადაბირებას შეეცდებაო - ასეთი ცნობა გავრცელდა ესპანურ მედიაში. თავად ფორლანი აცხადებს, „სამეფო კლუბის“ ინტერესი ჩემთვის დიდი პატივიაო, მაგრამ ცოტა საეჭვო ფონიც არსებობს - ფორლანი ხომ მადრიდის „ატლეტიკოს“ ლიდერია, ხოლო ეს კლუბი „რეალის“ ოდინდელი მოსისხლე მტერია...

სლავა გასპაროვი

აღიარება



დარენ ფლეტჩერი

# დიდების დარბაზში... 26 წლისა?

სამშაბათს შოტლანდიის ნაკრები ევრო 2012-ის შესარჩევ მატჩში ლიხტენშტაინელებს დაუპირისპირდება, ხოლო სქოთთა კაპიტანი **დარენ ფლეტჩერი** თავის 50-ე სანაკრებო შეხვედრას ჩაატარებს, რაც იმას ნიშნავს, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველი იმ პირობას დააკმაყოფილებს, რომელიც ქვეყნის საფეხბურთო კავშირმა შოტლანდიის ფეხბურთის დიდების დარბაზში მოხვედრისთვის დააწესა.

შოტლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტ **პიტერ ჰიუსტონს** მიაჩნია, რომ ფლეტჩერს ყველა შანსი აქვს იმისა, რომ ლეგენდარული **კენი დალგლიშის** რეკორდი გააუმჯობესოს. ცნობისთვის, დალგლიშმა შოტლანდიის ეროვნულ გუნდში 102 მატჩი ჩაატარა.

*„წარმოიდგინეთ, რა განწყობით ხვდება დარენი ამ მატჩს - ეს ხომ მისი 50-ე სანაკრებო თამაში იქნება. 26 წლის ასაკში ამის მიღწევა უდიდესი პატივია*, - ამბობს პიტერ ჰიუსტონი, - *ფლეტჩერი ფანტასტიკური ფეხბურთელია და მას სავსებით შეუძლია 100-მატჩიანი ნიშნულის გადალახვა. ეს შოტლანდიელთაგან მხოლოდ კენი დალგლიშმა შეძლო და ასეთ ადამიანთან ერთ კომპანიაში მოხვედრა წარმოუდგენელი აღიარება იქნება. დარენი კარგ საფეხბურთო ასაკშია და, მართალია, ყოველ უქმეებზე „მანჩესტერ იუნაიტედში“ თამაშობს, თავის პატრიოტულ ვალდებულებებზე უარი არასდროს უთქვამს. ერთხელაც არ მომხდარა, ფლეტჩერი თუნდაც ამხანაგურ მატჩზე არ ჩამოსულიყო - უბრალოდ, მას შოტლანდიის ნაკრებში თამაში სურს. დარენი ლეგენდარულმა სერ ალექს ფერგიუსონმა აღზარდა, ვინც ყოველთვის ოცნებობდა ძლიერი შოტლანდიის ნაკრებზე. დარწმუნებული ვარ, „მანჩესტერ იუნაიტედის“ დამრიგებელი როგორც ფლეტჩერის თამაშითაა კმაყოფილი, ისე მისი ადამიანური თვისებებითაც“.*

სლავა გასპაროვი

ბომბარდირი

# პიპომაც მიულერს დაუმიზნა

ჯერ იყო და, ბუნდესნაკრების ფორვარდმა **მიროსლავ კლოზემ** თქვა, **გერდ მიულერის** სანაკრებო შედეგიანობის რეკორდის გაუმჯობესება მსურსო, ახლა კი მიუნხენის „ბაიერნისა“ და გფრ-ის ნაკრების ლეგენდარული მეგოლის სხვა მიღწევას დაუპირეს დამხობა.

ლაპარაკია „ერის ბომბარდირის“ იმ რეკორდზე, რომელიც მას აგერ უკვე 32 წელია ეკუთვნის. 1978 წელს მიულერმა უეფას თასზე ბულგარულ „მარეკს“ გოლი გაუტანა, რომელიც ფენომენალური გერმანელისთვის ევროპის საკლუბო ტურნირებში 69-ე აღმოჩნდა. ყველა დროის საუკეთესო საევროთასო ბომბარდირთა სიაში მას კვალში რამდენიმე ფეხბურთელი უდგას, რომელთა უმრავლესობა დღესაც თამაშობს. ასე რომ, არაა შორს ის დღე, როცა ხსენებულ სიას სხვა ლიდერი ეყოლება.

გერდ მიულერთან ყველაზე ახლოს - 1 გოლის დისტანციაზე - **ფილიპო ინძაგი** მისულა. იტალიური ფეხბურთის 37 წლის ვეტერანი „მილანის“ წევრია და გუნდთან ერთად ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მატჩებისთვის ემზადება.

*„მზად ვარ, გუნდს ამ სეზონშიც დავეხმარო. ასაკის მატებასთან ერთად, სპორტული ფორმის უმაღლეს დონეზე შენარჩუნება სულ უფრო და უფრო ძნელი ხდება, მაგრამ ძალისხმევას არ დავიშურებ. რაც შეეხება გერდ მიულერის რეკორდს, მის გამეორებამდე ერთი გოლი მიკლია. კარგი იქნება, თუ ამას მომავალ კვირაში, „ოსერთან“ საშინაო მატჩში მოვახერხებ“*, - აცხადებს პიპო.

მაგრამ სამართლიანობა იმის აღნიშვნასაც მოითხოვს, რომ გერდ მიულერმა თავის 69 გოლს თავი 77 საევროთასო მატჩში მოუყარა, ხოლო პიპო ინძაგის 68 გოლის გასატანად 105 თამაში დასჭირდა.

აქვე გთავაზობთ ევროპის საკლუბო ტურნირების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირთა მოწინავე ხუთეულს:

| ფეხბურთელი | გოლი |
|---|---|
| გერდ მიულერი (გფრ) | 69 |
| ფილიპო ინძაგი (იტალია) | 68 |
| რაული (ესპანეთი) | 67 |
| ანდრეი შევჩენკო (უკრაინა) | 62 |
| რუდ ვან ნისტელროი (ჰოლანდია) | 60 |

სლავა გასპაროვი

ამბები

## ესპანეთმა ბომბონერა დაავგემოვნა

ლიხტენშტაინის ნაკრების დამარცხების შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონი ესპანეთი ბუენოს აირესში გაემართა, სადაც 7 სექტემბერს გუნდი არგენტინის 200 წლისთავის აღსანიშნავ ამხანაგურ მატჩში არგენტინის ნაკრებს შეხვდება. „ფურია როხამ“ პირველი ვარჯიში გამართა „ლა ბომბონერაზე“. ციურიხიდან ბუენოს აირესამდე „როხამ“ 14 საათი იფრინა. მიუხედავად დამღლელი მგზავრობისა, ვისენტე დელ ბოსკეს ბიჭები ენერგიულად ემზადებიან, მათ შორის არავინაა ტრავმირებული. დელ ბოსკემ გაითვალისწინა ფეხბურთელთა გადაღლილობა, საათის სარტყლისა და დროის უეცარი ცვლილება (არგენტინაში ახლა ძალიან ცივა) და გუნდი მსუბუქად დატვირთა. სხვათა შორის, მსოფლიოს ჩემპიონის ვარჯიშს „ბომბონერაზე“ 4 ათასი არგენტინელი გულშემატკივარი დაესწრო.





## ვილია გინესის წიგნში

**დავიდ ვილიას** უზარმაზარი პორტრეტი გინესის რეკორდების წიგნში მოხვდება. ასტურიის ქალაქ ალერში მხატვარმა **სესარ ფრეიმ** რამდენიმე ფოტოს შეკოწიწებით დავიდ ვილიას უზარმაზარი პორტრეტი შექმნა. 39 წლის მხატვარი თავის ნამუშევარს უახლოეს ხანებში დაასრულებს. ფრეიმ ქალაქის მუნიციპალიტეტის მეშვეობით სთხოვა ფეხბურთელს პორტრეტის შექმნის უფლება და ასტურიელმა „ელ გუახემაც“ უარი არ უთხრა მხატვარს. პორტრეტი უშველებელია - სიმაღლეში 5 მეტრი და სიგანეში - 44!

## ფავორიტი ჩემპიონია, შემდეგ გერმანია

GOAL.COM-ის მკითხველთა გამოკითხვის მიხედვით, ევრო-2012-ის ფავორიტი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ესპანეთია. გულშემატკივართა 35,4% მიიჩნევს, რომ „ფურია როხა“ ორი წლისთავზე შეინარჩუნებს კონტინენტის საუკეთესო გუნდის ტიტულს. მეორე ადგილზეა გერმანიის ნაკრები. ბუნდესგუნდის ჩემპიონობას მხარს 23,3% უჭერს. მე-3, მე-4 და მე-5 ადგილზე შესაბამისად გავიდნენ: ინგლისი - 11,1%, ჰოლანდია - 10,4% და იტალია - 10%.

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ



● ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ეს ის შემთხვევაა, როცა...

მოლოდინისამებრ, ჩვენმა ბერძნულ-რომაულმა ნაკრებმა ძალიან ცუდად დაიწყო გამოსვლა მოსკოვში, მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე - გუშინ საჭიდაოდ გასული სამი ქართველიდან ორი პირველივე შეხვედრაში დამარცხდა და მხოლოდ მესამემ მოახერხა ერთი ორთაბრძოლის მოგება. ეს **ლაშა გოგიტაძემ** (55) შეძლო, **მანუჩარ ცხადაია** (66) და **სოსო ჯაბიძე** (96) კი ყოველმხრივ ხელმოცარულნი ტოვებენ მოსკოვს.

ვგონებთ, ეს ის შემთხვევაა, როცა მსაჯებს ვერაფერს დავაბრალებთ. დასამალი არაა, რომ ამ ჩემპიონატს დიდი მითქმა-მოთქმა უძღოდა მოსალოდნელ ზეწოლაზე, მსაჯთა მიკერძოებაზე, წილისყრების ჩაწყობაზე... წილისყრამ ცეცხლზე ნავთი მართლაც დაასხა - რუსებს ბევრად იოლი ჯგუფები შეხვდათ. მაგალითად, როცა მათი ოლიმპიური ჩემპიონი **ასლანბეკ ხუშტოვი** ნახევარფინალისკენ მიმავალ გზაზე შედარებით სუსტებს ეჭიდავებოდა და ლამის ძალდაუტანებლად იგებდა, ერთ ქვეჯგუფში თავმოყრილი მისი უმთავრესი მეტოქეები თავდაუზოგავ ბრძოლაში ერთმანეთს ხოცავდნენ. თუმცა, როცა ყველას გვეგონა, რომ რუსები გუშინ სამივე ოქროს მოიპოვებდნენ, მხოლოდ ერთი დაისაკუთრეს, მათმა ლიდერებმა, ოლიმპიურმა ჩემპიონებმა - იმავე ხუშტოვმა და **ნაზირ მანკიევმა** (55) წააგეს. მართალია, მერე ორივემ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, მაგრამ არა გვგონია, შინ გამართულ ტურნირზე რუსები ოქროს გარდა სხვა სინჯის მედალმა დააკმაყოფილოს და ეს წარმატებად მიიჩნიონ.




ამდენად, ჩვენებურთა ნაგებას მსაჯებს ვერ დავაბრალებთ - ვინც ძლიერია და კარგადაც იყო მომზადებული, ცეცხლიც დაანთო ლეიბზე (სხვებს თავი დავანებოთ და სომეხი ევროპის ჩემპიონის, მსოფლიოს ვერცხლისა და ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორ **რომან ამოიანის** ხუთქულიანი გდება რად ღირდა ბრინჯაოსთვის ბრძოლაში ბულგარელ **ვენელინ ვენკოვთან**) და მოუმზადებელსა თუ შედარებით სუსტ რუსსაც ვერ უშველა ვერაფერმა. შესაბამისად, სპორტკომლექს „ოლიმპიისკიშიც" პირველად არა რუსეთის, არამედ ირანის დროშა აფრიალდა და მათი ჰიმნი გაისმა. ასეთი დასაწყისის მიზეზი უფრო საკუთარ თავში უნდა ვეძებოთ.

### 55 კგ

ლაშა გოგიტაძე პირველ წრეში ისვენებდა, ჩემპიონატში კი ჩეხ **იან ჰოჩკოსთან** შეხვედრით ჩაება და ორ პერიოდში იოლადაც აჯობა. მომდევნო შეხვედრამ საკმაოდ ძლიერ ფალავანთან მოუწია - ფინელი **იარი იუკა ჰააპამაკი** 2009 წლის ევროპის ჩემპიონია და მოსალოდნელიც იყო, უბრძოლველად არავის არაფერს დაუთმობდა. მართალია, მასაც გადაუარა ყოვლისმმუსრავმა ქარბორბალამ სახელად **ჰამიდ სორიანმა**, რომელიც აგერ უკვე ამდენი წელია, მუდმივად მძვინვარებს ამ წონაში და ყველას ანადგურებს, მაგრამ ჩვენებურს ორ პერიოდში ძალზე იოლად მოუგო.

ამ წონაში ირანელმა სორიანმა მორიგი სპექტაკლი დადგა, თუმცა მას სანახაობრივი მხრის გალამაზებაში ამოიანმაც გვარიანი კომპანიონობა გაუწია. სორიანი ზედიზედ მეხუთედ გახდა ჩემპიონი - 2005 წლიდან მოყოლებული, ყველა პირველობაში გაიმარჯვა, რაც ფანტასტიკური შედეგია. ფინალში კორეელ მეტოქესთან დამატებითი დრო კი დასჭირდა, მაგრამ მისი უპირატესობა მაინც საგრძნობი იყო. ირანელმა ნახევარფინალში ამოიანს აჯობა. შეგახსენებთ, რომ ისინი შარშან მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალშიც შეხვდნენ ერთმანეთს. შეიძლება ითქვას, ირანელი ბედისწერად ექცა სომეხს.

**1. ჰამიდ სორიანი (ირანი), 2. გიუ-ჯინ ჩოი (კორეა). 3. ნაზირ მანკიევი (რუსეთი), რომან ამოიანი (სომხეთი).**

### 66 კგ

გუშინ მოასპარეზე ქართული სამეულიდან ყველაზე მეტად მანუჩარ ცხადაიასი გვეიმედებოდა იმის მიუხედავად, რომ წლეულს ტრავმებმა ძალიან ბევრი გააცდინა. თუმცა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონისგან მთლად შარშანდელი შედეგის გამეორებას თუ არა, გარკვეულ წარმატებას მაინც ველოდით და არა ასეთ ფიასკოს - პირველივე წრეში დამატებით დროში წააგო სომეხ **არმან ადიკიანთან**. არადა, ჯერ ცხადაია დაწინაურდა, მაგრამ მომდევნო ორი 2:6 დათმო... მას არც სანუგეშო წრეში ჩართვის საშუალება მიეცა, რაკილა სომეხი აზერბაიჯანელ ევროპის ჩემპიონთან, მსოფლიოს პრიზიორ და ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონ **ვიტალი რაჰიმოვთან** დამარცხდა. თუმცა ფინალისკენ გზა ვერც რაჰიმოვმა გაიკვლია, რადგან ნახევარფინალში რუსთა ევროპის ორგზის ჩემპიონ ქართველთან - **ამბაკო ვაჩაძესთან** წააგო.

გუშინ ეს იყო ერთადერთი წონა, სადაც რუსებმა წარმატებას მიაღწიეს - ფინალში მხოლოდ აქ ჰყავდათ მონაწილე, ქუთაისელი ვაჩაძე კი აგრძელებს რუსული ტიტულების მოხვეჭას - ევროპის ორგზის ჩემპიონის ტიტულს უკვე მსოფლიოს ჩემპიონის წოდებაც დაუმატა. თუმცა ამაში ჩვენთვის კარგად ნაცნობმა ფინალურმა მეტოქემაც დიდად შეუწყო ხელი - სომხური წარმოშობის უკრაინელ **არმენ ვარდანიანს** 2003 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში **მანუჩარ კვირკველიამ** მოუგო. ფინალური ორთაბრძოლის პირველ პერიოდში ვაჩაძე ჩოქბჯენში ჩადგა, მაგრამ უკრაინელმა ორი ცდიდან ვერც ერთხელ დაატრიალა და პერიოდიც დათმო. მეორეში უკვე თავად ჩადგა ჩოქბჯენში, მაგრამ მეტოქეს შეკვრა არ აცალა, რისთვისაც სავსებით სამართლიანად გაფრთხილებით და ქულით დაისაჯა, ვაჩაძე კი გაიქცა და გამარჯვების ალსანიშნავად რუსთა ნაკრების ქუთაისელ მწვრთნელ **გოგი კოლუაშვილს** შეახტა.

**1. ამბაკო ვაჩაძე (რუსეთი), 2. არმენ ვარდანიანი (უკრაინა), 3. ვიტალი რაჰიმოვი (აზერბაიჯანი), ვასიფ არზიმანოვი (თურქეთი).**

### 96 კგ

სოსო ჯაბიძემ ტურნირი მსოფლიოს ჩემპიონთან შეხვედრით დაიწყო და დაასრულა კიდეც - ეგვიპტელი **მოჰამედ იბრაჰიმ აბდელფატაჰი** მსოფლიოს ჩემპიონია, მაგრამ აქამდე ქვედა წონაში გამოდიოდა, წლეულს კი აქ გადმოვიდა და წარმატებითაც. არადა, ევროპის წლევანდელ პრიზიორი ჯაბიძეს მოგების რეალური შანსიც ჰქონდა, პირველი პერიოდი მოუგო კიდეც, მაგრამ დამატებითში დასანანი შეცდომა დაუშვა და 0:1 დამარცხდა. მერე შანსი კიდევ რჩებოდა, მაგრამ ეგვიპტელი ამ სეზონში ზედიზედ მეორედ შეასკდა ირანულ ბარიერს - ივლისში ბაქოში, „ოქროს დიდი პრიზის" ფინალში **ბაბაკ ჰოსეინ გოლდასტენ გორბანისთან** წააგო, ახლა კი მსოფლიოს პრიზიორ **ამირ აზიზ ალიაკბართან** დამარცხდა. ირანელმა უმძიმესი გზა გაიარა ფინალამდე - ეგვიპტელამდე უზბეკეთის სახელით მოასპარეზე ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონ **დავით სალდაძესაც** მოუგო, მერე კი ფინალისთვის იოლ ჯგუფში „გადანახულ" ხუშტოვსაც გამოუყვანა წირვა. ის სავსებით დამსახურებულად გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, ბელარუსი **ტსიმაფეი დზეინიცენკა** კი ამ წონაში ახალ ლიდერად ყალიბდება - წლეულს ევროპის ჩემპიონატის ფინალშიც გავიდა, თუმცა იქ მისი მარცხი ხუშტოვთან უფრო მსაჯების დამსახურებაა.

სალდაძეს ცოტა რომ ეყოჩაღა, ხუშტოვს საერთოდ უმედლოდ დატოვებდა. ისინი ბრინჯაოსთვის ბრძოლაში შეხვდნენ ერთმანეთს და პირველ პერიოდში ჩოქბჯენში ხუშტოვი ჩადგა. სალდაძეს სულ მცირე ბიძგი დააკლდა მის დასატრიალებლად, მაგრამ ვერ შეძლო, ამის შემხედვარე უზბეკთა ქართველი თავკაცი, ოლიმპიური ჩემპიონი **ალექსანდრე დოხტურიშვილი** კი სკამზე ადგილს ვერ პოულობდა. სამაგიეროდ, მეორე პერიოდში ხუშტოვმა ჩოქბჯენიდან გდების ჩინებული გაკვეთილი ჩაუტარა არა მარტო სალდაძეს, მთელ მსოფლიოს - ხელში აყვანილი ფიზიკურად ბევრად მძიმე მეტოქე ჯერ ორქულიანზე გადააგდო, მერე კი ასევე ხელში აყვანილი პირდაპირ ბეჭებით დასცა ლეიბზე და წმინდა მოგება მიითვალა, სალდაძემ კი ზედიზედ მეორედ წააგო ბრინჯაოსთვის ბრძოლა მსოფლიოზე.

**1. ამირ აზიზ ალიაკბარი (ირანი), 2. ტსიმაფეი დზეინიჩენკა (ბელარუსი), 3. ასლანბეკ ხუშტოვი (რუსეთი), ჯიმი ლიდბერგი (შვედეთი).**

დღეს „ოლიმპიისკში" მორიგი ქართული ტრიო იჭიდავებს - **რევაზ ლაშხი** (60), **ვლადიმერ გეგეშიძე** (84) და **გურამ ფერსელიძე** (120). ლაშხი პირველივე წრიდან ჩაებმება ჩემპიონატში - თურქ **აბდულსამეტ უგურლის** ხვდება. გეგეშიძე სომხეთსი რუსეთიდან გადასულ **დენის ფოროვს** დაეჭიდება, ფერსელიძე - სერბ **მილოშ სპასიჩს**.

**ირაკლი თავაძე**

● ჩოგბურთი

# ქართული დუელი იტალიაში



მაკა ჩახნაშვილი

იტალიის ქალაქ ბიელაში ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი დაიწყო, რომლის საპრიზო ფონდი 100 ათასი ამერიკული დოლარია. სამი ქართველი ჩოგბურთელი საკვალიფიკაციო ბადეში მოხვდა, **მაკა ჩახნაშვილი** (213) მე-3 ნომრად განთესეს და პირველ წრეში დაასვენეს, ხოლო მე-8 ნომრად განთესილი **სოფიო შაფათავა** (284) და **სოფიო ქვაცაბაია** (398) პირველივე რაუნდიდან ჩაებნენ გათამაშებაში. შაფათავამ, სამწუხაროდ, მალევე დათმო შვეიცარიელ **ლარა მიშელთან** (686) - 3:6, 2:6, ქვაცაბაიამ კი ჩილელ **ანდრეა კოხ-ბენვენუტოს** (358) მოუგო - 6:4, 3:6, 6:4. მეორე საკვალიფიკაციო წრეში ქართული დუელი ვიხილეთ - ჩახნაშვილმა ორ სეტში მოუგო ქვაცაბაიას - 6:3, 6:4. ახლა ძირითად ბადეში გასასვლელად მაკამ ხორვატი **იასმინა ტინჯიჩი** (620) უნდა დაამარცხოს. ჩახნაშვილი და შაფათავა წყვილთა ბადეშიც ითამაშებენ, ოღონდ სხვადასხვა დუეტში.

**ოქსანა კალაშნიკოვა** (189) პოლონეთის ქალაქ კატოვიცეში 25-ათასიან ტურნირში ასპარეზობს. ჩვენებური პოლონეთში მეორე ნომრადაა განთესილი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ჭადრაკი

# კვარტეტი ციურიხში

გრძელდება მოჭადრაკეთა მსოფლიო საუნივერსიტეტო ჩემპიონატი ციურიხში. მედლებისთვის პაექრობაში ოთხი ქართველიც მონაწილეობს. უკვე გათამაშდა სამი ტური. **თამარ ნერეთელმა** 2.5 ქულა მოაგროვა (მოუგო **ვინა ლესთარის** და **იუდით ფუჩს**, გუშინ კი **?უგანბაიარ ლხამსურენს** დაუზავდა), **სოფიკო გურამიშვილის** ანგარიშზეა 2 ქულა (სძლია **ევი ლინდიავათის**, ხოლო **დულამსურენ იანინდულამსა** და **ალისა მელიოხინასთან** ქულები გაიყო). შეჯიბრებას 3-3 ქულით **ზოია სევერიუხინა** და **ზუზანა ბოროსოვა** ლიდერობენ. დღეს სწორედ ისინი დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. წერეთელი თეთრებით ასპარეზობის მონგოლ ფავორიტს **ბათჰუიაგ მონგონთუულს** შეხვდება, გურამიშვილი კი უუგანბაიარ ლხამსურენთან გაარკვევს ურთიერთობას.



თამარ წერეთელი

ვაჟებში უდანაკარგოდ **ვენ იუ** და **ილია ხმელნიკერი** მეწინავეობენ. ლიდერებს ქულით ჩამორჩება **დავით ბენიძე** (მოუგო **ვარელა ბუენოს** და **რაჯა პანჯვანის**, გუშინ კი ვენ იუსთან დამარცხდა), **მალხაზ სულაშვილს** 1,5 ქულა აქვს (ყაიმი **ამოჰამედ სუზანქართან**, წააგო **პეტერ პუბალასინგასთან** და აჯობა **იონას ვუსს**). მეოთხე ტურში ბენიძე **ნიკოლა ნესტეროვიჩს** შეხვდება, სულაშვილი - **მარინ ოტეს**.

**ვაჟა დანელია**

მეტოქე

# შემადგენლობა რუსეთმაც დაასახელა

შარშან მოჭადრაკეთა ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე საქართველოს და რუსეთის ქალთა ნაკრებებმა თანაბარი ქულები მოაგროვეს, მაგრამ დამატებითი მაჩვენებლებით ჩემპიონობა ჩრდილოელ მეზობლებს ხვდათ. ეს წარმატება მათ ქვეყნის პრეზიდენტმა **მედვედევმა** მიულოცა. რომ არა ქართველებთან პაექრობაში მიღწეული წარმატება, შესაძლოა, რუსთა ხელისუფალს ქალბატონები არც გახსენებოდა. ამ ფაქტიდან ნათლად ჩანს, როგორ იქნებიან რუსები მოტივირებულნი მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე, რომელიც 19-20 სექტემბრიდან ხანტი-მანსიისკში გაიმართება. ამ შეჯიბრებაზე მასპინძლებს ქალთა და ვაჟთა 2-2 გუნდი ეყოლებათ. მანდილოსანთა პირველ ნაკრებში ითამაშებენ ორგზის ევროპის ჩემპიონი **ტატიანა კოსინცევა** და მისი და - კონტინენტის მრავალგზის პრიზიორი **ნადეჟდა კოსინცევა**, მსოფლიოს ჩემპიონი **ალექსანდრა კოსტენიუკი**, **ალისა გალიამოვა** და **ვალენტინა გუნინა**; მეორეში - **ნატალია პოგონინა**, **ოლგა გირია**, **ანასტასია სავინა**, **ანასტასია ბოდნარუკი** და **ალინა კაშლინსკაია**. ვაჟების პირველი ნაკრები: **ვლადიმერ კრამნიკი**, **ალექსანდრ გრიშჩუკი**, **სერგეი კარიაკინი**, **პიოტრ სვიდლერი** და **ლადიმირ მალახოვი**; მე-2 ნაკრები: **ნუკიტა ვიტიუგოვი**, **იან ნეპომნიაშჩი**, **ევგენი ტომაშევსკი**, **ევგენი ალექსეევი** და **არტიომ ტიმოფეევი**.

**ვაჟა დანელია**



ქართული სპორტი

კალათბურთი



## ბესიკ ლიპარტელიანი:
# ხუთი საათი საუკუნედ გვეჩვენა

სტამბოლში კალათბურთელ ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატის მსვლელობისას ფიბას მე-19 მსოფლიო კონგრესიც გაიმართა, რომელზეც ამ ორგანიზაციის მე-11 პრეზიდენტად 1992 წლიდან საფრანგეთის კალათბურთის ფედერაციის 66 წლის თავკაცი ივან მაინინი აირჩიეს. კონგრესმა მრავალი, მათ შორის ჩვენთვის ფრიად საინტერესო 2011 წელს ლიტვაში ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის გამართვის საკითხიც განიხილა. **უკვე გაუწყეთ, რომ ფიბას აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით, საქართველოს ნაკრები კონტინენტის პირველობაზე საკვალიფიკაციო ეტაპის გარეშე დაუშვეს, რაც ქართული სპორტის მატიანეში ისტორიული მომენტია.**

ფიბას მსოფლიო კონგრესის მუშაობას ესწრებოდა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ბესიკ ლიპარტელიანი**, რომელსაც სტამბოლში შევეხმიანე და ჩვენთვის სასიხარულო მოვლენასთან დაკავშირებით შთაბეჭდილებების გაზიარება ვთხოვე:

— კონგრესზე ჩემთან ერთად იმყოფება საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი მერაბ რატიშვილი. ჯერ კიდევ თბილისიდან გამომგზავრებამდე შევიმუშავეთ გეგმა, რომელიც ფიბასთვის უნდა წარგვედგინა. ალბათ, იცით, რომ კალათბურთის მსოფლიო ასოციაციაში განიხილებოდა 2013 წლის ევროპის ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე 24 გუნდის დაშვების საკითხი. ამ პროცესის დაჩქარება გადავწყვიტეთ და სტამბოლში ჩვენი მოსაზრება უკრაინელებსა და იტალიელებს გავაცანით, რომლებსაც იდეა მოეწონათ და სამივე ქვეყნის წარმომადგენლებმა ერთდროულად მივმართეთ კონგრესს, რომ ეს საკითხი განეხილათ. მთავარი სიტყვა ლიტვას უნდა ეთქვა, როგორც მასპინძელ ქვეყანას, შეძლებდა თუ არა დამატებით 8 ქვეყნის მიღებას. ბალტიისპირელებს უარი არ უთქვამთ. აღმასკომის სხდომაზე კამათი 5 საათს გაგრძელდა, რაც საუკუნედ გვეჩვენა. ჯერ ორი გუნდის დაშვებაზე იყო ლაპარაკი, მერე მონაწილეთა 20 გუნდამდე გაზრდის ვარიანტი განიხილეს. ჩვენ ყველა შემთხვევაში კვალიფიკაციის გაუვლელად ვხვდებოდით ფინალში. ბოლოს საღმა აზრმა გაიმარჯვა: ფიბამ, უმრავლესობის მხარდაჭერით, გონივრული გადაწყვეტილება მიიღო — მონაწილეთა რაოდენობა 24-მდე გაზარდა. ქართული კალათბურთის ისტორიაში მოხდა უპრეცედენტო შემთხვევა — ჩვენი ნაკრები გაისად ევროპის ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე ითამაშებს. იმ რვა მძიმე ორთაბრძოლას, რომლებიც ჩვენმა ბიჭებმა წლეულს შესარჩევ ტურნირში გამართეს, უკვალოდ არ ჩაუვლია.

— **რადგან წინასწარ ყოფილხართ ამ მომენტისთვის შემზადებული, ამ ცხელ კვალზე ჩემპიონატისთვის მზადების კონტურებიც გექნებათ შერჩეული...**

— ჯერ სიხარულის ტალღას არ გადაუვლია და კონკრეტულად რამის თქმა ძალიან მიჭირს. ვიმეორებ, მთავარი ის არის, რომ მიზანი მიღწეულია. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ბიჭებს შარშან და წლეულს ტურნირებისთვის მოსამზადებლად საკმაოდ გავუუმჯობესეთ პირობები. მესმის, რომ კონტინენტის პირველობის ფინალისთვის ეს არ იქნება საკმარისი. მალე თბილისში დავბრუნდებით, ფედერაციის სხდომას მოვიწვევთ, ყველაფერს ავწონ-დავწონით და შესაბამის გადაწყვეტილებასაც მივიღებთ.

ქართული კალათბურთის ყველა გულშემატკივარს, მთელ საქართველოს ვულოცავ ამ ისტორიულ მოვლენას და ვპირდებით, რომ ქომაგებს მომავალშიც გავახარებთ.

**ვაჟა დანელია**

# საქართველომ ეს პატივი დაიმსახურა

ფიბას გადაწყვეტილებით, 2011 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალში საქართველოს ეროვნული გუნდის დაშვების შესახებ, ცხადია, უპირველესად თვით ნაკრების წევრებმა გაიხარეს. ერთ-ერთ მათგანს — **კოტე ტულუშს** გუშინ გავესაუბრე:

— ამერიკაში გამგზავრების წინა დღეს **ზაზა ფაჩულიამ** ჯვარი დაიწერა და საღამოს ბიჭებთან ერთად რესტორანში ამ მოვლენას აღვნიშნავდით, სტამბოლიდან **ბესიკ ლიპარტელიანმა რომ** დაგვირეკა და სასიხარულო ამბავი გვაცნობა. წარმოიდგინეთ, რა დღეში აღმოვჩნდებოდით. ცრემლმორეულმა ზაზამ ესღა თქვა — ამ ერთ წელიწადს რა გაძლებსო. ჩვენ აქედანვე შესარჩევი თამაშებისთვის განვეწყობოდით და უცებ ფინალში კი აღმოვჩნდით. საქართველომ ეს პატივი დაიმსახურა. ერთიორად იზრდება პასუხისმგებლობა, მაგრამ ამის არ გვეშინია. მთავარია, ამ ერთი წლის განმავლობაში ვინმემ სერიოზული ტრავმა არ მიიღოს. ბიჭები ოსტატობას აიმაღლებენ, **ვლადიმერ ბორისაც** დაგვემატება და გავძლიერდებით. გვერწმუნეთ, ჩვენი გუნდი ანგარიშგასაწევი ძალა იქნება ჩემპიონატზე.

— **ლიტვური ბატალიები სექტემბერში გაიმართება. ფაჩულიას ან სხვა რომელიმე კალათბურთელს პრობლემა ხომ არ შეექმნება ნბა-ს ან სხვა ჩემპიონატის გამო?**

— ვფიქრობ, რომ არა. ახლაც ხომ მიმდინარეობს თურქეთში მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც უძლიერესი მოთამაშეები მონაწილეობენ. ერთი კი მინდა აღვნიშნო: ალბათ, საწყენად არ დარჩება, თუ ვიტყვი, რომ ევროპის ჩემპიონატის მონაწილე ქვეყანას უკეთესი ეროვნული პირველობა უნდა ჰქონდეს, რომ ღირსეული ცვლა მომზადდეს და ნაკრებში მოსახვედრად კონკურენცია გაიზარდოს.

— **თავად სად აპირებ თამაშს?**

— ჯერჯერობით არ გადამიწყვეტია, თუმცა საქართველოდან წასვლას არსად ვაპირებ.

**ვაჟა დანელია**

ტრანსფერი

# გამყრელიძე ტიტულოვან გერმანულ კლუბში გადავიდა

საქართველოს ნაკრების 24 წლის გამთამაშებელმა **ლაშა გამყრელიძემ** გერმანიაში კლუბი გამოიცვალა - 183 სმ სიმაღლის მცველი „მიტელდოიჩერიდან“ „გისენში“ გადავიდა. შარშანდელ სეზონში გამყრელიძე ბუნდესლიგაში საშუალოდ თამაშში 6,1 ქულას, 1,5 მოხსნას და 3,8 შედეგიან გადაცემას აკეთებდა. ახლა ცენტრალური გერმანიის უძველესი ქალაქის გუნდთან კონტრაქტი 2010/11 წლების სეზონის ბოლომდე გააფორმა. ჩვენებური უახლოეს კვირებში სავიზო ფორმალობებს მოაგვარებს და ახალ კლუბს შეუერთდება.

სხვათა შორის, შარშანდელ ბუნდესლიგაში ლაშა გამყრელიძე მეოთხე ადგილზე იყო წუთში საშუალოდ გაკეთებული შედეგიანი გადაცემების მიხედვით. ის მხოლოდ **ბრანისლავ რატკოვიცას** (ტუბინგენი), **კევინ ჰემილტონს** (ბრაუნშვაიგი) და **ჯარედ ჯორდანს** ჩამორჩებოდა.

აი, რას ამბობს „გისენის“ სპორტული დირექტორი და მთავარი მწვრთნელი **ვლადიმირ ბოგოევიჩი** ლაშას შესახებ: *„მისი დამატებით გუნდმა მაღალი კლასის კალათბურთელი შეიძინა, რომელსაც დაცვასა და შეტევაში თანაბრად შეუძლია თამაში. გამყრელიძე აგრესიული სტილის კალათბურთელია, კარგი მცველია, მას შეუძლია, მუდმივ წნეხში ამყოფოს მეტოქე. შეტევაში ქართველი სწრაფია, მოედნის კარგი ხედვა და პასი აქვს. მან კარგი გამოცდილება შეიძინა მნიშვნელოვან მატჩებში“.*

შარშანდელ ბუნდესლიგაში „გიესენი“ მე-14 ადგილზე გავიდა 10 მოგებით და 24 მარცხით. სხვათა შორის, გამყრელიძის ახალი კლუბი საკმაოდ ტიტულოვანია, ის ერთადერთი კლუბია, რომელსაც ბუნდესლიგის შექმნიდან (1966) ერთხელაც არ დაუტოვებია უძლიერესთა რიგები. „გიესენი“ გერმანიის ხუთგზის ჩემპიონია (1965, 1967, 1968, 1975 და 1978) და სამჯერ ფლობდა გერმანიის თასს (1969, 1973 და 1979).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ახალი ამბების ესტაფეტა



# ცურვა უფასოდ

გუშინ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ლადო ვარძელაშვილი** ისანი-სამგორის რაიონის გამგებელ **თემურ გრიგალაშვილთან** ერთად 5 დეკემბრის ქუჩაზე საცურაო აუზ „ოლიმპიკს“ ეწვია და სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვების პირველ ვარჯიშს დაესწრო.

საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივითა და მინისტრის გადაწყვეტილებით, სოციალურად დაუცველ პატარებს აუზზე ცურვისა და დასვენების საშუალება მიეცემათ. პირველ ეტაპზე აუზზე ცურვის უფასო 3-თვიან კურსს 30 სოციალურად დაუცველი მოზარდი გაივლის. შემდგომში კი ამავე პროექტში ისანი-სამგორის რაიონში მცხოვრები ყველა სოციალურად დაუცველი მოზარდი ჩაერთვება.

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემები სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს რაიონის გამგეობამ მიაწოდა. საცურაო კომპლექსი „ოლიმპიკი“, რომელიც საერთაშორისო მოთხოვნებს აკმაყოფილებს, საქართველოს პრეზიდენტმა **მიხეილ სააკაშვილმა** წლეულს, 13 მაისს გახსნა.

პრეზიდენტის განცხადებით, აუზით სარგებლობა სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვებისთვის ყოველგვარი გადასახადის გარეშე უნდა გამხდარიყო შესაძლებელი, თუმცა ეს მოთხოვნა აქამდე ჯერ კიდევ შეუსრულებელი იყო.

ლადო ვარძელაშვილი: *„ვფიქრობ, ძალიან კარგ წამოწყებას ჩავუყარეთ საფუძველი და პრეზიდენტის ინიციატივას ისანი-სამგორის რაიონის გამგეობასთან ერთად განვახორციელებთ. დღეიდან საცურაო აუზ „ოლიმპიკზე“ ისანი-სამგორის რაიონის სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვები უფასოდ შეისწავლიან ცურვას. პატარები აქ რამდენიმე ნაკადად ივლიან. პირველ ნაკადს აუზი 3 თვის მანძილზე მოემსახურება, შემდეგ კი მათ მეორე ნაკადი ჩაენაცვლება.“*

www.sport.gov.ge თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# სამინისტრომ მიულოცა

შანხაიში დასრულებულ მშვილდოსანთა მსოფლიოს თასის მე-4 ეტაპზე საქართველოს ქალთა ნაკრებმა IV ადგილი დაიკავა. ქართველთა სამეული (**ქრისტინე ესებუა, ხათუნა ნარიმანიძე, ნათია ცინცაძე**) მერვედფინალში მე-14 შედეგით გავიდა და მე-3-რეიტინგოსან აშშ-ის გუნდს, რომლის ერთ-ერთი წევრი **ხათუნა ქვრივიშვილია, 216:211** სძლია.

მეოთხედფინალში ქართველმა ქალებმა კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვეს და რუსეთის ნაკრები 195:190 დაამარცხეს, ნახევარფინალში კი ჩინეთის (მე-2 რეიტინგი) უძლიერეს ნაკრებთან 202:213 დათმეს.

III ადგილისთვის მატჩი საქართველოს ნაკრებმა რეიტინგში მე-4 ადგილზე მყოფ ტაივანის გუნდთან 206:219 წააგო, ეტაპის გამარჯვებული კი სამხრეთ კორეა გახდა, რომელმაც ფინალში ჩინეთს 222:217 მოუგო.

შანხაიდან დაბრუნების შემდეგ, 6 სექტემბერს ქართველ მშვილდოსნებს ფედერაციის ხელმძღვანელებთან ერთად სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე **დავით ნამგალაური** სამინისტროში შეხვდა და წარმატება მიულოცა. შეხვედრაზე მშვილდოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი **მამუკა ქაცარავა** და გენერალური მდივანი **არტემ სანიშვილიც** იმყოფებოდნენ.

www.sport.gov.ge თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო



კონტაქტები



რონი აიზენბერგი (მარცხნივ) და ელდარ კაპანაძე ვარჯიშის დაწყების წინ

# ებრაელმა მწვრთნელმა ჩემპიონები ავარჯიშა

საქართველოს და ისრაელის კალათბურთის ფედერაციებს დიდი ხნის ურთიერთობა აკავშირებთ, რაც ქართულ-ებრაული მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის დასტურიცაა. ბოლო წლებში თელ ავივიდან არაერთხელ ჩამოსულან კალათბურთის მწვრთნელები, რომლებსაც დახმარების ხელი გაუწვდიათ ქართველი კოლეგებისთვის. ამ დღეებში თბილისს ეწვივნენ მამაშვილი - **შაულ და რონი აიზენბერგები**. შაული ისრაელის კალათბურთის ფედერაციის ერთ-ერთი ფუნქციონერია, ჰაპოელის ყოფილი პრეზიდენტი. რონი აღთქმული ქვეყნის ქალთა ნაკრებს უდგას სათავეში, ამჟამად ნაარიას ვაჟთა გუნდის დაკვალიანებაც ანდეს. თბილისში ოთხი წლის წინათაც იმყოფებოდა და **მედეა მხეიძესთან** ერთად საქართველოს ნაკრების წვრთნაში მონაწილეობდა, გუშინ კი სპორტის სასახლეში ქალთა შორის საქართველოს ჩემპიონ თსუ-ს გუნდის მწვრთნელ **ელდარ კაპანაძესთან** ერთად ავარჯიშა გოგონები. რონი აიზენბერგის მიზანია, თბილისში ისეთი გუნდის ჩამოყალიბებას შეუწყოს ხელი, რომელიც ევროპის საკლუბო ჩემპიონატში იასპარეზებს.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

ლეგიონერები


დავით ზირაქაშვილის სალელოვე შეტევა, №8 გიორგი ჩხაიძე

# ზირაქაშვილის ლელო კატალიზატორი გამოდგა

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტური, პირველი დივიზიონის მე-5 ტური ქართული ლელოთი აღინიშნა. საქართველოს ნაკრებისა და „კლერმონის“ შერკინების ბურჯმა **დავით ზირაქაშვილმა**, რომელიც ტრავმის მოშუშების შემდეგ ძირითად შემადგენლობას ახლახან დაუბრუნდა, მე-15 წუთზე „მონპელიეს“ ლელო გაუტანა, რითაც „ვულკანების“ გამარჯვებას ჩაუყარა საფუძველი.

„კლერმონმა“ ყველაზე ქართულ ფრანგულ გუნდს, **მამუკა გორგოძის, გიორგი ჩხაიძის, გოდერძი შველიძის, გიორგი ჟღენტისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიეს“ შინ 27:10 მოუგო. სტუმართა გუნდის მწვრთნელებმა **ფაბიენ გალტიემ** და **ერიკ ბეშუმ** ოთხშაბათს შინ „ტულუზთან“ მოგებული უმძიმესი მატჩის შემდეგ რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დაასვენეს, მათ შორის მამუკა გორგოძეც.

მიუხედავად ამისა, მონპელიელებმა თამაში აქტიურად დაიწყეს და მე-4 წუთზე ანგარიში საჯარიმოთი გახსნეს. „ვულკანები“ მე-15 წუთამდე მეტოქეს ვერაფერს უხერხებდნენ. ბოლოს მაინც მათმა პირველმა ხაზმა იძალა. მოკლე დარტყმებით ისინი სტუმართა ჩათვლის მოედანს მჭიდროდ მიუახლოვდნენ. ლელომდე ხუთიოდ მეტრი რჩებოდა, როცა რაკიდან ბურთი ზირაქაშვილმა აიტაცა და თავისიანები დააწინაურა. „ზირაქას“ ლელო ახალზელანდიელმა მგეზავმა **ბრუკ ჯეიმზმა** გარდასახა - 7:3.

„მონპელიე“ არც ამის შემდეგ გატყდა და სამ წუთში საპასუხო ლელო გაიტანა, ოთხ წუთში კი ჯეიმზმა საჯარიმოთი გაათანაბრა - 10:10. ეს ანგარიში ტაიმის ბოლომდე შენარჩუნდა, თუმცა მასპინძლებმა მაინც შეძლეს მონპელიელთა წინააღმდეგობის დაძლევა. „კლერმონი“ 38-ე წუთზე ჯერ ჯეიმზმა დააწინაურა საჯარიმოთი, მერე კი, ტაიმის ბოლო წუთზე გარემარბმა **ჟულიენ მალზიომ** მიითვალა ლელო, რომელიც იმავე ჯეიმზმა გარდასახა - 20:10.

მეორე ტაიმში „მონპელიემ“ საკუთარ მონაგარს ვერაფერი შემატა. საფრანგეთის ჩემპიონებმა კი მატჩის ბოლო წუთზე კიდევ ერთი ლელოს გატანა მოახერხეს და სრულიად დამსახურებულად მოიგეს - 27:10.

ზირაქაშვილმა და ჩხაიძემ სრულად ითამაშეს. შველიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 38-ე წუთზე შეცვალეს, ორი წუთით მეტი დაჰყო მოედანზე ჟღენტმა. გორგოძე და ნარიაშვილი განაცხადში არ იყვნენ.

**აქვსენტი გიორგაძისა** და **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრმა“ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა შინ ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტთან პარიზულ „მეტრო რასინგთან“ - 31:25.

თამაში ორივე გუნდის დამრტყმელების დუელად გადაიქცა. კასტრელმა ფულბეკმა **რომენ ტულემ** რვა საჯარიმო და ერთი გარდასახვა გაიტანა (26 ქულა), პარიზელთა მგეზავის, არგენტინელი **ხუან მარტინ ერნანდესის** მონაგარი კი ერთი გარდასახვა, ოთხი საჯარიმო და ორი არეკნია (20 ქულა).

ქართველ მორაგბეებს არ უთამაშიათ. მართალია, გიორგაძემ ტრავმა უკვე მოიშუშა, მაგრამ ჯერ ესპუართა გუნდში თამაშობს. ფეიქრიშვილი კი მკურნალობას განაგრძობს.

ასევე უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა შინ **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონთან“ **დავით ხინჩაგიშვილისა** და **ვასილ კაკოვინის** „ბრივმა“ - 27:9. მატჩის პირველი ნახევარი უმძიმეს ბრძოლაში წარიმართა და- 6:6 დამთავრდა. მეორე ტაიმში კი მასპინძლებმა გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება შეძლეს, მეტოქეს სამი უპასუხო ლელო გაუტანეს და თამაში გამარჯვებამდე მიიყვანეს.

ქუბრიაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 51-ე წუთზე შეცვალეს, ზუსტად ამ დროს ჩაერთო თამაშში ხინჩაგიშვილი, კაკოვინი განაცხადში არ იყო.

პირველ დივიზიონში მოასპარეზე ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან ხუთი სატურნირო ცხრილის ზედა ნახევარში და, როგორც ჩანს, პლეი ოფში მოხვედრისთვის იბრძოლებს. ერთადერთი „ქართული გუნდი“, რომელსაც ხუთი ტურის შემდეგ აქტივში თითო მოგება და ფრე აქვს, **ბექა შეყლაშვილის** „აჟენია“. ჩვენებურის გუნდმა შარშანდელ ფინალისტს, კატალონიურ „პერპინიანს“ უმასპინძლა და ფრეს გამოჰკრა ხელი - 23:23. შეყლაშვილს არ უთამაშია.

**საფრანგეთი. I დივიზიონი**

V ტური: კლერმონი-მონპელიე 27:10, კასტრი-მეტრო რასინგი 31:25, ტულუზილა როშელი 50:3, ბურგუენი-ბაიონი 23:28, აჟენი-პერპინიანი 23:23, ბრივი-ტულონი 27:9, ბიარიცი-სტად ფრანსე 19:11.

სატურნირო მდგომარეობა: 1. ბაიონი - 17 ქულა, 2. ტულუზი - 16, 3. კლერმონი - 14, 4. კასტრი - 14, 5. მონპელიე - 13, 6. სტად ფრანსე - 13, 7. მეტრო რასინგი - 13, 8. ბრივი - 11, 9. ტულონი - 10, 10. პერპინიანი - 10, 11. ბიარიცი - 10, 12. ლა როშელი - 9, 13. აჟენი - 7, 14. ბურგუენი - 5.

VI ტური: ბაიონი-კლერმონი, ტულონი-აჟენი, პერპინიანი-ბურგუენი, მეტრო რასინგი-ლა როშელი, სტად ფრანსე-ბრივი, მონპელიე-კასტრი, ბიარიცი-ტულუზი.

ორი მატჩიდან ორივე მოიგო ელიტურ, მეორე დივიზიონში **გურამ კავთიძის** „ლიონმა“. ჩვენებურის გუნდმა მეორე ტურში სტუმრად დაამარცხა დივიზიონის დებიუტანტი „კარკასონი“ - 21:19. კავთიძე განაცხადში არ იყო.

ორიდან ორივე თამაში წააგო **გიორგი მენაბდიშვილის** „გრენობლმა“. „ალპელები“ ამჯერად სტუმრად დამარცხდნენ **მამუკა მაგრაქველიძისა** და **ირაკლი მირცხულავას** „ტარბთან“ - 19:25. ქართველებს არ უთამაშიათ.

II დივიზიონი: სენტ ეტიენი-იიონაქსი 7:47, კოლომიე-მონ დე მარსანი 16:12, ტარბი-გრენობლი 25:19, ბორდო-ორიაკი 22:15, ექსი-ნარბონი 18:11, პო-ოში 22:16, კარკასონი-ლიონი 19:21, დაქსი-ალბი 13:28.

სატურნირო მდგომარეობა: 1. ალბი - 9 ქულა, 2. ლიონი - 8, 3. კოლომიე - 8, 4. პო - 8, 5. იიონაქსი - 6, 6. ბორდო - 5, 7. ნარბონი - 5, 8. კარკასონი - 5, 9. მონ დე მარსანი - 5, 10. ტარბი - 5, 11. ორიაკი - 5, 12. ექსი - 4, 13. ოში - 2, 14. გრენობლი - 2, 15. დაქსი - 0, 16. სენტ ეტიენი - 0.

III ტური: კოლომიე-პო, მონ დე მარსანი-ოში, ტარბი-ალბი, ნარბონი-სენტ ეტიენი, ორიაკი-ექსი, გრენობლი-კარკასონი, იიონაქსი-ბორდო, ლიონი-დაქსი.

რუმინეთის სარაგბო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მეთვრამეტე ტურში **ბიძინა სამხარაძის, ოთარ ტურაშვილის, კახაბერ უჩავას, ირაკლი ნატრიაშვილისა** და **ლაშა თავართქილაძის** „ფარულმა“ სტუმრად მოუგო ბუქარესტის „სტიაუას“ - 29:20. ამ სენსაციური გამარჯვების შემდეგ ჩვენებურთა გუნდი სატურნირო ცხრილში 64 ქულით მესამე ადგილზეა და „სტიაუას“ ოთხი ქულით ჩამორჩება.

**რუმინეთი. უმაღლესი ლიგა**

XVIII ტური: ბაია მარე-დინამო ბუქარესტი 39:7, სტიაუა-ფარული 20:29, ტიმიშოარა-არადი (გადაიდო).

სატურნირო მდგომარეობა: 1. ბაია მარე - 81 ქულა, 2. სტიაუა - 68, 3. ფარული - 64, 4. დინამო ბუქარესტი - 49, 5. არადი - 40, 6. ტიმიშოარა - 23.

სამი ერი

# ბეილიმ ბოკეს გმირობა არ დაანება

**ს. აფრიკა-ავსტრალია 39:41**

სამხრეთ აფრიკა (15-9) ფ.სტეინი, პიტერსენი, ფური, დე ფილიერსი, ჰაბანა (ეპლონი 51), მ.სტეინი, ჰაუხარდი. (1-8) სტენკამპი, სმიტი (რელეპელე 65), დუ პლესი (ფან დერ ლინდე 55), როსუ (ფან დერ მერვე 61), მეტფილდი, ბურხერი, სმითი, სპისი (კანკოვსკი 65).

*ლლ: ფური, დე ფილიერსი, სტენკამპი. 6ს,3გ: მ.სტეინი.*

ავსტრალია (15-9) ბეილი, ოკონორი, ეშლი-კუპერი, გიტო (ბარნსი 70), მიტჩელი (ე.ფაინგაა 74), კუპერი, გენია (ბარჯესი 55). (1-8) რობინსონი, მური (ს.ფაინგაა), მააფუ (სლიპერი 22), ჩისჰოლმი (მამი 54), არფი, ელსომი, პოკოქი, მაკკალმენი (ბრაუნი 68).

*5ლ: მური, ელსომი, მიტჩელი, ოკონორი, ბეილი. 5გ: გიტო (4), ოკონორი. 2ს: გიტო, ბეილი.*

სინბინი: ს.ფაინგაა.

მსაჯი: უეინ ბარნსი (ინგლისი)

მატჩის ბედი ბოლო წამებზე გაირკვა. ავსტრალიელთა ფულბეკმა **ქართლი ბეილიმ** საჯარიმო 50 მეტრიდან გაიტანა და „ვოლაბებს“ 1963 წლის შემდეგ სამხრეთ აფრიკაში „ბოკესთან“ პირველად გაამარჯვებინა - 41:39.

ამ მოგებით ავსტრალიელებმა ნელსონ მანდელას სახელობის თასი მოიპოვეს და სამი ერის გათამაშებაში მეორე ადგილი დაიკავეს. თამაშის შედეგს, ცხადია, მასპინძლებისთვისაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მსოფლიოს ჩემპიონების ბანაკში დიდი ხანია, არეულობაა, რაც ხუთი თამაშიდან ოთხის წაგების ფასად დაუჯდათ. „ბოკემ“ შელახული რეპუტაცია ერთი კვირის წინ პრეტორიაში „ვოლაბების“ დამარცხებით თითქოს აღიდგინა. ბლუმფონტეინში სამხრეთაფრიკელებს უნდა დაემტკიცებინათ, რომ ჩავარდნა დროებითია, მაგრამ ვერ შეძლეს. კრიზისი საკმაოდ ღრმა აღმოჩნდა.

დრამატული მატჩის სცენარი წინა შეხვედრისას ჰგავდა. თავდაპირველად სტუმრები დაწინაურდნენ, თუმცა „ბოკემ“ „ამოქაჩვა“ შეძლო. **რობი დინსმა** და მისმა ბიჭებმა, როგორც ჩანს, პრეტორიული მატჩის გამოცდილება გაითვალისწინეს და მეტოქეს გამარჯვება არ დაანებეს.

ბლუმფონტეინში ანგარიში სტუმრებმა გახსნეს. შუამარბმა **მეთ გიტომ** მე-2 წუთზე საჯარიმო გაიტანა. სამხრეთაფრიკელთა მგეზავმა **მორნი სტეინმა** ანგარიში საჯარიმოთივე ოთხ წუთში გაათანაბრა - 3:3.

ამას მომდევნო ოც წუთში ავსტრალიელთა ლელოების კორიანტელი მოჰყვა: ქართლი ბეილიმ, **ჯეიმზ ოკონორმა, სტივენ მურმა** და **ჯეიმზ სლიპერმა** ერთმანეთზე უკეთესი ოთხი ლელო გაიტანეს, გიტომ ოთხივე გარდასახა. „ბოკემ“ ამაზე მხოლოდ სტეინის საჯარიმოთი უპასუხა და 26-ე წუთისთვის ავსტრალიის ნაკრები 25 ქულით დაწინაურდა - 31:6.

ვითარების შემობრუნების დასაწყისად პირველი ტაიმის ბოლო წუთები შეიძლება მივიჩნიოთ, როცა „ბოკეს“ ლიდერმა **ვიქტორ მეტფილდმა** თავდადების შესანიშნავი მაგალითი უჩვენა თანაგუნდელებს. მის მიერ წამოწყებული იერიში კი დისკვალიფიკაციის შემდეგ გუნდში დაბრუნებულმა შუამარბმა **ჟაკ ფურიმ** ლელოთი დაასრულა. სტეინმა გარდასახა - 13:31. ასე დასრულდა პირველი ნახევარი.

შესვენების შემდეგ 30 წუთის განმავლობაში სამხრეთაფრიკელები დომინირებდნენ და 70-ე წუთზე ხუთი ქულით დაწინაურდნენ - 36:31.

მეორე ტაიმის დაწყებისთანავე „ბოკე“ გააფთრებული ეკვეთა მეტოქეს და 14 წუთში **ხუთრო სტენკამპისა** და **იან დე ფილიერსის** ლელოების წყალობით, რომლებიც სტეინმა გარდასახა და ზედ ერთი საჯარიმოც მიაყოლა, ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა - 30:31. მატჩის დასრულებამდე 26 წუთი რჩებოდა და, ცხადია, „ბოკეს“ თითქმის წაგებული თამაშის სათავისოდ შემობრუნება რეალურად შეეძლო.

საქმეც აქეთკენ მიდიოდა. მორნი სტეინმა 61-ე და 70-ე წუთებზე ორი საჯარიმო გაიტანა - 36:31. „ბოკეს“ ქომაგთა სამწუხაროდ, „ვოლაბებმა“ ბოლო ათ წუთში ძალების მობილიზება შეძლეს. 72-ე წუთზე ლელო გარემარბმა **დრიუ მიტჩელმა** გაიტანა, გარდასახვა ზუსტად მეორე გარემარბმა **ჯეიმზ ოკონორმა** დაარტყა - 38:36.

76-ე წუთზე სამხრეთ აფრიკის ნაკრებმა მორნი სტეინის საჯარიმოთი ისევ შეძლო დაწინაურება - 39:38, თუმცა „ბოკეს“ ქომაგებს იმ საღამოს ზეიმი არ ეწერათ: ქართლი ბეილიმ „ბოკეს“ გმირობა არ დაანება.

სატურნირო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ახ.ზელანდია | 5 | 5 | 0 | 0 | +72 | 23 |
| 2. ავსტრალია | 5 | 2 | 0 | 3 | -25 | 10 |
| 3. ს.აფრიკა | 6 | 1 | 0 | 5 | -47 | 7 |

**სამი ერი**

**11 სექტემბერი**

**ავსტრალია-ახალი ზელანდია**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**


ავსტრალიის ნაკრები ნელსონ მანდელას თასით

sport.gov.ge

## უცხოური სპორტი

კრივი. ახალი ამბები

# მეივეზერის ბოდიში

## კლიჩკომ ახალი ბრძოლის თარიღი დაგეგმა

ხუთ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ექსჩემპიონ **ფლოიდ მეივეზერს** ფილიპინელი **მენი პაკიაოს** მისამართით რასისტული გამონათქვამებისთვის ბოდიშის მოხდამ მოუწია. რამდენიმე დღით ადრე ამერიკელი მოკრივე ამბობდა: „ბარბექიუზე პაკიაოსა და ძაღლის ხორცისგან კერძს დავამზადებ“, „შევწვავ ამ ყვითელ იდიოტს“ და ა. შ. ამ ფრაზებმა საკრივო საზოგადოების გაღიზიანება გამოიწვია და მეივეზერმა საჯაროდ ბოდიში მოუხადა მსოფლიოს საუკეთესო მოკრივეს.

„მინდა ბოდიში მოვიხადო იმის გამო, რაც მოხდა, რადგან ჩემი სიტყვები რასისტულ გამოხდომად მიიჩნიეს. გარწმუნებთ, რომ ჩემში რასიზმის ნატამალიც არ არის, პირიქით, ჩემში ყველას მიმართ სიყვარულს აღმოაჩენთ, ზოგი მუსლიმანია, ზოგიც ებრაელი. არიან პუერტორიკოელები, დომინიკელები, თეთრები... ამას არ აქვს მნიშვნელობა. ჩემს გულში სიყვარულის გარდა არაფერია. მინდა საჯაროდ განავაცხადო - თუ ვინმე დაზარალდა ჩემი სიტყვების გამო, გულწრფელ ბოდიშს ვიხდი“, - ამბობს პროფესიულ რინგზე დაუმარცხებელი მეივეზერი.

„პაკიაოს მართლაც მიაჩნია, რომ საუკეთესოა, მაგრამ ეს ასე არ არის. საუკეთესო მე ვარ. აი ეს არის ჩვენ შორის განსხვავება. იმ 41 მოწინააღმდეგეს, ვისაც აქამდე შევხვედრივარ, გამარჯვების სჯეროდა, მაგრამ საბოლოოდ მოტყუებული დარჩა“, - ამ სიტყვებით დაასრულა თავისი კომენტარი ფლოიდ მეივეზერმა.



ვიტალის ქამარს ედავებიან

■ ■ ■

16 ოქტომბერს, გერმანიის ქალაქ ჰამბურგში **ვიტალი კლიჩკო** ამერიკელ **შენონ ბრიგსთან** ბრძოლაში დაიცავს სუპერმძიმე წონაში WBC-ის ტიტულს. ეს უკვე გადაწყვეტილი ამბავია. გარდა ამისა, ცნობილი გახდა, რომ უკრაინელი 2011 წლის გაზაფხულისთვის გეგმავს მომავალი ბრძოლის ჩატარებას. მისი სავარაუდო მეტოქე პოლონელი **ტომაშ ადამეკი** იქნება. შეხვედრის თარიღად 11 მარტს ასახელებენ.

39 წლის ვიტალის პრომოუტერი **შელი ფინკელი** უკვე აწარმოებს მოლაპარაკებებს ამ ბრძოლის ორგანიზებაზე. პარალელურად, მოლაპარაკება მიმდინარეობს ამერიკულ ტელეარხ HBO-სთან, რომელიც აქამდე იშვიათად გადასცემდა ძმები კლიჩკოების ბრძოლების ტელეტრანსლაციებს. ცოტა ხნის წინ HBO-ის სპორტული რედაქციის ხელმძღვანელი **როს გრინბერგი** ამბობდა, უკრაინელი მძიმეწონოსნების ბრძოლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში გადასცემდა პირდაპირ ეთერში, თუ მათი მეტოქეები ბრიტანელი **დევიდ ჰეი** ან ადამეკი იქნებოდნენ. შეხვედრის სავარაუდო ადგილია - ნიუ იორკის „მედისონ სკვერ გარდენი“.

სატიტულო ბრძოლები

# შტურმი მოგებით დაბრუნდა

გასულ უქმეებზე რამდენიმე საჩემპიონო ბრძოლა გაიმართა. მიმოხილვა დავიწყოთ პირველი უმჩატესი წონით, რომელშიც არგენტინელი მოქმედი ჩემპიონი **ლუის ალბერტო ლაზარტე** (48-9-1, 18 KO) ბუენოს აირესის რინგზე IBF-ის ტიტულს იცავდა **ნერის ესპინოსასთან** (29-6-1, 20 KO) ბრძოლაში.

შეხვედრა 12 რაუნდი გაგრძელდა და სამივე მსაჯმა მოქმედი ჩემპიონის სასარგებლოდ ერთნაირი ანგარიში დააფიქსირა - 116:111.

მექსიკის ქალაქ გვადალახარაში WBA-ის ვერსიით ნახევრად-მჩატე წონაში მსოფლიოს დროებითმა ჩემპიონმა **ხორხე სოლისმა** (39-2-2, 28 KO) საჩემპიონო ქამარი დაიცვა აქამდე დაუმარცხებელ **ფრანსისკო კორდეროსთან** (23-0, 15 KO) ორთაბრძოლაში. სოლისმა ორჯერ ნოკდაუნში გაგზავნა პრეტენდენტი და მეექვსე რაუნდში მსაჯმა ჩემპიონის ტექნიკური ნოკაუტით გამარჯვება დააფიქსირა.

იმავე რინგზე პირველ უმჩატეს წონაში WBC-ის ჩემპიონმა **ომარ ნინიომ** (30-3-2, 12 KO) მეშვიდე რაუნდში მიაღწია გამარჯვებას **რონალდო ბარერას** (27-8-2, 17 KO) წინააღმდეგ.

საინტერესო ორთაბრძოლა გაიმართა გერმანიის ქალაქ კიოლნში, სადაც 14-თვიანი პაუზის შემდეგ რინგს დაუბრუნდა ცნობილი გერმანელი **ფელიქს შტურმი** (34-2-1, 14 KO). ვეტერანი იტალიელი **ჯოვანი ლორენცოსგან** იცავდა საშუალო წონაში WBC-ის ტიტულს.

მასპინძელს მხოლოდ პირველ ორ რაუნდში გაუჭირდა, ბრძოლის დანარჩენ ნაწილში კი შტურმი კარგად ხმარობდა თავის საფირმო ჯებს და მსაჯებს ეჭვი არ შეჰპარვიათ მის უპირატესობაში. ლორენცო მხოლოდ ბოლო რაუნდში გააქტიურდა, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო.

მსაჯებმა ასეთი ანგარიში დააფიქსირეს: 117:111, 117:111, 118:111.

ჰოკეი

# რეგულარულის პროგნოზი

ამერიკაში პოპულარულმა ინტერნეტგამოცემა The Hockey News-მა ტრადიციისამებრ მომავალი რეგულარული ჩემპიონატის პროგნოზი გააკეთა და სეზონის საბოლოო ცხრილში გუნდების სავარაუდო ადგილები იწინასწარმეტყველა.

ექსპერტებმა თითოეულ მონაწილეს მცირე დახასიათება დაურთეს, რომელსაც აქ არ შემოგთავაზებთ, რადგან ეს დიდ ადგილს წაიღებს. დაინტერესებულ გულშემატკივრებს თავად შეუძლიათ წაიკითხონ სპეციალისტთა მოსაზრებები ამ ლინკის www.thehockeynews.com/articles/34718-The-Hockey-News-201011-NHL-regular-season-predictions.html მეშვეობით.

ჩვენ უბრალოდ გაგაცნობთ, ძალთა რა გადანაწილებას გვთავაზობენ THN-ის ჟურნალისტები:

**აღმოსავლეთი**

1. ვაშინგტონი
2. პიტსბურგი
3. ბოსტონი
4. ფილადელფია
5. ნიუ ჯერსი
6. ბაფალო
7. ტამპა ბეი
8. მონრეალი
9. კაროლინა
10. ოტავა
11. ატლანტა
12. ტორონტო
13. რეინჯერსი
14. აილენდერსი
15. ფლორიდა

შეგახსენებთ, რომ თითო კონფერენციიდან პლეი ოფში რვა საუკეთესო გუნდი გადის. შარშანდელთან შედარებით, აღმოსავლეთში მინიმალური ცვლილებებია. The Hockey News-ს მიაჩნია, რომ ყველაზე დიდი პროგრესი „ტამპა ბეის“ ექნება, რომელიც პლეი ოფის ზონიდან „ოტავას“ გააძევებს.

**დასავლეთი**

1. ვანკუვერი
2. სან ხოსე
3. დეტროიტი
4. ჩიკაგო
5. ლოს ანჯელესი
6. სენტ ლუისი
7. ფინიქსი
8. კალგარი
9. კოლორადო
10. ნეშვილი
11. ანაჰაიმი
12. დალასი
13. მინესოტა
14. კოლამბუსი
15. ედმონტონი

დასავლეთის პლეი ოფში ორ ახალ გუნდს ვიხილავთ - „სენტ ლუისსა“ და „კალგარის“. ისინი „კოლორადოსა“ და „ნეშვილის“ ადგილს დაიკავებენ.

■ ■ ■

ლეგენდარულმა ფინელმა ფორვარდმა **ტეემუ სელიანემ** ერთ-ერთი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მომავალი სეზონი ბოლო იქნება მის აქტიურ სპორტულ კარიერაში.

40 წლის ჰოკეისტმა ცოტა ხნის წინ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა „ანაჰაიმ დაქსთან“ და მომავალ წელს 3.2 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს, რის შემდეგაც საბოლოოდ წავა დიდი სპორტიდან.

*„ეს ჩემი ბოლო სეზონი იქნება ჰოკეისტის რანგში“*, - ადასტურებს ფინელი გოლეადორი, რომელსაც NHL-ში 601 შაიბა აქვს გატანილი.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

კალათბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი



ანგოლას ჩონსი ბილაპსის შეჩერება გაუჭირდა

# ლოგიკური დღე

თურქეთში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე მეოთხედფინალური წყვილი დაკომპლექტდა. ნახევარფინალის საგზურისთვის ურთიერთობას ამერიკისა და რუსეთის ნაკრებები გაარკვევენ.

„დრიმ თიმთან“ მატჩის წინ ანგოლას კალათბურთელები კარგ ხასიათზე იყვნენ. აფრიკელებმა მერვედფინალში გასვლით ნამდვილი გმირობა ჩაიდინეს, ხოლო მერვედფინალში ისეთი მეტოქე ერგოთ, რომელთან წაგებისთვის მათ არავინ დაზრახავდა.

ამ შეხვედრის ბედი თავიდანვე გარკვეული იყო. თამაშიც ლოგიკურად დაიწყო - **ჩონსი ბილაპსმა** სამქულიანით და **კევინ დურანტმა** სლემდანკით 5:0 დააწინაურა ამერიკა. ამას ანგოლას 4:0 გაქცევა მოჰყვა - 39 წლის **ლუტონდას** საჯარიმოებითა და **გომეშის** ორქულიანით ანგარიში 5:4 გახდა.

პირველი მეოთხედის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე ანგოლას ანგარიშზე შვიდი ქულა იყო, დურანტს კი ამ მომენტისთვის 10 ქულა ჰქონდა, ბილაპსს - რვა. 20-ქულიანი უპირატესობის მისაღწევად ფავორიტს შვიდ წუთზე ოდნავ მეტი დასჭირდა.

ასეთი სოლიდური უპირატესობის მიუხედავად, „დრიმ თიმი“ მოდუნებას არ აპირებდა. **მაიკ კრჟიჟევსკის** შეგირდები სერიოზულად თამაშობდნენ - თავგანწირულად იცავდნენ თავს და პირველი შესაძლებლობისთანავე შეტევაში გარბოდნენ. მთავარი მწვრთნელი კი გვერდით ხაზთან ისეთი გამომეტყველებით იდგა, თითქოს მისი შეგირდები ქულა ქულაში ეთამაშებოდნენ მეტოქეს. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ კრჟიჟევსკიმ დიდ შესვენებამდე 12 წამით ადრე ტაიმ-აუტი აიღო, არადა, იმ მომენტისთვის ტაბლოზე ასეთი რიცხვები ეწერა: 62:38.

მეორე ნახევარი **დერიკ როუზის** ორი სამქულიანით დაიწყო. ანგოლელები ყველანაირად ცდილობდნენ წინააღმდეგობის გაწევას. ამ მხრივ ყველაზე მეტად გომეში გამოირჩა, რომელმაც არაერთხელ დაიბრიყვა თავისი მეურვე **ლამარ ოდომი**. მაგრამ გომეში მარტო იბრძოდა და მისი მონდომება საკმარისი ვერ იქნებოდა NBA-ის ვარსკვლავების წინააღმდეგ.

ბოლო მეოთხედის დაწყებიდან 4 წუთის შემდეგ სხვაობამ 40 ქულას მიაღწია - 101:61. მხოლოდ ამის შემდეგ გადავიდა თამაში მშვიდ ტემპში. ამერიკელებმა რამდენჯერმე გაიბრწყინეს, მაგრამ საერთო ჯამში ძალების ეკონომიას მიჰყვეს ხელი. ბილაპსმა, დურანტმა, ოდომმა და როუზმა მეოთხე მეოთხედი სათადარიგოთა სკამზე გაატარეს.

ანგოლამ ტურნირი ისე დაასრულა, როგორც დაიწყო - წაგება 50-ქულიანი სხვაობით (ჯგუფური ეტაპის პირველ ტურში სერბეთთან მატჩის ანგარიში იყო - 44:94). მაგრამ ანგოლელებს განწყობა არ გაფუჭებიათ - ისინი სამშობლოში მშვენიერ ხასიათზე მიემგზავრებიან.

**აშშ-ანგოლა 121:66**

33:13, 32:25, 26:18, 30:10

**აშშ:** ბილაპსი (19+4 პასი), დურანტი (17+5 მოხსნა), გეი (17+4 მოხსნა), გორდონი (17), ოდომი (9+8 მოხსნა), როუზი (9+6 პასი), ლავი (8+6 მოხსნა), იგუოდალა (6+4 პასი+7 მოხსნა), კარი (5), ჩენდლერი (5+7 მოხსნა), გრეინჯერი (5), უესტბრუკი (4+6 პასი).

**ანგოლა:** გომეში (21), ამბროზიო (12+7 მოხსნა), ფორტეში (11), ლუტონდა (8), მორაიში (5+4 პასი), მბუნგა (4), ალმეიდა (3), მინგაში (2), ბონიფაციო, ჯერონიმო, პაულო.

■ ■ ■

ამერიკელთა მეტოქე რუსეთისა და ახალი ზელანდიის ნაკრებების მატჩში ირკვეოდა. ბუკმეიკერები აშკარა ფავორიტად რუსეთს ასახელებდნენ, თუმცა ისიც არ უნდა დაგვევიწყებინა, რომ ჩემპიონატის წინ, ზელანდიამ ორიდან ერთი საკონტროლო შეხვედრა მოუგო თავის გუშინდელ მეტოქეს. „კივების“ რიგებში ტურნირის მეორე ბომბარდირი **კირკ პენი** ირიცხებოდა, რომლის ნეიტრალიზაცია **დევიდ ბლატის** შეგირდების მთავარი ამოცანა იყო. ამ პრობლემის მოუგვარებლობის შემთხვევაში, რუსები რთულ სიტუაციაში აღმოჩნდებოდნენ.

პირველ ტაიმში რუსეთმა ამ ამოცანას კარგად გაართვა თავი. საწყის მეოთხედში პენიმ მხოლოდ ერთი ორქულიანი და რამდენიმე საჯარიმო ჩააგდო. მიუხედავად ამისა, ზელანდიელთა რიგებში სხვა კალათბურთელებმა გამოიღეს ხელი (პირველ რიგში, **ტომას ებერკრომბიმ**) და პირველ 10-წუთეულში რუსეთი არც ერთხელ არ გასულა წინ.

პენიმ პირველი სამქულიანი მეორე მეოთხედის მესამე წუთზე გამოიყენა და ზელანდიის უპირატესობა 5 ქულამდე გაიზარდა - 21:16. აქედან მოყოლებული, თამაშის სურათი კარდინალურად შეიცვალა - მომდევნო ოთხწუთიანი მონაკვეთი რუსეთმა 13:0 მოიგო. ამ გაქცევის სულისჩამდგმელები **სერგეი მონია** და **საშა კაუნი** გახდნენ, რომლებმაც შესაბამისად 5 და 4 ქულა და რამდენიმე დაფარება მიითვალეს. რუსები 7 ქულით დაწინაურდნენ - 29:21. მხოლოდ ებერკრომბი არ დაიბნა და მისი ძალისხმევით დიდ შესვენებაზე „კივები“ მხოლოდ ოთხქულიანი ჩამორჩენით გავიდნენ.

მეორე ტაიმი იმავე ებერკრომბის აქტიურობით დაიწყო. მისი ხუთი ქულით ზელანდია მეტოქეს ორ ქულამდე მიუახლოვდა - 34:32, მაგრამ იქვე რუსეთმა ზუსტად ისეთივე გაქცევა მოაწყო, როგორც პირველ ტაიმში - 13:0, რის შემდეგაც ამ გუნდის უპირატესობა 16 ქულამდე გაიზარდა - 51:38. პენიმ ორი საჯარიმოს შემდეგ, ბოლო მეოთხედის წინ რუსეთის 11-ქულიანი უპირატესობა დაფიქსირდა - 51:40.

რუსეთმა ეს კომფორტული სხვაობა მეოთხე მეოთხედში გაზარდა და საფინალო სირენისთვის მისმა უპირატესობამ 22 ქულას მიაღწია. ზელანდიამ ნაადრევად შეწყვიტა ბრძოლა, ხოლო კირკ პენის გააქტიურება დაგვიანებული აღმოჩნდა.

**რუსეთი-ზელანდია 78:56**

13:15, 18:12, 20:13, 27:16

**რუსეთი:** ვორონცევიჩი (18+11 მოხსნა), მოზგოვი (16+7 მოხსნა), ფრიძონი (12), პონკრაშოვი (9+7 პასი), მონია (8+5 მოხსნა), კაუნი (6), ბიკოვი (5), ხვოსტოვი (4), ვორონოვი.

**ახ. ზელანდია:** პენი (21), ებერკრომბი (13), ჯონსი (7), ფიტჩეტი (6), კამერონი (4), ბრედშოუ (2), ვუკონა (2), ტეიტი, ფრენკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოტოგრან-პრი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# სიკვდილი მიზანოზე

რამდენიმე კვირის წინ ვერავინ იფიქრებდა, რომ მოტოგრან-პრის ჩემპიონატში **ხორხე ლორენსოს** ლიდერობას რაიმე დაემუქრებოდა, მაგრამ ესპანელის უშუალო კონკურენტმა და თანამემამულე **დანი პედროსამ** ბოლო ორი რბოლა მოიგო და პირველობას მცირედი ინტრიგა დაუბრუნა.

სან მარინოს გრან-პრიზე პედროსა პოულს ფლობდა და მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ჩემპიონატში საუკეთესო სტარტი აქვს. მის უკან პირველ მოსახვევში **კეისი სტოუნერი** აღმოჩნდა, რომელმაც ლორენსოს გასწრება მოახერხა, თუმცა ეს ავსტრალიელის ბოლო წარმატება იყო. ყოფილმა ჩემპიონმა პირველივე წრეზე დაკარგა მეორე პოზიცია - ხორხე მალე მოეგო გონს და პედროსას გამოედევნა. მაგრამ დანიმ ყველაფერი გააკეთა პირველი ადგილის შესანარჩუნებლად. „ჰონდას" პილოტმა პირველი წრეები ბრწყინვალედ გაიარა და ძველი შეცდომები აღარ გაიმეორა. მეათე წრისთვის პედროსა კონკურენტს ხუთი წამით უსწრებდა, რაც საკმარისი აღმოჩნდა რბოლაში გამარჯვების მოსაპოვებლად.

რბოლის მშვენება გახდა მესამე ადგილისთვის ბრძოლა. სტოუნერს **ვალენტინო როსი** და **ანდრეა დოვიციოზო** მიუახლოვდნენ. როსი მუდმივად ავიწროებდა ავსტრალიელს, მაგრამ კეისი კარგად უკეტავდა ტრაექტორიას იტალიელს, თუმცა ბოლოს მაინც მოუწია იტალიელის წინ გაშვებამ. ერთი წრის შემდეგ, სტოუნერს დოვიციოზომაც გაუსწრო.

ამის შემდეგ მესამე ადგილისთვის ბრძოლა ვალენტინოსა და ანდრეას შორის გაჩაღდა. მართალია, მათ შორის სხვაობა წამზე ნაკლები იყო, მაგრამ დოვიციოზომ ერთი ნორმალური შეტევაც ვერ განახორციელა და მაყურებელთა გასახარად, როსი დიდხნიანი შესვენების შემდეგ პოდიუმზე ავიდა.

პედროსამ კი საერთო ჩათვლაში 63 ქულამდე შეამცირა სხვაობა ლორენსოსთან. ჩემპიონატის დასრულებამდე ექვსი რბოლა დარჩა და დანის მხოლოდ ეტაპების მოგება არ ეყოფა ჩემპიონობის მოსაპოვებლად - მას ლორენსოს შეცდომებიც სჭირდება.


შოია ტომიზავა

■ ■ ■

მიზანოს ტრასაზე გამართული სან მარინოს გრან-პრი ტრაგიკული აღმოჩნდა 19 წლის იაპონელი **შოია ტომიზავასთვის**. მოტოგრან-პრი 2-ში მოასპარეზე „ტექნომაგის" ნევრი მოტოციკლიდან გადავარდა და ტრასაზე ზურგით დაეცა. ტრავმა სასიკვდილო აღმოჩნდა - უახლოესი კლინიკის ექიმებმა იაპონელი მოტომრბოლის გადარჩენა ვერ შეძლეს. ავარიის დროს კიდევ ორი პილოტი - **ალექს დე ანჯელისი** და **სკოტ რედინგი** დაზარალდნენ, მაგრამ მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ტომიზავა ამ სეზონში მოტოგრან-პრი 2-ის მთავარი აღმოჩენა გახდა. მან ერთი ეტაპი მოიგო და ორი პოული მოიპოვა.

*„დღეს ყველა ნაღვლიანია. არ შეიძლება თავს მშვიდად გრძნობდე, როცა ერთი კვირის განმავლობაში ტრასაზე ორი პილოტი იღუპება. იმედი მაქვს, ასეთი ინციდენტი აღარასოდეს განმეორდება და რბოლებისგან ძველებურად სიამოვნებას მივიღებთ",* - განაცხადა ხორხე ლორენსომ.

ვალენტინო როსი უფრო კატეგორიული იყო: *„როცა ჩვენს სამყაროში ასეთი რამ ხდება, სხვა ყველაფერი აზრს კარგავს. შოია ძალიან ძლიერი მრბოლელი და კარგი ბიჭი იყო. ყველანი დამწუხრებული ვართ მომხდარის გამო".*

ლორენსოს სიტყვებს ვუბრუნდებით და განვმარტავთ, რომ ერთი კვირის წინ, ერთ-ერთი დაბალი სერიის რბოლაში 13 წლის **პეტერ ლენცი** დაიღუპა.

**სან მარინოს გრან-პრი**

1. დანიელ პედროსა (ესპ, „ჰონდა") - 44.22,059; 22. ხორხე ლორენსო (ესპ, „იამაჰა") - +1,900; 3. ვალენტინო როსი (იტა, „იამაჰა") - +3,183; 4. ანდრეა დოვიციოზო (იტა, „ჰონდა") - +6,454; 5. კეისი სტოუნერი (ავსტრა, „დუკატი") - +18,479; 6. ბენ სპისი (აშშ, „იამაჰა") - +28,385...

**საერთო ჩათვლა**

1. ხორხე ლორენსო (ესპ, „იამაჰა") - 271 ქულა; 2. დანიელ პედროსა (ესპ, „ჰონდა") - 208; 3. ანდრეა დოვიციოზო (იტა, „ჰონდა") - 139; 4. კეისი სტოუნერი (ავსტრა, „დუკატი") - 130; 4. ვალენტინო როსი (იტა, „იამაჰა") - 130; 6. ბენ სპისი (აშშ, „იამაჰა") - 120...

ველოსპორტი

# ასტანამ შლეკს დაუმიზნა

ყაზახური „ასტანას" ხელმძღვანელობას მომავალი სეზონისთვის სერიოზული მიზნები აქვს. კერძოდ, ეს ველოსაჯინიბო ტურ დე ფრანსის მეორე პრიზიორის, ლუქსემბურგელი **ანდი შლეკის** გადაბირებას აპირებს.

*„უახლოეს დღეებში დავიწყებთ ანდი შლეკთან მოლაპარაკებებს. ამ ველომრბოლის გადაბირების შემთხვევაში, გაისად ტურ დე ფრანსზე დიდი წარმატების შანსს მივიღებთ",* - ამბობს ყაზახეთის ველოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტი და „ასტანას" სპონსორი ქაირათ ქელიმბეტოვი.

ბოლო ორი ტურ დე ფრანსის გამარჯვებული **ალბერტო კონტადორი** დღემდე „ასტანას" შემადგენლობაში გამოდიოდა, მაგრამ მომავალი წლიდან დანიურ Saxo Bank-ში გადასვლა არჩია, რომლის ლიდერიც, თავის მხრივ, ანდი შლეკი იყო. გუნდის შეცვლა ლუქსემბურგელმაც გადაწყვიტა და Saxo Bank-დან წავიდა, მაგრამ ახალი სამუშაო ჯერ არ უპოვია.

ახალი სეზონისთვის „ასტანამ" რამდენიმე მნიშვნელოვანი კონტრაქტი გააფორმა. ერთ-ერთია ხელშეკრულება სლოვენიელ **რობერტ კისერლოვსკისთან**, რომელიც 2010 წლის ჯირო დ'იტალიაზე მეათე ადგილზე გავიდა. უკვე არსებობს კონტრაქტი ძალიან ძლიერ ჩეხ **რომან კროიციგერთან**, ვინც ბოლო ორი წელია ტურ დე ფრანსის გენერალური კლასიფიკაციის ათეულში იკავებს ადგილს.


ანდი შლეკი

■ ■ ■

ამასობაში, ესპანეთში მიმდინარე ვუელტაზე მეცხრე ეტაპი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა არ მიუღიათ ბრიტანული Team Sky-ის ველომრბოლებს. ამ საჯინიბომ ესპანური ტური მიატოვა, მიზეზი კი მასაჟისტის **ჩემა გონსალესის** სიკვდილი გახდა. 43 წლის ესპანელი სისხლის მოწამვლის დიაგნოზით კლინიკაში მოხვდა და ხუთი დღის შემდეგ გარდაიცვალა.

სხვათა შორის, ანალოგიური დაავადება აღმოაჩნდა Team Sky-ის სამ მრბოლელს. თუმცა გუნდის შეფი **დეივ ბრეილსფორდი** ირწმუნება, რომ მასაჟისტისა და ველომრბოლების ავადმყოფობებს არაფერი აქვთ საერთო, რადგან სიმპტომები აბსოლუტურად განსხვავებული იყო. სწორედ ბრეილსფორდმა დაადასტურა, რომ Team Sky-ის წევრები გონსალესის საპატივცემულოდ აღარ გააგრძელებენ ვუელტაზე გამოსვლას.

**IX ეტაპი**

**კალპე-ალკოი. 188 კმ**

1. დავიდ ლოპესი (ესპ, GCE) - 5.20,51; 2. რომან კროიციგერი (ჩეხ, LIQ) - +0,06; 3. ჯამპაოლო კარუზო (იტა, KAT) - +0,13; 4. დავიდ მონკუტიე (საფ, COF) - +0,21; 5. ბლელ კადრი (საფ, ALM) - +0,27; 6. ეგორი მარტინესი (ესპ, EUS) - +0,30...

**საერთო ჩათვლა**

1. იგორ ანტონი (ესპ, EUS) - 37.56,42; 2. ხოაკინ როდრიგესი (ესპ, KAT) - იგივე დრო; 3. ვინჩენცო ნიბალი (იტა, LIQ) - +0,02; 4. ხავიერ ტონდო (ესპ, CTT) - +0,42; 5. ჟან-კრისტოფ პერო (საფ, OLO) - +0,52; 6. რუბენ პლასა (ესპ, GCE) - +1,15...

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

**Under 20**

| | |
|---|---|
| შვეიცარია-გერმანია | 2:3 |

**Under 19**

| | |
|---|---|
| გერმანია-დანია | 3:0 |

**იტალია**

**სერია C1/A**

| | |
|---|---|
| კრემონეზე-სპალ | 1:4 |

**გერმანია**

**რეგიონალლიგა (დას)**

| | |
|---|---|
| არმინია A-მუნსტერი | 0:1 |

**ჰოლანდია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| აპელდოორნი-ეინდჰოვენი | 0:3 |

**კალათბურთი**

**მს. ჩემპიონატი**

**1/8 ფინალი**

| | |
|---|---|
| აშშ-ანგოლა | 121:66 |
| რუსეთი-ახ. ზელანდია | 78:56 |

**ჩოგბურთი**

**ATP. აშშ-ის ღია**

| | |
|---|---|
| გასკე-მონფილსი | 4:6, 5:7, 5:7 |
| ჯოკოვიჩი-ფიში | 6:3, 6:4, 6:1 |

**WTA. აშშ-ის ღია**

| | |
|---|---|
| კუზნეცოვა-ციბულკოვა | 5:7, 6:7 |
| ვიკმაიერი-კანეპი | 6:0, 6:7, 1:6 |
| ვოზნიაცკი-შარაპოვა | 6:3, 6:4 |

TV პროგრამა

**7 სექტემბერი. სამშაბათი**

**I არხი**

**21:00** ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი მატჩი. საქართველო-ისრაელი (LIVE).
**22:55** ბერძნულ-რომაული ჭიდობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალები. მოსკოვი. რუსეთი.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**07:40** ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. საპასუხო მატჩი. აიაქსი-დინამო (კ).
**09:40** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**10:10** ევრო 2012. შესარჩევი მატჩი. ინგლისი-ბულგარეთი.
**12:00** ახალი ამბები.
**12:20** ევრო 2012. შესარჩევი მატჩი. სლოვაკეთი-მაკედონია.
**14:05** ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. საპასუხო მატჩი. ოსერი-ზენიტი.
**16:00** ახალი ამბები.
**16:20** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**16:50** ევრო 2012. შესარჩევი მატჩი. შვედეთი-უნგრეთი.
**18:35** ახალი ამბები.
**18:55** ევრო 2012. შესარჩევი მატჩი. ინგლისი-ლიტვა (LIVE).
**20:55** ევრო 2012. შესარჩევი მატჩი. ლიხტენშტაინი-ესპანეთი.
**22:40** ევრო 2012. შესარჩევი მატჩი. გერმანია-აზერბაიჯანი (LIVE).
**00:50** ახალი ამბები.
**01:05** ევრო 2012. შესარჩევი მატჩი. იტალია-ფარერები.
**02:50** ევრო 2012. შესარჩევი მატჩი. ირლანდია-ანდორა.
**04:40** ევრო 2012. შესარჩევი მატჩი. ბელარუსი-რუმინეთი.

**EUROSPORT**

**07:00** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. VIII დღე. ნიუ იორკი (LIVE).
**09:00** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. VIII დღე. ნიუ იორკი.
**10:30** ჩოგბურთი. გეიმი, სეტი, მატჩი. ტელეჟურნალი.
**11:00** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. VIII დღე. ნიუ იორკი.
**14:15** ჩოგბურთი. გეიმი, სეტი, მატჩი. ტელეჟურნალი.
**14:45** ავტოსპორტი. რენოს მსოფლიოს სერია. ნიურბურგრინგი. გერმანია. ტელეჟურნალი.
**15:15** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
**15:45** სნუკერი. მასტერსი. II დღე. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
**18:45** ველოსპორტი. ვუელტა. X ეტაპი. ესპანეთი (LIVE).
**19:45** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. IX დღე. ნიუ იორკი (LIVE).
**21:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**21:10** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. IX დღე. ნიუ იორკი (LIVE).
**03:00** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. IX დღე. ნიუ იორკი (LIVE).
**05:00** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. IX დღე. ნიუ იორკი (LIVE).

ფორმულა 1


ასეთია დღეს მომავალი ავტოდრომი

# თუ გაჭირდა, კარვებს დადგამენ

კორეის გრან-პრის ჩატარებამდე თვე-ნახევარზე მეტი დარჩა, მაგრამ მომავალი ავტოდრომის ტერიტორია კვლავაც გიგანტურ სამშენებლო მოედანს მოგვაგონებს. კვირას, ინდოელმა **კარუნ ჩანდჰოკმა** „რედ ბულის" ბოლიდით ჯერაც დაუმთავრებელ ტრასაზე 14 წრე გაიარა. აზიელ პილოტზე ტრასის კონფიგურაციამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ ინდოელმა აღნიშნა, რომ თავად ავტოდრომი შორს არის იდეალურისგან და ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი.

რეალურია თუ არა კორეაში 24 ოქტომბერს გრან-პრის ჩატარება? გერმანულ გაზეთ „ბილდის" ინფორმაციით, ყველაზე დიდ შეშფოთებას ავტოდრომის ინფრასტრუქტურა იწვევს: ენერგო და წყალმომარაგების სისტემები ჯერჯერობით დიდი შეფერხებით მუშაობენ.

ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერი **ბერნი ექლსტოუნი** ადასტურებს არსებულ პრობლემებს, მაგრამ არც ოპტიმიზმს კარგავს.

*„პრობლემები არსებობს, მაგრამ მიგვაჩნია, რომ წელს რბოლა მაინც ჩატარდება,* - განაცხადა ბერნიმ „ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში. - *ტრასა თითქმის დასრულებულია, თუმცა ბოლომდე არ არის მზად შენობები. თუ გაჭირდა, კარვებს დავდგამთ!"*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა

# მიურეის ტრიუმფი ისევ გადაიდო...


ენდი მიურეი

გუშინ „ფლეშინგ მედოუს“ კორტებზე მამაკაცებმა სრულად დააკომპლექტეს მერვედფინალური წყვილები, ქალებმა კი პირველი ოთხი მეოთხედფინალისტი გამოავლინეს.

სხვა ფავორიტებისგან განსხვავებით, **ენდი მიურეის** პირველი კორტი არ დაუთმეს და **ლუის არმსტრონგის** სახელობის მოედანზე გაუშვეს სათამაშოდ. ისე გამოვიდა, რომ სწორედ ბრიტანელის მატჩში დაფიქსირდა დღის მთავარი სენსაცია.

აქამდე ტურნირს საუკეთესო ათეულის სხვა წევრებიც გამოეთიშნენ - **ტომაშ ბერდიხი, ნიკოლაი დავიდენკო, ენდი როდიკი, ელენა იანკოვიჩი**, მაგრამ ამათგან მიურეის მთავარი პრიზის მოპოვების ყველაზე დიდი შანსი ჰქონდა, ამიტომაც ენდის მარცხს **სტანისლას ვავრინკასთან** არავინ ელოდა. ცნობისთვის, ბრიტანელს შვეიცარიელთან ყოველთვის უჭირდა: 2009 წლის უიმბლდონზე ხუთსეტიანი მატჩის ჩატარება მოუხდა, 2008 წელს ტორონტოში მოიგო, მაგრამ ერთი სეტი „მშრალი“ ანგარიშით დათმო. თუმცა ვავრინკას წელს სერიოზული შედეგები არ უჩვენებია, სეზონის საზაფხულო ნაწილი კი პირწმინდად ჩააგდო - როლან გაროსის შემდეგ ჩატარებული ექვსი მატჩიდან ოთხი დათმო, ამიტომაც აშშ-ის ღიაზე მისგან გმირობა მოსალოდნელი არ იყო.

შვეიცარიელის მცირე უპირატესობა პირველივე გეიმებიდან გამოიკვეთა. ის უკეთ გამოიყურებოდა მოწოდებაზე, ხშირად უტევდა და ძალიან სწრაფად დაწინაურდა ბრეიკით. მიურეიმ სიტუაცია მაშინ გამოასწორა, როცა ვავრინკა სეტზე აწვდიდა. ენდიმ ფსიქოლოგიური უპირატესობა მოიპოვა და ტაი-ბრეიკი თავის სასარგებლოდ დაასრულა - 7:3.

მეორე პარტიის სტარტზე მეტოქეებმა ბრეიკები გაცვალეს, რის შემდეგაც განმეორდა პირველი სეტის სცენარი, ოლონდ ამჯერად 5:3 მიურეი დაწინაურდა, სეტზე ვერ ჩააწოდა და ტაი-ბრეიკი წააგო.

ამის შემდეგ ვავრინკას უპირატესობა კიდევ უფრო ცხადი გახდა. თანაც მიურეიმ ექიმს უხმო, რადგან ფეხში ტკივილი იგრძნო. მესამე სეტის ბოლოს ვავრინკასაც მოუწია სამედიცინო ტაიაუტის აღებამ. ამასობაში, პარტია შვეიცარიელმა 6:3 მოიგო.

მეოთხე სეტში მიურეის უკვე კისერი ასტკივდა. ენდი ბევრს ეცადა, ბოლომდე იბრძოლა, მაგრამ თამაშის დონით აშკარად ჩამოუვარდებოდა მეტოქეს. საბოლოოდ, ოთხსაათიანი ბრძოლის შემდეგ ვავრინკამ დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა. ენდი კი 2008 წელს ფინალში თამაშის შემდეგ, ზედიზედ მეორედ ნაადრევი ეტაპიდან გამოეთიშა აშშ-ის ღია პირველობას: შარშან მეოთხე წრეში წააგო ხორვატ **მარინ ჩილიჩთან**. მიურეიმ 2011 წლისთვის გადადო „დიდი სლემის“ ტურნირის მოგება - ბრიტანელები ამ დონის ტრიუმფს 1936 წლიდან ელიან.

კიდევ ერთი ფავორიტი **რაფაელ ნადალი** იოლად გაუსწორდა ფრანგ **ჟილ სიმონს**. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა კვლავ სამ სეტში გაიმარჯვა, მაგრამ პირველად მოხდა ისე, რომ ტაი-ბრეიკის თამაშმა არ მოუწია - 6:4, 6:4, 6:2.

სხვათა შორის, გუშინ კაცების ბადეში გამართულ რვა შეხვედრაში შვიდი ესპანელი მონაწილეობდა და ისე მოხდა, რომ ამ ქვეყანას ნახევარფინალში აუცილებლად ეყოლება ერთი წარმომადგენელი. ბადის ზედა ნაწილში ორი მეოთხედფინალური წყვილი მთლიანად ესპანურია, შესაბამისად, საუკეთესო ოთხეულში ერთ-ერთი მათგანი ნამდვილად მოხვდება.

ესპანურ დერბიში **დავიდ ფერერმა** სამ სეტში მოუგო **დანიელ ხიმენო-ტრაველოს** - 7:6, 6:2, 6:2 და მერვედფინალში ან თანამემამულესთან, ან სეხნიასთან მოუწევდა თამაში. საბოლოოდ გაირკვა, რომ ფერერი ზედიზედ მეორე ესპანურ დერბის ითამაშებს, რადგან **ფერნანდო ვერდასკომ დავიდ ნალბანდიანს** მოუგო. ამ შეხვედრას ყველა დიდი ინტერესით ელოდა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. თავიდან დაძაბული ბრძოლა იყო, ოლონდ მხოლოდ არგენტინელის გეიმებზე. როგორც კი ნალბანდიანმა თავისი მოწოდება დათმო, იქვე სეტიც წააგო. არგენტინელმა შეძლო თამაშის დალაგება, მაგრამ დროებით. მეორე სეტის მოგების შემდეგ, უპირატესობა კვლავ ვერდასკოს მხარეს გადავიდა. ნალბანდიანის მთავარი პრობლემა უნებლიე შეცდომების რაოდენობა (63) გახდა. ამ მაჩვენებლით გამარჯვებაზე ფიქრი ზედმეტი იყო - 2:6, 6:3, 3:6, 2:6.

გუშინ ერთადერთი დამარცხებული ესპანელი (ხიმენო-ტრაველოს თუ არ ჩავთვლით) **ალბერტ მონტანიესი** აღმოჩნდა. მან ადგილობრივი პუბლიკის იმედთან **სემ კუერისთან** წააგო. მასპინძელმა თითო სეტში თითო ბრეიკი აილო და უპრობლემოდ გაიმარჯვა - 6:3, 6:4, 6:4.

■ ■ ■

ქალებმა მერვედფინალში დაიწყეს ურთიერთობის გარკვევა. ცენტრალურ შეხვედრად **კიმ კლაისტერსისა** და **ანა ივანოვიჩის** დაპირისპირება მიიჩნეოდა. ბელგიელი ამ მატჩს ფენომენალური მაჩვენებლით შეხვდა - ზედიზედ 17 მოგება აშშ-ის ღიაზე. ქების ღირსი იყო ივანოვიჩიც - სერბი შარშანდელი უიმბლდონის შემდეგ პირველად თამაშობდა „დიდი სლემის“ ტურნირის მერვედფინალში.

შეხვედრას საკმაოდ დამაინტრიგებელი დასაწყისი ჰქონდა. საწყის გეიმებში ჩოგბურთელებმა მეტად სანახაობრივი თამაში აჩვენეს. მოქმედ ჩემპიონს მხოლოდ მცირედი უპირატესობა ჰქონდა და ყველას ეგონა, რომ ასეთი თანაბარი თამაში ბოლომდე გაგრძელდებოდა. მაგრამ ბრძოლა სულ მალე შეწყდა და „ცალკარა“ თამაში დაიწყო. 3:2-დან მოყოლებული, ბელგიელმა ათიდან ცხრა გეიმი მოიგო და სულ რაღაც 58 წუთში საბოლოო ანგარიში დაფიქსირდა - 6:2, 6:1. „ფლეშინგ მედოუზე“ კლაისტერსის მოგებათა სერია 18 მატჩამდე ავიდა.

კაცების ტურნირის მსგავსად, ქალებშიც ამერიკას ერთადერთი წარმომადგენელი დარჩა. ეს გახლავთ „დიდი სლემის“ ტურნირების შვიდგზის გამარჯვებული **ვენუს უილიამსი**, რომელიც გუშინ მეათედ გავიდა ამერიკის ღიას მეოთხედფინალში.

ამ შეხვედრამდე ისრაელელ **შაარ პეერს** ხუთიდან ხუთი მატჩი ჰქონდა ნაგებული ვენუსთან, თანაც ამერიკელს სეტიც არ მიუცია მეტოქისთვის. ისტორია განმეორდა, ოღონდ პეერმა ამჯერად გაცილებით უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა. მეტოქის მოწოდებაზე ორი მოგებული გეიმი და მხოლოდ 16 უნებლიე შეცდომა - ამ სტატისტიკით პეერი აშკარად მეტს იმსახურებდა, მაგრამ ამერიკელმა ტრადიციის დარღვევა არ ისურვა.

კიდევ უფრო შთამბეჭდავი ანგარიშით უგებს უფროსი უილიამსი თავის მომდევნო მეტოქეს: 7:0 - ასეთია ვენუსისა და როლან გაროსის ჩემპიონ **ფრანჩესკა სკიავონეს** ურთიერთშეხვედრათა სტატისტიკა. იტალიელს პარიზული ტრიუმფის შემდეგ შესამჩნევი ჩავარდნა ჰქონდა, მაგრამ აშშ-ის ღიას ოპტიმალურ ფორმაში შეხვდა. რუს **ანასტასია პავლიუჩენკოვასთან** მატჩამდე ფრანჩესკამ მეტოქეებს სეტი არ დაუთმო, გუშინ კი ორ პარტიაში მხოლოდ სამი გეიმი გაიმეტა 20 წლის მოწინააღმდეგისთვის. მოკლედ, სკიავონე ძალიან მაღალი დონის ჩოგბურთს აჩვენებს და შანსი აქვს შეწყვიტოს უილიამსთან უილბლო სერია. უფრო მეტიც, სპეციალისტებმა სკიავონეს ტურნირის მთავარ ფავორიტებს შორის მოხსენიება დაიწყეს.

რუსების უიღბლობა დღის ბოლო მატჩში გაგრძელდა და ქალთა ბადის ქვედა ნაწილი ამ ქვეყნის წარმომადგენლების გარეშე დარჩა. არ გაუმართლა პეკინის ოლიმპიურ ჩემპიონ **ელენა დემენტიევას**, რომელმაც სამსეტიანი მარათონი წააგო როლან გაროსის ფინალისტ **სამანტა სტოსურთან**. ჩოგბურთელებმა ვერ აჩვენეს ჩვეული დონის თამაში - დემენტიევა ძალიან პასიური იყო, სტოსური კი ბევრ შეცდომას უშვებდა. პირველ სეტში გადამწყვეტი აღმოჩნდა მეხუთე გეიმი - 0:2-ის შემდეგ დემენტიევამ ანგარიში გაათანაბრა და სამმაგი ბრეიკ-პოინტი მოიპოვა, თუმცა ვერც-ერთი შანსი ვერ გამოიყენა და ამის შემდეგ საკუთარი გეიმი წააგო. ამის შემდეგ პარტიაში ბრეიკები არ ყოფილა და სტოსურმა 6:3 მოიგო. მეორე სეტი პირიქით, თითქმის მთლიანად ბრეიკებისგან შედგებოდა - ავსტრალიელმა ვერც-ერთხელ ვერ აილო საკუთარი მოწოდება, ელენამ კი ორჯერ შეინარჩუნა თავისი გეიმი და 6:2 გაიმარჯვა.

გადამწყვეტ პარტიაში დემენტიევამ შეძლო წარმატებული სერიის გაგრძელება - მეორე სეტში 3:2-ის შემდეგ, რუსმა ზედიზედ ექვსი გეიმი აილო, მაგრამ 4:0 დაწინაურება ვერ შეძლო. სტოსურმა მალე გაათანაბრა ანგარიში, თუმცა მერვე გეიმში დემენტიევამ კიდევ ერთი ბრეიკი აილო და თითქოს საბოლოო გამარჯვებაც გაიფორმა: რუსმა ერთბაშად ოთხი მატჩბოლი გაანიავა - ერთი საკუთარ მოწოდებაზე და სამი მიღებაზე. ამას მოჰყვა ტაი-ბრეიკი, რომელიც რუსმა ჩააგდო - მხოლოდ ორი ქულა აილო და მეოთხედფინალში სტოსური გაამგზავრა.

### კაცები

#### 1/16 ფინალი

**რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-ჟილ სიმონი (საფ) 6:4, 6:4, 6:2; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 25)**-ენდი მიურეი (ბრიტ, 4) 6:7(3), 7:6(4), 6:3, 6:3; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 8)**-დავიდ ნალბანდიანი (არგ, 31) 6:2, 3:6, 6:3, 6:2; **დავიდ ფერერი (ესპ, 10)**-დანიელ ხიმენო ტრაველო (ესპ) 7:6(2), 6:2, 6:2; **მიხაილ იუჟნი (რუს, 12)**-ჯონ ისნერი (აშშ, 18) 6:4, 6:7(7), 7:6(5), 6:4; **სემ კუერი (აშშ, 20)**-ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 14) 6:3, 6:4, 6:4; **ფელისიანო ლოპესი (ესპ, 23)**-სერგეი სტახოვსკი (უკრ) 6:3, 4:0 სტახოვსკის უარი; **ტომი რობრედო (ესპ)**-მიკაელ ლოდრა (საფ) 3:6, 7:6(6), 6:4, 2:1 ლოდრას უარი.

#### 1/8 ფინალი

ნადალი (1)-ფ. ლოპესი (23); ფერერი (10)-ვერდასკო (8); ვავრინკა (25)-კუერი (20); იუჟნი (12)-რობრედო; გასკე-მონფილსი (17); ფიში (19)-ჯოკოვიჩი (3); სიოდერლინგი (5)-მონტანიესი (21); მელცერი (13)-ფედერერი (2).

### ქალები

#### 1/8 ფინალი

**კიმ კლაისტერსი (ბელ, 2)**-ანა ივანოვიჩი (სერ) 6:2, 6:1; **ვენუს უილიამსი (აშშ, 3)**-შაარ პეერი (ისრ, 16) 7:6(3), 6:3; **სამანტა სტოსური (ავსტრა, 5)**-ელენა დემენტიევა (რუს, 12) 6:3, 2:6, 7:6(2); **ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 6)**-ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 20) 6:3, 6:0.

3 სექტემბრიდან




ბასკეთი, თავისუფლება და... ტერორიზმი - ETA
რისთვის სჭირდება „მისტრალი" რუსეთს?...
ბრაზილიური ბანკები
მეორე მსოფლიო ომის საუკეთესო ტყვიამფრქვევი
...სრულად იხილეთ ჟურნალში
„მეგობრული ცეცხლი" - პრობლემა და გამოსავალი...
ზოგიერთი რამ ინდივიდუალურ დაჯავშნაზე
„პაერსაწინააღმდეგო ქოლგები" ოკუპირებულ ტერიტორიებზე
ყველაზე კაცური ჟურნალი
არა მარტო მამაკაცებისთვის

მძლეოსნობა

# ფეხბურთელობაც მოუნდა

## ლეგენდარულმა იამაიკელმა საკუთარ თავს 9,40 წამი შეუკვეთა

სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **უსაინ ბოლტმა** ახალი მიზანი დაისახა. მსოფლიოს უსწრაფესი ადამიანი სპორტის ახალ სახეობაში - ფეხბურთში აპირებს ძალების მოსინჯვას. ოღონდ ეს მას შემდეგ მოხდება, რაც იამაიკელი სპრინტერი 100 მეტრს 9,40 წამში გაირბენს. ბოლტის დღევანდელი რეკორდი 9,58 წამს უტოლდება.

*„კიდევ ოთხი წელი მაქვს ამ შედეგის მისაღწევად. თუ მონდომებით ვივარჯიშებ, შეუძლებელი არაფერი იქნება. სირბილის დასრულების შემდეგ კი ორი წელი ფეხბურთის თამაშს ვისურვებდი. ვუყურებ ამ ბიჭებს და ვფიქრობ, რომ მეც შევძლებდი პროფესიონალი ფეხბურთელი გავმხდარიყავი. უნდა მოვსინჯო, იქნებ გამომივიდეს. ეჭვგარეშეა, კარგი მოთამაშე ვარ: შემტევი ან დაცვითი სტილის ნახევარმცველი. ზუსტად არ ვიცი. მაგრამ მთავარი მიზანია 100 მეტრი 9,40 წამში გავირბინო. ჩემი აზრით, ამ რეკორდის გაუმჯობესებას მომავალში ვერავინ შეძლებს“*, - ამბობს იამაიკელი მორბენალი.

თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში ბოლტი წერს, რომ შეძლებდა „მანჩესტერ იუნაიტედში“ **რაიან გიზის** შეცვლას.



ბოლტი თავის ნაშრომთან ერთად

**გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა**